გაერთიანების პრობლემა - ჯუმბერ პატიაშვილი A3 | ავტომობილი A8 | "ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 26 თებერვალი, 2003 წელი. №55 (267) | ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### სამხრეთ კავკასია - განსხვავებული მზერა ევროპისკენ

დღეს სასტუმრო "მარიოტში" იწყება საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის პარლამენტართა დელეგაციების შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობას ოცდაათზე მეტი პარლამენტარი მიიღებს.

A2

## ეკონომიკა

### სახელმწიფო მინისტრის პირადი ინტერესი - „ჭიათურმანგანუმი"

რამდენიმე თვეა, ჭიათურმანგანუმის საწარმო და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა სახელმწიფო მინისტრის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა. ავთანდილ ჯორბენაძემ, ამ ორ ობიექტთან დაკავშირებული პროცესები, პირად კონტროლზე აიყვანა.

A4

## უცხოეთი

### ჰეიდარ ალიევს ჯორჯ ბუშის დახმარების იმედი აქვს

დღეს შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში აზერბაიჯანის ლიდერს ჰეიდარ ალიევს მიიღებს.
პრეზიდენტ ბუშის გარდა, ჰეიდარ ალიევი შეხვედრებს გამართავს სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელთან და ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინისთან.

A5

## საზოგადოება

### მოდით და ნახეთ რა კოლექტორი გვაქვს

გუშინ თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ ბლომად ჟურნალისტი შემოიკრიბა და ქალაქში ფეხითა თუ მანქანით მოსიარულეებისთვის ფრიად მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ აცნობა. შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ თბილისს ერთი ახალი სანიაღვრე კოლექტორი და ერთიც კიდევ ქვაფენილიანი გზა აქვს, ორი კოლექტორის მშენებლობა კი, ორ კვირაში დასრულდება.

A6

## სამართალი

### აფხაზეთში ქართველებს სეპარატისტული „სამშობლოს" ღალატისთვის კლავენ

ვიდრე ევროპარლამენტის კომისიის დელეგაციის წევრები გაარკვევენ, რა გააკეთა საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად და რაიმე პოზიციას შეიმუშავებენ, აფხაზების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე "ოფიციალურად" და "არაოფიციალურად", ალბათ, კიდევ ბევრ ქართველს გამოასალმებენ სიცოცხლეს.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 6 | ❄ |
| ქუთაისი | 7 | ❄ |
| ბათუმი | 6 | ❄ |
| სოხუმი | 6 | ❄ |
| ფოთი | 6 | ❄ |
| თელავი | 4 | ❄ |
| ზუგდიდი | 6 | ❄ |
| გორი | 1 | ❄ |
| ახმეტა | 4 | ❄ |
| ჭიათურა | 4 | ❄ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1830 |
| ევრო | 2.3476 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4546 |
| რუბლი | 0.0692 |

# დევნილების უკმაყოფილება - სოციალური აფეთქების საფრთხე



ასე ებრძვიან დევნილები ენერგოკრიზისს.

დალი კუპრავა

*ზუგდიდში მიმდინარე საპროტესტო აქციების პარალელურად, გუშინ წყნეთში მცხოვრებმა დევნილმა მოსახლეობამ მოძრაობა გადაკეტა. "ჩვენ ყველას გავაგებინეთ, მაგრამ, როგორც ხედავთ ნინო ბურჯანაძის და ლეიბორისტების მეტი არავინ გამოგვხმაურებია," – დაიჩივლეს აქციის მონაწილეებმა.*
*გზა წყნეთისკენ მანქანებით და პოლიციელებით იყო მოფენილი. "ამათ ხომ მოწვევა არ სჭირდებათ!" - პოლიციელებზე მინიშნებით ამბობდნენ სიცივითა და სიბნელით გაღიზიანებული ადამიანები.*

გუშინ, დილის ათი საათისთვის საპროტესტოდ გზაზე თავმოყრილი წყნეთის დევნილი მოსახლეობა პარლამენტის თვმჯდომარემ მოიკითხა.

მოსახლეობის თქმით, დენი დღე-ღამეში ორჯერ ორ-ორი საათით მიეწოდებათ, წყალი -დღეგამოშვებით. გადახდით, კი ჩვენდენს ბევრი არ იხდისო, დახმარების 14 ლარიდან, 4 ლარსა და 80 თეთრს დენის გადასახადს გვიქვითავენო, ამას გარდა, როგორც თქვეს, თითო სულ დევნილზე, სახელმწიფო, ზამთრის პროგრამის ფარგლებში, 6 თვის განმავლობაში 14 ლარს იხდის.

**"ჩვენ დევნილები ვართ და ერთ ოთახში ხუთ კაცზე ნაკლები არ ვცხოვრობთ. წარმოიდგინეთ რამდენს ვიხდით არარსებული დენის გადასახადს. შუქი რომ იყოს და მთელი ღამე გაჩახჩახებული რომ გვქონდეს, თვეში 90 ლარის ელექტროენერგია რომელ ოჯახს დაგვჭირდება?!"**- გვეუბნება ოჩამჩირელი ქალბატონი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რატომ არ სვამთ აფხაზეთის ანექსიის საკითხს?

## კითხულობენ ევროპარლამენტარები

თამარ ხორბალაძე

*ევროპარლამენტის დელეგაცია, რომელიც თბილისში კვირას ჩამოფრინდა და ორშაბათს პანკისის ხეობის მონახულება უკვე მოასწრო, დღეს სენაკში, შემდეგ კი სოხუმში გადაფრინდება, სადაც აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლებთან შეხვედრას გეგმავს. დღესვე უნდა გაიმართოს აფხაზეთიდან დევნილებთან შეხვედრა, რომელიც, მოსალოდნელია, რომ საკმაოდ მძიმე იქნება.*
*გუშინ კი, სწორედ ლტოლვილთა აქცია გახდა მიზეზი იმისა, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ევროპარლამენტის დელეგაციასთან შეხვედრაზე 45 წუთით დააგვიანდა.*

**"აქცია, მართალია, სოციალური ხასიათის იყო, თუმცა დევნილთა უმთავრესი პრობლემა თავიანთ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებაა,"** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ უკვე ევროპარლამენტის დელეგაციის წევრებთან შეხვედრაზე.

პარლამენტის თავმჯდომარემ სთხოვა სტუმრებს, უფრო აქტიურად ჩაერთონ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში. მანვე ევროპარლამენტის ჰუმანიტარულ ოფისს მიმართა თხოვნით, გაზარდოს საქართველოსთვის, კერძოდ, დევნილთათვის ჰუმანიტარული დახმარების მოცულობა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "ერაყმა ბოლო შანსი გაუშვა"

შოთა უტიაშვილი

გუშინ გაერო-ში დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა, სერ ჯერემი გრინსტოკმა თავისი ქვეყნის, აშშ-სა და ესპანეთის სახელით წარადგინა უშიშროების საბჭოს ახალი რეზოლუციის პროექტი. რეზოლუცია, მართალია, პირდაპირ არ იძლევა "ყველა საჭირო საშუალების გამოყენების" სანქციას, მაგრამ არაპირდაპირ მაინც ომის გამოცხადების ტოლფასია.

"მოქმედებს რა გაერო-ს ქარტიის მეშვიდე თავის ფარგლებში, საბჭო ადგენს: 1. ერაყმა ხელიდან გაუშვა უკანასკნელი შანსი."

პროცედურის თანახმად, რეზოლუციის წარმდგენს შეუძლია მოითხოვოს 24 საათის განმავლობაში მისი კენჭისყრაზე დაყენება. მაგრამ, მოკავშირეები არ ჩქარობენ. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ჯეკ სტროუს განცხადებით, "გადაწყვეტილების მისაღებად უშიშროების საბჭოს ორი კვირა ექნება, შესაძლოა, ცოტა მეტიც".

თუმცა, ამერიკელები ამბობენ, რომ ომს ახალი რეზოლუციის მიღების გარეშეც დაიწყებენ. "ან ისე, ან ასე მშვიდობისა და ამერიკელი ხალხის უსაფრთხოების სახელით, სადამი განიარაღებულ იქნება," – განაცხადა პრეზიდენტმა ბუშმა. ამჟამად სახელმწიფო დეპარტამენტი ცდილობს, დაარწმუნოს უშიშროების საბჭოს წევრები, რომ ისინი ახლა მხოლოდ საბჭოს ერთიანობისა და ავტორიტეტის შენარჩუნებას უნდა ეცადონ. ომის თავიდან აცილება უკვე შეუძლებელია.

გაგრძელება A5 გვერდზე

# დასავლეთი აღმოსავლეთში უსაფრთხო ალტერნატივას ეძებს

*დღეს გაიმართება აშშ-ს უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზედაც განიხილება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის პროექტების უსაფრთხოების საკითხები. სხდომაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის დელეგაციების წარმომადგენლები. ისინი განიხილავენ სატრანსპორტო-ენერგეტიკული დერეფნის "აღმოსავლეთი-დასავლეთის" უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემებს. ოთხშაბათსვე საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი გიორგი ჭანტურია შეხვდება ამერიკული კომპანია "ნორტროპ გრუმანის" ხელმძღვანელობას. ეს ამერიკული კომპანია განიხილავს მილსადენის მთელ სიგრძეზე "კოსმოსური ქოლგის" შექმნის შესაძლებლობას.*

გიორგი გახელაძე

გუშინ საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის მთავრობების მოთხოვნით, ვაშინგტონში გაიმართა სპეციალური კონფერენცია "დერეფანი აღმოსავლეთი-დასავლეთი - რეალობაა", რომელიც აღნიშნულ ნავთობსადენსა და გაზსადენს შეეხება. ამ გაფართოებულ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს აშშ-საქართველოს, აშშ-აზერბაიჯანისა და აშშ-თურქეთის ბიზნეს საბჭოების წარმომადგენლებმა. კონფერენციის მსვლელობისას განიხილებოდა პროექტებში ამერიკული ფინანსური და სადაზღვევო კომპანიების მონაწილეობის საკითხები.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ვინ და რატომ ცდილობს ტოლობის ნიშნის დასმას

## პარტიულ "არმიებსა" და პარტიულ ქისას შორის

გიორგი ასანიშვილი

*"ცივი ომის" წლებში კაპიტალისტური და სოციალისტური სამყაროს მშვიდობიანი თანაარსებობა მაღალი დონის სამხედრო ტექნოლოგიების შედარებით პარიტეტს ეფუძნებოდა: ორივე მხარემ კარგად იცოდა, რომ მოწინააღმდეგეზე ხელის აღმართვის შემთხვევაში, თავადაც დაახლოებით იმ ხარისხით დაზარალდებოდა, როგორითაც მისი თავდასხმის ობიექტი. ამიტომ, ძალის გამოყენებისგან ორივე ბანაკი თავს იკავებდა. დაახლოებით, ასეთივე "სამშვიდობო მოდელი" შეიძლება იქნას გამოყენებული 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს - თუ a პოლიტიკურ პარტიაში ეცოდინებათ, რომ b და c პარტიების უკანაც მათი ძალის შესატყვისი შეიარაღებული ფორმირებები დგანან, მაშინ იარაღის ჟღარუნს არჩევნებში მონაწილე ვერც ერთი სუბიექტი ვერ გაბედავს.*

თუმცა, რაც ამართლებს დიდ პოლიტიკაში, შედარებით დაბალ დონეზე შეიძლება დამღუპველი გამოდგეს: ცალკეული პოლიტიკური ძალების მილიტარიზაციამ სალვადორი, ნიკარაგუა, ჰონდურასი და ზოგიერთი სხვა ქვეყანა მრავალწლიან სამოქალაქო ომში ჩაითრია. ღმერთმა ნუ ქნას, ამ ჩამონათვალს მომავალში საქართველოც შეუერთდეს. არადა, მრავალგზის გამეორებულ ბრალდებებს, რომ საქართველოში თითოეული პოლიტიკური პარტიის უკან უკანონო შეიარაღებული ფორმირება დგას, კატეგორიულად არავინ უარყოფს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# საზარელი მკვლელობა ცხელ კვალზე გაიხსნა

ხათუნა ჯანგირაშვილი

გუშინ, თბილისში, კიდევ ერთი საზარელი მკვლელობა მოხდა. ბახტრიონის ქუჩის №20-ში მცხოვრებ დარჩიაშვილების ოჯახში დილის ათ საათზე ნიღბიანი, თავზე წინდაჩამოცმული ყაჩაღები შეცვივდნენ. თავდამსხმელებმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისა და დანების მუქარით ოჯახის წევრებს ფული მოსთხოვეს. ოჯახის უფროსმა მიხეილ დარჩიაშვილმა, რომელიც კარატეს მასწავლებელია, თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწია. განრისხებულმა ყაჩაღებმა მის მეუღლეს – ანა დარჩიაშვილს, შვილის, რძლისა და ერთი წლის შვილიშვილის თვალწინ ყელი გამოსჭრეს. ოჯახის დიასახლისი ადგილზევე გარდაიცვალა. მისმა ვაჟმა - კანცელარიის პროტოკოლის სამსახურის უფროსის მოადგილემ ზურაბ დარჩიაშვილმა - როგორღაც მოახერხა და საფანტის პისტოლეტიდან გასროლით ორი თავდამსხმელი დაჭრა.

გაგრძელება A7 გვერდზე



დაკავებულ ყაჩაღთა ჯგუფის წევრი.

A2 პოლიტიკა | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ავტომობილი
B2 კულტურა | B3 ანკეტა | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 განცხადებები | B7 სტილი | B8 სხვადასხვა

## ჰააგაში პროცესის გამართვა სოხუმის ინტერესებშია - აცხადებს შამბა

სოხუმის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ კომენტარი გაუკეთა ქართული მხარის მიერ ჰააგის სასამართლოში სასარჩელო პროცედურის დაწყებას. მან განაცხადა, რომ აფხაზეთიც ფლობს აფხაზთა გენოციდის შესახებ მასალებს და მზადაა გაარკვიოს საკითხი, თუ ვინაა დამნაშავე ომის წამოწყებაში.

მისი თქმით, **"ერთ-ერთი პირველთაგანი უნდა გადაეცეს სასამართლოს დევნილობაში მყოფი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი, რომელიც საომარ ზეწოლას ემხრობოდა და ემხრობა".**

**"იმისათვის, რომ საერთაშორისო სასამართლომ დოკუმენტაციის განხილვა დაიწყოს, ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს სახელმწიფოთაშორისო დაპირისპირების კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს, რაც აფხაზეთის ინტერესებს პასუხობს",** - მიიჩნევს შამბა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი თქმით, საქართველომ რუსეთთან უნდა გაარკვიოს საკითხი, რაც აბსურდია.

მან ასევე აღნიშნა, რომ აფხაზეთში არ შექმნილა საერთაშორისო ადმინისტრაცია, არ ამოქმედებულა გაერო-ს წესდების მე-7 მუხლი, რაც მშვიდობისათვის იძულებას ითვალისწინებს; ეს კი აუცილებელია სამხედრო დანაშაულებებთან დაკავშირებით ტრიბუნალის მოსაწვევად.

*პრაიმ ნიუსი*

## მოკლედ

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" წევრი დიმიტრი ჯაიანი, რომელიც ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა, რამდენიმე ხნის წინ სასტიკად სცემეს, სამშაბათს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გამოცხადდა. დიმიტრი ჯაიანმა სხდომაზე მადლობა გადაუხადა კოლეგებს თანადგომისათვის, ამასთან, თქვა რომ "არაკაცურად მოექცნენ" და ცოტა ხნით ჩამოაშორეს საპარლამენტო მუშაობას. მისი თქმით, მისი მოდრეკა შეუძლებელია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში აშშ-ს ელჩმა რიჩარდ მაილსმა განაცხადა, რომ აფხაზეთში მყოფ რუს სამშვიდობოთა დასავლეთის ქვეყნების კონტინგენტით ჩანაცვლება პრაქტიკულად შეუძლებელია, რამდენადაც "დასავლეთის ქვეყნები ამით დაინტერესებულნი არ არიან". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" წევრი, პარლამენტარი ნოდარ ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში, რომლის ჩატარებაც მიმდინარე წლის შემოდგომაზე იგეგმება, სახელისუფლებო პარტია "მოქალაქეთა კავშირს" გამარჯვების არანაირი პერსპექტივა არ გააჩნია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პანკისის ხეობაში დღეისათვის მცხოვრებ ჩეჩნეთიდან დევნილთა შორის კრიმინალური ელემენტების ან ტერორისტთა ყოფნის ალბათობა გამორიცხული არაა, თუმცა მათი გამოვლენის პროცესში შეიძლება უდანაშაულო ხალხი დაზარალდეს, - განუცხადა სამშაბათს პრაიმ-ნიუსს "საქართველოში ჩეჩნეთის კავკასიური კომიტეტის" თავმჯდომარემ ისლამ საიდაევმა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის ვიცე-სპიკერი, "გაერთიანებული დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი გიგი წერეთელი მიიჩნევს, რომ თუ შემოდგომაზე დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების წინ ოპოზიციური ბლოკის საარჩევნო სიას უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ჩაუდგა სათავეში " ძალიან კარგი იქნება ბლოკისათვის". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ აფხაზ სეპარატისტთა ეკონომიკის სამინისტროში გამართულ თათბირზე იხილებოდა სოხუმ-ოჩამჩირეს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხი. ამ მონაკვეთზე მიმოსვლა შეწყდა გასული წლის მარტში, რასაც შემდგომში დაემატა რამდენიმე კილომეტრის სიგრძის ძვირადღირებული კაბელის მოპარვაც. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გაეროს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენელმა საქართველოში ჰაიდი ტალიავინიმ დღეს საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანს თედო ჯაფარიძეს 19-20 თებერვალს აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით ჟენევაში გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების შეხვედრაზე შემუშავებული რეკომენდაციები გადასცა. **ინტერ-პრესი**

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

შეკითხვის ტექსტი: 1 2 3 4 5

პასუხის ტექსტი:

სახელი და გვარი

ბინის მისამართი

სახლის ტელეფონის ნომერი

ბინის ტელეფონის ნომერი

მობილური ტელეფონის ნომერი

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

## როგორ ეხმარება აშშ საქართველოს უსაფრთხოების გაძლიერებაში

კობა ლიკლიკაძე,
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

*თებერვლის დასაწყისში, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობის სფეროში გასულ წელს გაწეული მუშაობის შედეგები შეაჯამა. უწყების მიერ წარმოდგენილი საგარეო სამხედრო დახმარების მოცულობით, პირველ ადგილზე, ამერიკის შეერთებული შტატებია, რომელიც საქართველოს სამხედრო ძალების "წვრთნისა და აღჭურვის" მეტად მნიშვნელოვან პროგრამას აფინანსებს. თუმცა, საზოგადოებას გაცილებით ნაკლები ინფორმაცია აქვს ერთობლივ ქართულ-ამერიკულ პროექტებზე, რომლებიც სახმელეთო და საზღვაო საზღვრების დაცვის თანამედროვე სისტემებით უზრუნველყოფასა და კრიზისული მართვის ერთიანი ცენტრის შექმნას ისახავენ მიზნად.*



"წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის მესამე ეტაპის დასაწყისი.

სავარაუდოდ, აპრილის თვიდან, საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტი ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გამოყოფილი 10 მილიონი დოლარის მოცულობის დახმარების ათვისებას დაიწყებს. საქართველოს სასაზღვრო უწყების ოფიციალური ინფორმაციით, ამერიკის მხარესთან ერთად უკვე განსაზღვრულია პრიორიტეტები, რომელთა მიხედვითაც ამ თანხის ათვისება მოხდება.

როგორც ირკვევა, პირველი რიგის ამოცანას, ქართველ მესაზღვრეთა დამატებითი კონტიგენტის აღჭურვა, სხვადასხვა საგუშაგოების გაძლიერება და საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარზე კონტროლის გაფართოება წარმოადგენს. ამასთან, აღნიშნული თანხის ათვისება მოხდება პროგრამულად და მის განკარგვას მთლიანად ამერიკული მხარე გააკონტროლებს. საქართველოს სასაზღვრო უწყება კი, როგორც მიმღები მხარე, ტექნიკური საშუალებებისა და ინვენტარის პრიორიტეტების მიხედვით განაწილებასა და მათ სწორ ექსპლუატაციაზე იქნება პასუხისმგებელი.

ასეთ რეჟიმში, ქართველი მესაზღვრეები და ამერიკელი სპეციალისტები მეხუთე წელია, განაგრძობენ მუშაობას პირველ ერთობლივ პოროექტზე, რომელიც სახელმწიფო საზღვრის მართვის, კონტროლისა და თვალთვალის სისტემის ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად.

სისტემას სახელად "იორი" ეწოდება და მისი შექმნის იდეა ეკუთვნის ქართველ მეცნიერს ანატოლი გორგოშიძეს, რომელსაც სხვადასხვა დროს რუსეთის ზესაიდუმლო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მუშაობის მრავალწლიანი სტაჟი აქვს. ქართველი კონსტრუქტორის მიერ შემუშავებული იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყნის საზღვრის დაცვა სწორედ ცენტრალიზებული ელექტრონული სისტემით ხორციელდებოდეს და არ იყოს, როგორც აქამდე ხდებოდა, ცალკეული მწყემსების მიერ ჩამოტანილი ინფორმაციების იმედზე.

აღსანიშნავია, რომ სისტემა "იორის" შესაქმნელად ამერიკა უკვე ყოველწლიურად გამოყოფს 3-4 მილიონი დოლარის ტექნიკურ დახმარებას და ანატოლი გორგოშიძეც პირველ შედეგებზე საუბრობს.

***"პროექტის დაახლოებით 30-40 პროცენტი რაელიზებულია. თანამედროვე პირობებში ნებისმიერი სახელმწიფო, ასეთი სისტემების გარეშე ვერ იმუშავებს. იმიტომ რომ, თუ არ იქნება ინფორმაციის რეალურ დროში გადაცემა საზღვრიდან ცენტრში და ცენტრიდან - საზღვრამდე, თუ არ იქნა დაყენებეული გარკვეული სენსორები, როგორ უნდა ვიმუშაოთ?"***

სისტემა "იორის" მეორე კომპონენტია კონტროლის ქვესისტემა, რომელიც საკონტროლო-გამშვებ პუნქტებში სპეციალური აღრიცხვის აპარატის ფუნქციონირებას ითვალისწინებს. ეს კომპონენტი მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მინიმუმამდე შემცირდეს ქვეყანაში კონტრაბანდული საქონლის შემოტანა და კონტროლდებოდეს საქართველოს გავლით ტრანზიტული ტვირთების ბრუნვა. არავისთვის დასამალი არ არის, რომ კონტრაბანდული საქონლის მაღალი ხვედრითი წილის გამო, საქართველოს ბიუჯეტი ყოველწლიურად 50-60 მილიონი დოლარის შემოსავლებს კარგავს.

მესამე კომპონენტის - თვალთვალის ქვესისტემით, ხდება საზღვაო სანაპირო ზოლისა და მწვანე საზღვრის კონტროლი სპეციალური სენსორებითა და რადიოლოკატორებით. ამერიკელების დახმარებით, სუფსის ნავთობის ტერმინალზე უკვე დაწყებულია ამგვარი აპარატურის დამონტაჟება. კიდევ უფრო ძლიერი სენსორული აპარატურა დამონტაჟდება ბაქო-თბილისი- ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის მარშრუტზე.

გარდა ამისა, საზღვრის დარღვევების აღმოსაჩენად, ერთ წელიწადზე მეტია სპეციალური სენსორები ფუნქციონირებენ საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთ-ინგუშეთის მონაკვეთზე. ამიტომ, საქართველოს სახელმწიფოს პირველი პირების მიერ ბოლო ხანს გაკეთებული განცხადებები ამ მონაკვეთზე არსებული ოპერატიული ვითარების შესახებ, სწორედ ამ აპარატურით მიღებულ ინფორმაციასაც ეყრდნობა. მონაცემთა სიზუსტე კი უმნიშვნელოვანესი ელემენტია კრიზისული მართვის ცენტრებისთვის, რომლებიც ამ ინფორმაციების გადამუშავების შემდეგ განსაზღვავენ საფრთხეებს და სათანადო სტრუქტურებს გარკვეულ რეკომენდაციებს აძლევენ.

სხვათა შორის, როგორც ანატოლი გორგოშიძე აცხადებს, სისტემა "იორის" ფარგლებში, უკვე ამ წლის ბოლოს ამგვარი მართვის ცენტრის შექმნაც არის გათვალისწინებული.

მაგრამ იმისთვის, რომ საქართველოს შესაბამისის სტრუქტურები სრულად აკონტროლებდნენ ქვეყნის საზღვრებზე მიმდინარე პროცესებს, ამისთვის სისტემა "იორი" ერთ-ერთი აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობაა. ჯერ-ერთი იმიტომ, რომ სისტემის შექმნა მხოლოდ შუა გზაზეა და თანაც "იორი" არ არის გათვალისწინებული საქართველოს საჰაერო სივრცის კონტროლისათვის, რაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრეროგატივაა. მაგრამ წელს საქართველოს გაუჩნდა შანსი, შეუერთდეს ნატო-ს ინიციატივას, რომელიც წევრ სახელმწიფოთა შორის საჰაერო ვითარების მონაცემთა ურთიერთგაცვლას ითვალისწინებს. თუ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ჩაფიქრებულია, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ალიანსის ამ ინიციატივასთან მიერთების პროცედურა 2-3 წელს გასტანს. დაახლოებით ამდენივე დრო სჭირდება სისტემა "იორის" სრულყოფილად ამოქმედებას, რის შემდეგაც საქართველოს ზუსტი სურათი ექნება მის ტერიტორიაზე წყლით, ხმელეთითა თუ ჰაერით მოხვედრილ ყველა დაუპატიჟებელ სტუმარზე.

## სამხრეთ კავკასია - განსხვავებული მზერა ევროპისკენ

თამარ ხორბალაძე

*დღეს სასტუმრო "მარიოტში" იწყება საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის პარლამენტართა დელეგაციების შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობას ოცდაათზე მეტი პარლამენტარი მიიღებს. დიალოგი, რომელიც სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო ინიციატივის სახელით არის ცნობილი, საბოლოოდ, სამხრეთ კავკასიის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად.*


სამხრეთკავკასიელი პარლამენტარების პრესკონფერენცია.

აღნიშნული ინიციატივის რამდენიმე შეხვედრა 2001 და 2002 წლებში, ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის - LINKS-ის მხარდაჭერით ჩატარდა დიდ ბრიტანეთში.

თბილისის შეკრება დღეს იწყება ერთდღიანი კონფერენციით - "სამხრეთ კავკასია და ევროპა". კონფერენციაზე წარმოდგენილნი იქნებიან ევროპული ინსტიტუტები, მათ შორის - ევროპის საბჭო, ეუთო-ს ოფისის თავმჯდომარე, ევროკავშირი და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. შეხვედრის მეორე დღეს გაიმართება ორმხრივი შეხვედრები, ხოლო ბოლო დღეს, სამხრეთ კავკასიის პარლამენტარების ფორუმი სამომავლო საქმიანობაზე იმსჯელებს.

თბილისის დღევანდელი შეხვედრა რეგიონის პარლამენტარების ყველაზე მასშტაბური შეკრებაა და, როგორც წინა შეხვედრების დროს ლონდონში, ამ შეხვედრაზეც წარმოდგენილნი არიან სამი ქვეყნის სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების წევრები, როგორც სამთავრობო, ასევე ოპოზიციური პარტიებიდან.

გუშინ სამი ქვეყნის დელეგაციათა ხელმძღვანელებმა ჟურნალისტებისთვის პირველი ბრიფინგი გამართეს. მათ იმ "საერთოზე" ისაუბრეს, რამაც ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი პარლამენტარები ერთ მაგიდასთან დასვა.

**"ჩვენ შევეცადეთ, დღის წესრიგში შეგვეტანა ის საკითხები, რომლებშიც წინააღმდეგობა ნაკლებად გვაქვს. ამიტომ, ამ შეხვედრებზე კონფლიქტების საკითხს, ჯერჯერობით, არ შევეხებით,"** - განაცხადა ქართული დელეგაციის წარმომადგენელმა გივი შუღაროვმა. ასეთი "საერთო საკითხები" სამხრეთკავკასიელი პარლამენტარებისთვის ევროპასთან და ნატო-სთან ინტეგრაციის თემა აღმოჩნდა. თუმცა, იმთავითვე ცნობილი გახლდათ და გუშინდელ კომენტარებშიც გამოჩნდა, რომ ამ საკითხებშიც საერთო პოზიციის მოძებნა სამხრეთ კავკასიაში მარტივი არ არის.

მაგალითად, აზერბაიჯანის დელეგაციის ხელმძღვანელმა სიავუშ ნავროზოვმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ევროპაში ინტეგრაციაზე საუბრისას საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმას, რომ ტერიტორიული დავების გადაწყვეტისა და ერთმანეთის ტერიტორიული მთლიანობის აღიარების გარეშე, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ევროპასთან ინტეგრაციაზე საუბარი არარეალურია.

სომხეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, სომხეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ტიგრან ტოროსიანმა ხაზი გაუსვა, რომ პარლამენტების გარდა, ამ ქვეყნებს აღმასრულებელი ხელისუფლება და პრეზიდენტები ჰყავთ, რომელთა დონეზეც წყდება ასეთი საკითხები, თუმცა აქვე აღნიშნა, რომ "პარლამენტარებს ამ პროცესისთვის ხელის შეწყობა შეუძლიათ".

სამაგიეროდ, აბსოლუტურად ერთსულოვანნი გახლდნენ სამი ქვეყნის პარლამენტარები "24 საათის" კითხვაზე პასუხისას, განაცხადეს რა, რომ დემოკრატიული არჩევნების ჩატარება ჩვენს ქვეყნებში მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი წინაპირობაა კავკასიის ქვეყნების ევროპაში ინტეგრაციისთვის. მათ აღნიშნეს, რომ ევროსაბჭოს წევრობა სამივე ქვეყანას თვისობრივად ახალ მოთხოვნებს უყენებს, და ხაზი გაუსვეს, რომ წელს სამივე ქვეყანას მოუწევს გამოცდის ჩაბარება არჩევნების სახით.

## დღესასწაული - აი, რა აკავშირებთ ერთმანეთთან ენერგოკრიზისს, კლარა ცეტკინსა და სოციალიზმს

გიორგი ასანიშვილი

**"ლტოლვილები თავისი სამშობლოს მეორე ნაწილშიც ღირსებააყრილნი ცხოვრობენ"**, - აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. იგი მოუწოდებს მთავრობას, "ერთი რამ მაინც ისწავლოს": თუ დევნილებს პრობლემებს ვერ უგვარებს, მათ მოთხოვნებს ნორმალური პასუხი მაინც გასცეს. ასეთი მკვეთრი შეფასებები სპიკერმა მას შემდეგ გააკეთა, როდესაც ელექტროენერგიის მიწოდების მოთხოვნით, ლტოლვილებმა გუშინ დილით წყნეთის გზა გადაკეტეს.

■ ■ ■

**"საქართველოში, უკვე ათი წელია, ენერგოკრიზისი მძვინვარებს და შეიძლება მას იუბილეც კი გადავუხადოთ,"** - ლოგიკური "ინიციატივით" გამოდის ენერგეტიკის დარგში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის შემსწავლელი, პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩუბინიშვილი. იგი შეახსენებს დეპუტატებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ელექტროენერგიის ტარიფის შემცირების თაობაზე და ამ გადაწყვეტილების რეალიზებაში ბოლო სიტყვა სწორედ პარლამენტს ეკუთვნის.

ათწლიანი ენერგოკრიზისის მთავარ მიზეზად პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე იმ გარემოებას ასახელებს, რომ შექმნილი კატასტროფული ვითარებისთვის დღემდე არავინ დასჯილა. სპიკერი მოუწოდებს გენერალურ პროკურატურას, კიდევ ერთხელ შეისწავლოს **"ენერგომამების ღვაწლი ერის წინაშე"** და დამნაშავეებს პასუხი მოსთხოვოს, თუმცა თავადაც არ სჯერა, რომ ასე მოხდება. **"ნაკლებად მგონია, რომ ამ საქმიდან რამე გამოვა".**

■ ■ ■

"ახალი მემარჯვენეების" წევრი ფიქრია ჩიხრაძე უკმაყოფილოა იმით, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, მართალია, აფხაზეთში რუსი სამშვიდობოების დარჩენის სანაცვლოდ, ოფიციალურ მოსკოვს გარკვეული პირობები წაუყენა, მაგრამ ბოლოს მოხდა ისე, რომ კონფლიქტის ზონაში ცისფერჩაფხუტიანები უპირობოდ დატოვეს.

ჩიხრაძე და "გაერთიანებული დემოკრატების" წარმომადგენელი, ხათუნა ხოფერია იმასაც შეახსენებენ აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომ ამ უკანასკნელმა აფხაზეთის პრობლემის მოგვარების გეგმის ერთ კვირაში პარლამენტში წარმოდგენის ვალდებულება აიღო. მას შემდეგ უკვე მრავალი კვირა გავიდა.

■ ■ ■

გუშინდელ პლენარულ სხდომაზე ფრაქცია "ტრადიციონალისტის" წევრმა ნატო ჩხეიძემ კატეგორიულად მოითხოვა 8 მარტის დღესასწაულის გაუქმება, რომელიც "კლარა ცეტკინის სახელთან და სოციალიზმთან ასოცირდება". მის სანაცვლოდ, დეპუტატის თქმით, საქართველოში 14 მაისს თამარობის დღესასწაული უნდა აღინიშნოს.

ამ უკანასკნელ მოსაზრებაზე სამომავლოდ მსჯელობა პარლამენტის თავმჯდომარეს შესაძლებლად მიაჩნია, მაგრამ 8 მარტის დღესასწაულის გაუქმების წინადადებას ის არ ეთანხმება. ბურჯანაძე შეახსენებს ჩხეიძეს, რომ 8 მარტი სულაც არ არის მხოლოდ **"კლარა ცეტკინისა და სოციალისტების დღე"** და ეს დღესასწაული გაერო-ს კალენდარშიც კია შეტანილი.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

## ალექსანდრე ჭაჭია: "მათ შესახებ ბევრი რამ უნდა ვიცოდეთ"

***-ბატონო ალექსანდრე, გვინდა მოვისმინოთ თქვენი მოსაზრებები "ნაციონალური მოძრაობის" განცხადებასთან დაკავშირებით, რაც ერთიანი ოპოზიციის ჩამოყალიბებას და "ნაცმოძრაობაში" "ერთობის" გაერთიანებას გულისხმობს?***

- მივესალმები "ნაციონალური მოძრაობის" სურვილს, გაერთიანდეს "ერთობასთან" და გააერთიანოს საქართველოში მოღვაწე ოპოზიციური პარტიები, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ამ არჩევნებში რეალურად ოპოზიციური ძალების ერთ ბლოკად გაერთიანება, რიგი მიზეზების გამო, ვერ მოხერხდება.

***- რამდენადაც ცნობილია, "ნაციონალურ მოძრაობას" და "ერთობას" შორის კონსულტაციები მიმდინარეობს ...***

- ვადასტურებ, რომ "ნაციონალურ მოძრაობას" და "ერთობას" შორის მიმდინარეობს კონსულტაციები, მაგრამ არავითარი კონკრეტული გადაწყვეტილება "ერთობას" არ მიუღია. ინფორმაციას იმის შესახებ, რომ აღნიშნული პოლიტიკური სუბიექტების გაერთიანება უახლოეს ხანებში მოხერხდება, ჟურნალისტურ ფანტაზიად და ჭორად მივიჩნევ.

იმისათვის, რომ "ერთობამ" მიიღოს გადაწყვეტილება "ნაციონალურ მოძრაობასთან" გაერთიანების



*ალექსანდრე ჭაჭია*

შესახებ, საზოგადოებამ და ჩვენ, მათ შესახებ ბევრი რამ უნდა ვიცოდეთ, რათა რეალურ ურთიერთობებზე ვისაუბროთ.

***- ე.ი. გაერთიანებას არ აპირებთ?***

- ჩვენთვის ცოტა ძნელია იმ პოლიტიკურ ძალებთან გაერთიანებაზე ლაპარაკი, რომლებიც წინა ორ საპრეზიდენტო არჩევნებზე შევარდნაძეს ადიდებდნენ და პატიაშვილის შედეგებს აყალბებდნენ. ძნელი იქნება ბლოკის ოპოზიციონერობაზე და პრინციპულობაზე საუბარი, როდესაც ბლოკის სიის სათავეში, სავარაუდოდ, ჟვანია შეიძლება იყოს. ეს ხომ გვართმევს ხელისუფლების კრიტიკის შესაძლებლობას.

***- შეიძლება ისე გავიგოთ, რომ "ერთობა" ჟვანიას გამო არ გაერთიანდება "ნაციონალურ მოძრაობასთან"?***

- მიმაჩნია, რომ ყველა პოლიტიკურმა ძალამ უნდა უზრუნველყოს არჩევნების სამართლიანი ჩატარება და საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად არჩევნებში ცალკე პოლიტიკურ ერთეულად მონაწილეობა. გაერთიანების შემთხვევაში, საზოგადოებისათვის ძნელი გასარკვევი იქნება, ვის დაუჭიროს მხარი - ჟვანიას, რომლის პროგრამით შევარდნაძე ქვეყანას 10 წელი ანგრევდა, თუ "ერთობას", რომელსაც შევარდნაძის რეჟიმთან არავითარი კავშირი არ ჰქონია. ბატონი ჯუმბერი და მე, ის პოლიტიკური ფიგურები ვართ, ვინც შევარდნაძის რეჟიმს ვებრძოდით.

***- მაშინ გაუგებარია, რის შესახებ იმართება კონსულტაციები?***

- ვიმეორებ, შესაძლებელი ყველაფერია, მაგრამ რეალურ ურთიერთობებზე საუბრის დაწყებამდე ჩვენ კიდევ ბევრი რამ გვინდა ვიცოდეთ "ნაციონალური მოძრაობის" შესახებ, რომელმაც ოპოზიციას გაერთიანებისაკენ მოუწოდა.

***"ინტერ-პრესი"***

## კობა დავითაშვილი: "ჭაჭიას შესახებ ჩვენ ბევრი რამ ვიცით"

თამარ ასათიანი

**- ჭაჭიას თქმით, მისთვის მიუღებელია იმ პოლიტიკურ პარტიასთან ურთიერთობა, რომელიც პრეზიდენტის არჩევნების დროს შევარდნაძეს უჭერდა მხარს და აყალბებდა პატიაშვილის ხმებს. მაშინ სააკაშვილი მოქკავშირის ერთ-ერთი ლიდერი იყო. სხვათა შორის, მას არც ჟვანიასთან დამეგობრება სურს.**

- მიველსალმები ჭაჭიას ასეთ გამოსვლებს. ისე, რაც უფრო მალე დაწერს განცხადებას პარტიიდან წასვლის თაობაზე, უფრო კარგი იქნება მისთვის.

**- "ერთობას" გულისხმობთ?**

- რა თქმა უნდა.

**- სხვათა შორის, ჭაჭია სულაც არ აპირებს პარტიიდან წასვლას და აცხადებს, რომ თქვენთან გაერთიანებამდე ბევრი რამ უნდა გაიგოს თქვენი პარტიის შესახებ.**

- ჩვენ უკვე ბევრი რამ ვიცით თავად ჭაჭიას შესახებ და არც ჩვენ ვაპირებთ მასთან გაერთიანებას.



*კობა დავითაშვილი*

**- ის კი ამბობს, რომ, საბოლოო ჯამში, მაინც მიესალმება ოპოზიციურ პარტიათა დაახლოების პროცესს.**

- მაშინ, ჩვენც მივესალმებით მის ასეთ განცხადებას.

**- ისე, თქვენთვის რა დატვირთვას იძენს "ერთობასთან" საარჩევნო ალიანსი?**

- ჩვენ ოპოზიციის გაერთიანება გვსურს.

**- სხვათა შორის, პატიაშვილთან კონსულტაციების დაწყებისთანავე თქვენ აცხადებდით, რომ მასთან ურთიერთობას მხოლოდ მაშინ გააღრმავებდით, თუკი პატიაშვილი უარს იტყოდა ჭაჭიასთან მეგობრობაზე.**

- ჩვენ პოლიტიკურ პარტნიორებს არანაირ ულტიმატუმს არ ვუყენებთ. მით უფრო, რომ მოვლენები ჩვენს გარეშეც სწორედ ასე წარიმართება.

**- ესე იგი, მათ შორის ურთიერთობა დაიძაბა?**

- "ერთობის" შიდაპარტიულ პრობლემებზე მეტს ვერაფერს გეტყვით.

## ვინ და რატომ ცდილობს ტოლობის ნიშნის დასმას

პირველი გვერდიდან

პოლიტპარტიების "გასამხედროების" საკითხმა აქტუალობა ჯერ კიდევ გასულ წელს, მუნიციპალური არჩევნების წინ შეიძინა და მის შესახებ პირველად ოპოზიცია ალაპარაკდა.

საარჩევნო უბანზე გიორგი ბარამიძისთვის იარაღის მოღერება; რუსთავის გზატკეცილზე საარჩევნო ბიულეტენების გატაცება და განადგურება; ქვემო ქართლიდან ჩამოყვანილი მოსახლეობის მიერ "იმელის" შენობის წინ იმავე ბარამიძისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება, - ეს ფაქტები მაშინ ბევრმა არჩევნებისთვის დამახასიათებელი შემთხვევითი ინციდენტების თანხვედრად მიიჩნია. თუმცა, 2 ივნისის შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, რომ შემთხვევითობა უკვე გამოირიცხა. მეტიც, გაურკვეველი წარმომავლობისა და ორიენტაციის შეიარაღებული პირების აქტიურობა კიდევ უფრო გაიზარდა და ლამის პერმანენტული ხასიათი მიიღო: გაიხსენეთ ცესკო-სთან დაკავშირებული ინციდენტი, დეპუტატ ჯემალ გამახარიას ფიზიკური შეურაცხყოფა, აჭარის წარმომადგენლობისთვის ხანძრის გაჩენის მცდელობა...

ბოლოს, კულმინაციურ მომენტში უკვე კონკრეტულმა სახელებმაც გაიჟღერა: თამაზ ნადარეიშვილი, მისი აფხაზეთის გათავისუფლების პარტია და ორივეს უკან მდგომი ორგანიზაცია "სატურნი". აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარემ ბრალდებები, ცხადია, უარყო, მაგრამ მართალი კაცის კვალობაზე, ალოგიკური იყო მის მიერ გადადგმული ნაბიჯი: მან "ბრალმდებელი" თანამდებობიდან გაათავისუფლა.

როდესაც მმართველმა ძალამ დაინახა, რომ უკანონო შეიარაღებული ფორმირებების საკითხში ოპოზიცია "მიწოლას" აპირებდა, სახელისუფლებო გუნდმა თვითონ გადაწყვიტა შეტევაზე გადასვლა. ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარემ ვიტალი ხაზარაძემ გუშინ პარლამენტს წარუდგინა მის მიერვე მომზადებული დადგენილების პროექტი, რომლის თანახმადაც, **"გენერალურმა პროკურატურამ, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებმა, კონტროლის პალატამ ერთი თვის ვადაში უნდა შეისწავლონ შეიარაღებული ფორმირებების (გარდა, სახელმწიფო დაქვემდებარებისა) შექმნის, საქმიანობის, დაფინანსების კანონიერებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაერთიანებებთან მათი თანამშრომლობის საკითხები და შედეგები მოახსენონ საქართველოს პარლამენტს."** ამ მუხლზე მიბმული შემდეგი პუნქტი კი თავად პოლიტიკური პარტიების დაფინანსების კანონიერების შესწავლას მოითხოვს.

ქაღალდზე გადატანილმა ვიტალი ხაზარაძის ნაფიქრალმა ბევრი პარლამენტარი გააოცა. მათთვის გაუგებარია, როგორ უნდა შეამოწმოს პოლიტიკური პარტიები კონტროლის პალატამ, როდესაც ამ უკანასკნელს მხოლოდ საბიუჯეტო ორგანიზაციებზე "მიუწვდება ხელი". ამის შესახებ, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მარიამ ცაცანაშვილის დახმარებით, გუშინ თავად სულხან მოლაშვილმა შეახსენა საკანონმდებლო ორგანოს წევრებს.

ან, რა საჭიროა სპეციალური დადგენილების მიღება იმის შესახებ, რომ სამართალდამცავმა სტრუქტურებმა უნდა გამოავლინონ და დასაჯონ უკანონო შეიარაღებული ფორმირებები (ან კანონიერი, მაგრამ უკანონოდ მოქმედი ფორმირებები)? ძალოვნებს ხომ ეს არათუ ხაზარაძის დადგენილებით, არამედ უფრო მაღალი რანგის ნორმატიული აქტით - კანონით - ისედაც ევალებათ?

ამ შეუსაბამობების წინაშე გუშინდელი სხდომის ბოლოს თავად ხაზარაძემაც მოიხარა ქედი და მის მიერ მომზადებული დოკუმენტიდან მათ ამოღებაზე დათანხმდა, რის შემდეგაც დადგენილების პროექტიდან... აღარაფერი დარჩა.

ვიტალი ხაზარაძის მთელი ამ "დადგენილებითი აბრაკადაბრის" უკან მხოლოდ ერთი სურვილი იკითხება: უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებთან ბრძოლის მოტივით პოლიტიკური პარტიების ფინანსური დოკუმენტაციის გაკონტროლება. ანუ, პროსახელისუფლებო ძალები, ერთგვარად, აშანტაჟებენ ოპოზიციას: შეიარაღებულ რაზმებზე ლაპარაკს თავს თუ არ დაანებებთ, პარტიულ სალაროს შეგიმოწმებთო.

ამ შეფარულმა მუქარამ ოპოზიციაზე, როგორც ჩანს, სათანადოდ მაინც ვერ იმოქმედა. პირიქით, იგი კონტრშეტევაზე სწორედ პარტიული ფინანსების "ფრონტზე" გადადის. **"რატომ არ გამოაქვეყნა "მოქალაქეთა კავშირმა" დეკლარაცია, მიუხედავად იმისა, რომ ამისთვის დაწესებული ვადა უკვე ამოიწურა? რატომ არა აქვს გადახდილი არაფერი სმკ-ს სახელმწიფო ხაზინაში, მაშინ, როდესაც მას აპარატის შტატიანი თანამშრომლები ჰყავს?"** - რადგან "დემოკრატი" ხათუნა ხოფერია ამ კითხვებზე ვიტალი ხაზარაძისგან პასუხს ვერ იღებს, დაასკვნის, რომ ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" ლიდერმა გუშინ **"მსუბუქ პოლიტიკურ ინტრიგას"** მიმართა.

ხოფერიას "დასკვნით" მოჩვენებითად აღშფოთებულმა ხაზარაძემ ჯერ "მამაშვილურად" დაარიგა ჭკუა ახალგაზრდა "დემოკრატს" დავით ტყეშელაშვილს, შემდეგ კი ისეთი განცხადება გააკეთა, რომ მთელი დამსწრე საზოგადოება გვარიანად გაამხიარულა. **"ჩვენ არც დრო გვაქვს, არც სურვილი, არც გამოცდილება, არც შინაგანი განწყობა და არც იმის პოტენციური შესაძლებლობა, რომ ინტრიგები მოვაწყოთ,"** - ვიტალი ხაზარაძის ასეთი პასუხის შემდეგ, მას და მის თანაფრაქციელებს დანარჩენმა პარლამენტარებმა დაკვირვებით დაუწყეს ყურება, ფრთები ხომ არ ამოსვლიათო, მაგრამ მსგავსი ვერაფერი შენიშნეს.

ასე სიცილ-ქილიკში დასრულდა გუშინ ხმაურითა და მუქარით დაწყებული განხილვა. მაგრამ ეს სულაც არ გულისხმობს იმას, რომ საკითხი საერთოდ მოიხსნა დღის წესრიგიდან. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისა და პარტიების დაფინანსების (ან მათი კომბინირებული ვარიანტი) საკითხი როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მხრიდან, საპარლამენტო არჩევნებამდე კიდევ არაერთხელ წამოტივტივდება.

## რატომ არ სვამთ აფხაზეთის ანექსიის საკითხს? - კითხულობენ ევროპელი პარლამენტარები

პირველი გვერდიდან

ევროპარლამენტის დელეგაცია გუშინ შეხვდა ვიცე-სპიკერ ვახტანგ ყოლბაიასაც.

ვახტანგ ყოლბაიამ ევროპარლამენტის სპეციალური დელეგაციის წევრებს მოუწოდა, უზრუნველყონ საერთაშორისო ორგანიზაციების გააქტიურება აფხაზეთის საკითხებთან დაკავშირებით. **"აფხაზი სეპარატისტები ეუთო-სადმი ნაკლები ნდობით არიან გამსჭვალულები და საჭიროა ამ მიმართულებით საქმიანობის გააქტიურება,"** - განაცხადა მან.

ვახტანგ ყოლბაიას თქმით, ბოდენმა ვერ მიაღწია იმას, რომ დოკუმენტის განხორციელებაზე რუსეთს თანხმობა ეთქვა.

ევროპარლამენტის წარმომადგენლები დაინტერესდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარების საკითხით. ვახტანგ ყოლბაიას თქმით, ჩატარებული ორი არჩევნებიდან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ არც ერთი არ არის აღიარებული.

დელეგაციის წევრმა დემეტრიო ვოლჩიჩმა აღნიშნა, რომ ევროპარლამენტს შეუძლია მხარდაჭერა აფხაზეთის საკითხის მოგვარებაში, თუმცა, როგორ მოხდება ეს, ამის დაკონკრეტებისაგან თავი შეიკავა.

ევროპარლამენტის დელეგაციის წევრები დაინტერესდნენ, მოქმედებს თუ არა პარლამენტში აფხაზეთის პრობლემაზე მომუშავე ჯგუფი. ეს საკითხი მათ წამოჭრეს პარლამენტის დელეგაციის წევრებთან შეხვედრისას, რომელსაც პარლამენტარი ვახტანგ ხმალაძე უძღვებოდა. ხმალაძემ განუმარტა სტუმრებს, რომ **"პარლამენტში მოქმედებს დროებითი კომისია, რომლის მეცადინეობითაც პარლამენტმა არაერთი გადაწყვეტილება მიიღო, როგორც სამშვიდობოების, ასევე საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით, თუმცა ეს გადაწყვეტილებები მთავრობის მიერ, სამწუხაროდ, არ სრულდება."**

გუშინ დელეგაცია დახურულ კარს მიღმა "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერს ზურაბ ჟვანიას შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი იყო იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ სვამს საქართველო რუსეთის მხრიდან აფხაზეთის ანექსიის საკითხს, მაშინ, როცა იგი აფხაზეთში მასობრივ პასპორტიზაციაზე, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე და სხვა დისკრიმინაციულ მეთოდებზე საუბრობს. ჟვანიამ განაცხადა, რომ **"ჩვენთვის მთავარია საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების გამახვილება რუსეთის აგრესიულ ქმედებებზე".**

### ეკა კვესიტაძის სვეტი

## გაერთიანების პრობლემა - ჯუმბერ პატიაშვილი

"ნაციონალური მოძრაობისა" და "დემოკრატების" წინასაარჩევნო გაერთიანებას, თითქოს, ხელს აღარაფერი უშლის. გასულ კვირას სააკაშვილმა და ჟვანიამ რამდენჯერმე განაცხადეს, რომ გაერთიანების პროცესი ორ კვირაში დასრულდება.

მაგრამ წინააღმდეგობები ამ ორ პარტიას შორის მაინც დარჩა. პირველ რიგში, ეს სიებში ადგილების გადანაწილების პრობლემაა. "ნაციონალური მოძრაობა" ითხოვს, რომ სიაში თანამიმდევრობა პარტიათა რეიტინგის მიხედვით განისაზღვროს, რასაც, ბუნებრივია, "დემოკრატები" ეწინააღმდეგებიან.

არსებობს კიდევ ერთი პრობლემა - ჯუმბერ პატიაშვილი.

ლოზუნგით, ვინც ჩვენთან არ არის, ის ხელისუფლებასთანაა, სააკაშვილი დღეს მთელი ოპოზიციის შემოკრებას ცდილობს.

თუმცა, პარტიებს შორის არჩევანი, ბუნებრივია, მხოლოდ იმისდა მიხედვით გაკეთდება, რამდენად ბევრი ამომრჩევლის მიზიდვა შეუძლია თითოეულ მათგანს.

"ნაციონალური მოძრაობის" არგუმენტი დღეს ასე ჟღერს – პატიაშვილს ჰყავს მომხრეები, განსაკუთრებით რეგიონებში. გარდა ამისა, პატიაშვილის შემოყვანა მათ ოპოზიციურ გაერთიანებაში ნათელაშვილის ყველაზე მჭრელ არგუმენტს დააბლაგვებს – რომ სააკაშვილი ისევ შევარდნაძის გარემოცვის ერთგულ წევრად რჩება, მას არც არასოდეს გაუწყვეტია ურთიერთობა პრეზიდენტთან და რომ რეალური ოპოზიცია მხოლოდ "ლეიბორისტული პარტიაა".

რაც შეეხება ბოლო არგუმენტს, საეჭვოა, რომ "ნაციონალური მოძრაობის" რიგებში პატიაშვილის გამოჩენამ ნათელაშვილის დემაგოგიაზე რაიმე გავლენა იქონიოს. პირიქით, ცეკას ყოფილმა მდივანმა, სავარაუდოა, რომ უფრო მაკომპრომეტირებლის როლი შეასრულოს. ამ კომპრომატს კი არა მარტო ნათელაშვილი, არამედ სააკაშვილის ბევრი სხვა ოპონენტი წარმატებით გამოიყენებს.

მართალია, "ნაციონალურ მოძრაობაში" აცხადებენ, რომ "ახალი ერთობის" იდეოლოგს და ცნობილ პრორუსს ალექსანდრე ჭაჭიას პატიაშვილი მათთან გაერთიანების შემთხვევაში საბოლოოდ ჩამოცილდება, მაგრამ, ცხადია, კანცელარია ჭაჭიას, როგორც არგუმენტს, ნებისმიერ მომენტში გამოიყენებს. გარდა ამისა, რაც მთავარია, "ნაციონალურ მოძრაობას" სერიოზული პრობლემები შეექმნება იმ ამორჩეველთან, რომელიც მოსახლეობის საშუალო და ზედა ფენას მიეკუთვნება, და რომლისთვისაც პატიაშვილი პრინციპულად მიუღებელი ფიგურაა.

რაც შეეხება ცეკას ყოფილი მდივნის მომხრეთა რაოდენობას, ეს ანგარიშგასაწევი, თუმცა საკამათოა თემაა. რადგან არ არსებობს სერიოზული სოციალური კვლევა იმის თაობაზე, ამ ეტაპზე როგორი რეიტინგით სარგებლობს პატიაშვილი.

ერთი კი ცხადია, მისი ფაქტორი ნეგატიურად იმუშავებს თბილისში. ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერისათვის, რადგან ზურაბ ჟვანიას ძირითად ამომრჩეველს დღეს თბილისის ე.წ. ელიტარული ნაწილი წარმოადგენს.

ამ ეტაპზე "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერები პატიაშვილის დათმობას არ აპირებენ. დათმობს თუ არა პოზიციებს ჟვანია, ძნელი სათქმელია. მაგრამ ცხადია, რომ დღეს "დემოკრატებს" სააკაშვილთან გაერთიანება სჭირდებათ.

## ირაკლი წერეთელი: „კატეგორიულად ვითხოვთ ამერიკის სამხედრო ბაზების შემოყვანას"

*"ეროვნული დამოუკიდებლობის" პარტიის თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი ითხოვს, რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს ვაზიანის სამხედრო ბაზაზე აშშ-ს სამხედრო ბაზების შემოყვანა. წინასწარი ინფორმაციით, დღეს ამ ინიციატივას მხარს დაუჭერს "ეროვნული თანხმობის კავშირი". მათ მომზადებული აქვთ მიმართვის ტექსტი, რომელიც დღეს გადაიგზავნება ამერიკაში.*

ბელა მახარაძე

ირაკლი წერეთელი და მისი თანამოაზრეები აცხადებენ, რომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს ვაზიანში ამერიკული სამხედრო ბაზების განლაგება. მათ "ეროვნული თანხმობის კავშირთან" და დეოკუპაციის კომიტეტთან ერთად (ამ კომიტეტში შედიან: "სახალხო", "ლიბერალური" და "აფხაზეთის განთავისუფლების" პარტიები და თავად "ეროვნული დამოუკიდებლობის" პარტია; ასევე მხარს უჭერენ თამაზ ნადარეიშვილი და კობა დავითაშვილი) შეიმუშავეს მიმართვა, რომელიც გაიგზავნება ამერიკის თავდაცვის მინისტრთან და პრეზიდენტის თანაშემწესთან.

"**ჩვენი პრინციპული თხოვნაა, ამერიკამ დააჩქაროს და ოპერატიულად გადაწყვიტოს ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ამერიკული სამხედრო ძალების შემოყვანა,**"- აცხადებს წერეთელი. სამხედრო ბაზების შემოყვანის აუცილებლობას წერეთელი იმით ხსნის, რომ სხვა მეზობელ ქვეყნებს საქართველოს მიმართ შეიარაღებული აგრესიის "**მადა**" დაეკარგებათ.

წერეთლის განმარტებით, ამერიკის დამსახურებაა ის, რომ საქართველოში დღეს არის სიტყვის თავისუფლება. "**იმ ქვეყნებში, სადაც ამერიკის სამხედრო ბაზებია განლაგებული, მათი დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელია,**"- აკონკრეტებს იგი. მიუხედავად იმისა, რომ წერეთელი არ უარყოფს პრეზიდენტის დამსახურებას ამ საკითხში, აცხადებს, რომ "ეროვნული დამოუკიდებლობის" პარტია იყო პირველი საქართველოში, ვინც ამის შესახებ განაცხადა 12 წლის წინ.

დღეს "ეროვნული თანხმობის კავშირთან" ერთად განიხილავენ მიმართვის ტექსტს და გადაწყვეტენ, რამდენად კატეგორიული ტონით უნდა შემუშავდეს მიმართვა. მიმართვის შინაარსი დაახლოებით ასეთია: რაც შეიძლება დაჩქარდეს საქართველოში ამერიკული სამხედრო ბაზების შემოყვანა. მათი აზრით, ეს პროცესი ჭიანურდება ამერიკის მხრიდან და აქვე აღნიშნულია, რომ ამ პროცესით დაიწყება საქართველოსა და ამირიკის ურთიერთობის ახალი ეტაპი და ეს სასარგებლო იქნება როგორც საქართველოსთვის, ასევე ამერიკისთვის.

## დევნილების უკმაყოფილება - სოციალური აფეთქების საფრთხე

პირველი გვერდიდან

წყნეთელი დევნილები ტელეფონის გადასახადსაც უფრო მეტს იხდიან, ვიდრე თბილისელები-თვეში ექვს ლარს.

**"სახელმწიფოს, რასაც დახმარების სახით გვაძლევს, გადასახადებით უკანვე მიაქვს. რა მჭირდა ამათი დასახმარებელი, დავეტოვებინე ჩემს სახლში,"-** შუა ხნის მამაკაცი სულმოუთქმელად ჰყვება 10 წლის წინანდელ ამბავს, როგორ დაატოვებინეს მშობლიური ქალაქი.

პარლამენტის თავმჯდომარემ აქციის მონაწილეების ექვსკაციანი წარმომადგენლობა დღეისთვის თავისთან მიიწვია და ვითარების გარკვევაში დახმარებას დაპირდა.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე სოსო შატბერაშვილი თანაფრაქციელებთან ერთად დევნილებს შორის იდგა და მათთან ერთად "ტკბილად" მოიხსენებდა ბოლო ათი წლის საქართველოს მთავრობას. შატბერაშვილი საკრებულოს კომპეტენციის ფარგლებში დახმარებას დაპირდა დევნილებს:"ყველას იქ მოგიყვანთ, საკრებულოში და შეგახვედრებთ,"- უთხრა მან ხალხს. მაგრამ როცა მათ "ეი-ი-ეს"-ის წარმომადგენლების თავისთან, წყნეთში ამოსვლა არჩიეს, მაშინ შატბერაშვილმაც ურჩია, რომ აქცია არ დაეშალათ და ეიძულებინათ "გველეშაპი" თავად ხლებოდა მათ.

დევნილები განსაკუთრებით გაღიზიანებული იყვნენ "ეი-ი-ეს"-ის ვაკე-საბურთალოს წარმომადგენლის, ნინო ტივაძის ანჩხლი ტონით და შატბერაშვილს შესჩივლეს: **"თითქოს ადამიანები არ ვიყოთ, ძაღლებივით გველაპარაკება - დიდი ამბავი თუ ოთხი საათი გაქვთ დენი, ჯერ სადა ხართ, მალე ორი საათი გექნებათო".**

დევნილებმა ბინდში ჩაძირული წყნეთის სურათიც ანდერსენის სოციალური ზღაპარივით დაგვიხატეს: **"რომ დაბნელდება, მაშინ ამოდით ჩვენთან და კალაშოვის, ჩხარტიშვილის და სხვების გაბრდღვიალებულ სასახლეებს გაჩვენებთ. კალაშოვის შუქის წყალობით ჩემი ერთი ოთახიც კი ნათდება. ამოდით და ნახეთ, როგორ შენატრიან ჩვენი შვილები სხვის ცხოვრებას და თავად კი სკოლაში, თუ სახლში გაყინულები და მშივრები არიან"...**

**P.S.** "რა ვიცი, ახლაც, რომ მოვდიოდი ქუჩის ლამპიონები ანთებული იყო, საღამოს რვა საათის შემდეგაც სულ ანთია და როდის არა აქვთ შუქი, არ ვიცი,"- უკვე თბილისში მითხრა ერთმა ნაცნობმა, რომელიც კიკეთიდან ყოველ დილით მოდის თბილისში.

მეორე ნაცნობმა კი : "მაგათ თუ ოთხი საათი აქვთ დენი, ჩვენ ორი საათიც არა გვაქვს. არადა "ეი-ი-ეს თელასი" ამბობს, რომ ისე კარგად, როგორც ვარკეთილი, არც ერთი რაიონი არ იხდისო".

# „აირზენას" მესამე ბოინგი




თამაზ გაიაშვილი და ალენ ოლივერი.

ნინო ნარჩემაშვილი

15 მარტს თბილისში ავიაკომპანია "აირზენასათვის" განკუთვნილი 737-500 ტიპის ბოინგი ჩამოფრინდება. ეს ავიაკომპანიის უკვე რიგით მესამე ბოინგი იქნება. გუშინ, "შერატონ მეტეხი პალასში" ამერიკული სალიზინგო კომპანია CIT-ს ვიცე-პრეზიდენტმა ალენ ოლივერმა და ავიაკომპანია "აირზენა-საქართველოს ავიახაზების" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ გაიაშვილმა ხელი მოაწერეს კონტრაქტს. ქართულ ავიაკომპანიას ლიზინგის წესით, ხუთწლიან სარგებლობაში 212-ადგილიანი ბოინგი გადაეცემა და პრაღის, ბერლინის, მილანისა და ამსტერდამის მიმართულებით შეასრულებს რეისებს. თვითონ კონცერნი "ბოინგი" კი CIT-სა და "აირზენას" შორის შუამავლისა და გარანტის როლს ასრულებს. "ბოინგის" ვიცე-პრეზიდენტის ვლადიმირ სილვერსტოუნის განცხადებით, **"აირზენა" საერთაშორისო არენაზე შესანიშნავი რეპუტაციით სარგებლობს, ამიტომ კონცერნი ყველანაირად უჭერს მხარს ქართული ავიაკომპანიის გაფართოებას."** რაც შეეხება აღნიშნულ ბოინგს, მისივე განმარტებით, იგი ყველაზე პოპულარული მოდელია მსოფლიოში და დღესაც იწარმოება.

CIT-სა და "აირზენას" შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობები კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს. თამაზ გაიაშვილი მხოლოდ აღნიშნავს, რომ სალიზინგო პირობები ხელსაყრელია და უფრო შეღავათიანი, ვიდრე წინა ორი "ბოინგის" შემთხვევაში. საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის, მერაბ ადეიშვილის განცხადებით, სასიხარულოა ქართული ავიაკომპანიის წინსვლა და გაძლიერება. მისივე თქმით, სამინისტროს "აირზენასთან" არანაირი კონფლიქტი და პრეტენზია არა აქვს და უთანხმოება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოსთან არსებობს, რომელმაც თურმე **"ავიაკომპანიისა და ტრანსპორტის სამინისტროს საქმე არაკონსტიტუციური გადაწყვეტილებით დაასრულა."**

# სახელმწიფო მინისტრის პირადი ინტერესი - „ჭიათურმანგანუმი"

სოფო კვინტრაძე

რამდენიმე თვეა, ჭიათურმანგანუმის საწარმო და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა სახელმწიფო მინისტრის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა. ავთანდილ ჯორბენაძემ ამ ორ ობიექტთან დაკავშირებული პროცესები პირად კონტროლზე აიყვანა. სახელმწიფო კანცელარიაში გუშინ გამართულ თათბირზე მთავრობამ ქონების მართვის მინისტრის მოადგილის ზურაბ გარაყანიძის ანგარიში მოისმინა, რომელიც რამდენიმე კვირა ჭიათურაში იმყოფებოდა. ჭიათურმანგანუმში საკადრო ცვლილებები მიმდინარეობს, სპეციალურად შექმნილმა კომისიამ, ახლახან, გენერალურ დირექტორად აკაკი გურჯიძე აირჩია. შვიდ მარტს დაგეგმილია მანგანუმის კრედიტორთა საბჭოს სხდომა, სადაც სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს აირჩევენ. გარაყანიძის ინფორმაციით, საწარმოში ამჟამად 2500 ტონა მანგანუმია დამზადებული, საიდანაც 1500 ტონა ფეროშენადნობთა ქარხანამ იყიდა. ახლადარჩეული გენერალური დირექტორი კი მომავალ კვირას კიევში მიემგზავრება, სადაც მოლაპარაკებებს



გამართავს ხუთი ათასი ტონა მანგანუმის გაყიდვის თაობაზე. ამას გარდა, გურჯიძე უკრაინულ კომპანია "დელტა ექსპორტთანაც" გეგმავს ურთიერთობების განახლებას. როგორც ჭიათურმანგანუმის ხელმძღვანელობა აცხადებს, საწარმოს უპირველეს პრობლემად კვლავ რჩება ელექტროენერგიის მიწოდება. **"ერთი საათით დენის გათიშვა ნიშნავს, რომ ჩვენ ვკარგავთ ხუთი ათას ტონა მადანს ანუ 30 ათას დოლარს,"** – აცხადებს აკაკი გურჯიძე. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით კი, ჭიათურმანგანუმს საბითუმო ბაზრის მიმართ 360 ათასი ლარი აქვს დავალიანება, თუმცა, ვალის გადახდა მაისამდე გადაიდო. ერთადერთი, რასაც ამ ეტაპზე ჭიათურმანგანუმისაგან მოითხოვენ, ელექტროენერგიის მიმდინარე გადასახადის სრულად დაფარვაა.

სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ სხვადასხვა უწყებების ხელმძღვანელ პირებს ჭიათურმანგანუმისადმი დახმარების გაწევა დაავალა. მაგალითად, საქართველოს რკინიგზის გენერალურ დირექტორს ჭიათურმანგანუმის პროდუქციის გადაზიდვაზე გარკვეული შეღავათების გაწევა დაევალა, რამაც აკაკი ჩხაიძე აშკარად არ აღაფრთოვანა. მისი განცხადებით, ერთი ტონა მანგანუმის გადაზიდვაში ჭიათურმანგანუმი 4 ლარს იხდის, ხოლო რკინიგზას ეს 11 ლარი უჯდება. როგორც ჩანს, აკაკი ჩხაიძეს მეტი "ქველმოქმედების " გაწევა ნამდვილად აღარ უნდა. სახელმწიფო მინისტრი საწარმოს რეაბილიტაციის გეგმის 15 მარტამდე დასრულებას მოითხოვს. ამ გეგმის თანახმად, ჭიათურმანგანუმის ფინანსთა სამინისტროსადმი არსებული 27 მილიონი ლარის ოდენობის დავალიანების ბედიც უნდა გადაწყდეს.

# სსფ საქართველოს საბაჟოს რეფორმის კონკრეტულ რჩევებს შესთავაზებს

საერთაშორისო სავალუტო ფონდი კვირის განმავლობაში შეიმუშავებს საქართველოს საბაჟო სისტემის რეფორმირების გეგმას. ამის შესახებ განცხადება ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ალექსანდრე ასლანიკაშვილმა სსფ-ს მისიის ეკონომისტთან ტოდ მატინთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

შეხვედრა ორი საათის განმავლობაში დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. მასში მონაწილეობდა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე დავით გალეგაშვილი. შეხვედრისას ასლანიკაშვილმა წარმოადგინა ინფორმაცია უწყებაში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით. მატინმა შეხვედრის შემდეგ კომენტარისაგან თავი შეიკავა.

*კავკას-პრესი.*

# მესამე ბლოკის ჩართვას იმპორტს ამჯობინებენ

სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი მესამე ენერგობლოკის ჩართვის შემთხვევაში, ელექტროენერგიის თვითღირებულება გაიზრდება, ამიტომ, ენერგეტიკის სამინისტრო შედარებით იაფი ელექტროენერგიის იმპორტს ამჯობინებს.

ენერგეტიკის სამინისტროში განაცხადეს, რომ მესამე ენერგობლოკი ეკონომიკურად წამგებიანია. მისი გაზით უზრუნველყოფის შარშან აპრობირებული მეთოდი კი, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა დაიწუნა. გასულ წელს ბლოკი სპეციალური სქემით მუშაობდა: სააქციო საზოგადოება "აზოტი" ენერგობლოკს აირს აწვდიდა, თავის მხრივ კი, სისტემიდან ელექტროენერგიას იღებდა. "აზოტი" ამით ენერგოსაბითუმო ბაზრის ვალსაც ქვითავდა. ელექტროენერგიის და გაზის ნედლეულის სახით გაცვლა ფონდმა უარყოფითად შეაფასა და "აზოტსა" და "თბილსრესს" შორის ფინანსური გადარიცხვების აუცილებლობაზე მიუთითა.

*"ინტერ-პრესი"*

# დასავლეთი აღმოსავლეთში უსაფრთხო ალტერნატივას ეძებს

პირველი გვერდიდან

გუშინვე ვაშინგტონში დაიწყო ოფიციალური მოლაპარაკებები ამ მილსადენების პროექტების დაფინანსებასთან დაკავშირებით. ქართულ მხარეს წარმოადგენს პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი გია ჭანტურია. ამ მოლაპარაკებებისათვის ვაშინგტონში ჩავიდა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი. ის შეხვდება აშშ-ს სახელმწიფო მდივანს კოლინ პაუელს, თავდაცვის მინისტრს დონალდ რამსფელდს, პრეზიდენტის თანაშემწეს ეროვნული უშიშროების საკითხებში კონდოლიზა რაისს, ვიცე-პრეზიდენტს დიკ ჩეინს და აშშ-ს პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს.

ამავდროულად, თურქეთის ტერიტორიაზე, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მარშრუტის ახლოს, ქურთების მუშათა პარტიის ინიციატივით გამოსვლები დაიწყო. როგორც აღნიშნა ამერიკული გამომცემლობის Village Voice-ს ჟურნალისტმა, ქურთი პარტიზანების რაზმები გაიზარდა, შესაბამისად, იმატა შეიარაღებულმა ინციდენტებმა.

იანვარში თურქეთის სამთავრობო ჯარებმა იერიში მიიტანეს ქურთების მუშათა პარტიაზე ქალაქ ლიჯისთან. მაშინ განადგურებული იყო 12 მეამბოხე. ამ დღეებში კი მეამბოხეები ქალაქ იდილთან თავს დაესხნენ სამთავრობო ჯარებს და მოკლეს ერთ-ერთი სამხედრო მოსამსახურე.

აღსანიშნავია, რომ ნავთობსადენი გაივლის ქურთებით კომპაქტურად დასახლებულ ტერიტორიაზე. პროექტის დასაწყისშივე იყო შეთანხმება, რომ ნავთობსადენის უსაფრთხოებას იცავს ქვეყანა, რომელზეც ის გაივლის. ქურთები იმედოვნებდნენ, რომ ამერიკელების ჩართვით მოხდებოდა მათთვის ავტონომიის მინიჭება.

ამერიკის დედაქალაქში უკვე გაიმართა საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის დელეგაციების შეხვედრა მსოფლიო ბანკთან, საერთაშორისო ფინანსურ კორპორაციასა და ამერიკის ექსიმბანკთან. პროექტების დაფინანსებასთან დაკავშირებით, გაიმართება შეხვედრები აშშ-ს სენატსა და სახელმწიფო დეპარტამენტში.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენის მშენებლობა 2003 წლის პირველი კვარტლის დასრულებამდე დაიწყება. დაფინანსების სქემა აქციონერთა კაპიტალის 30 პროცენტის (დაახლოებით, 1 მილიარდი დოლარი) და უცხოური კრედიტების 70 პროცენტის (დაახლოებით, 2 მილიარდი დოლარი) გამოყენებას გულისხმობს.

ამასთან, გასული წლის 14 მარტს, თბილისში, ხელი მოეწერა ხელშეკრულებას შაჰ-დენიზის გაზსადენის პროექტის ინვესტორებსა და საქართველოს მთავრობას შორის - "სამხრეთ-კავკასიური მილსადენის სისტემის პროექტის" ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით.

ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის სიგრძე იქნება 1050 კილომეტრი, საიდანაც 490 კილომეტრი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გაივლის, ხოლო 280-280 კილომეტრი - საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიებზე. მილსადენის მშენებლობის დასრულება დაგეგმილია 2004 წელს, თურქეთში გაზის ტრანსპორტირება უნდა დაიწყოს 2005 წელს. თავდაპირველად გაზის ტრანსპორტირების მოცულობა წელიწადში 2 მილიარდ კუბურ მეტრს შეადგენს, ხოლო 2007 წლისათვის ეს მაჩვენებელი 6 მილიარდამდე გაიზრდება.

სამხრეთ კავკასიის გაზსადენის მოქმედება დამოკიდებულია "შაჰდენიზის" საბადოდან ბუნებრივი აირის მოპოვებაზე. ხვალ ამ პროექტის ხელმძღვანელი კომიტეტი გასცემს სანქციას საბადოს დამუშავების პირველი სტადიის დაწყებაზე, ხოლო მარტის ბოლოს აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის პრეზიდენტები სიმბოლურად "საფუძველს ჩაუყრიან" "შაჰდენიზის" საბადოს. მისი გაზის მარაგი შეფასებულია ერთ ტრილიონ კუბურ მეტრად.

საბადოს ამოქმედებისათვის, კონსორციუმი 3,2 მილიარდი დოლარის ინვესტიციას ვარაუდობს და ყოველწლიურად 300 მილიარდი კუბური მეტრი აირის მოპოვებას გეგმავს. 2002 წლის ნოემბრამდე პროექტის ოპერატორი კომპანია - "ბრიტიშ პეტროლიუმი" 2,6 მილიარდიან ინვესტიციას გეგმავდა. კონსორციუმის წევრებისათვის პროექტის 600 მილიონით გაძვირების დასაბუთება "ბიპი"-ს დღემდე არ წარუდგენია. "სტადია-1", რომელიც ხვალ დაიწყება, 320 მილიონი აშშ დოლარი ჯდება და აქედან 250 მილიონის სესხება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან იგეგმება. ალბათ, მიიღებენ კიდეც, რადგან გაზსადენი ბევრად მნიშვნელოვანი და სარფიანი პროექტია ევროპისათვის. ამის დასტურია გასულ კვირას საბერძნეთისა და თურქეთის მთავრობებს შორის ხელმოწერილი შეთანხმება 285-კილომეტრიანი გაზსადენის მშენებლობის შესახებ. ეს პროექტი 250 მილიონი ევრო დაჯდება და 2005 წლის ბოლოს დასრულდება. ამის შემდეგ, საბერძნეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებს ყოველწლიურად 3,5 მილიარდი კუბური მეტრი აირი მიეწოდება. ამ გაზსადენს ბერძნული "დეპა" და თურქული "ბოტასი" ააშენებენ. საბერძნეთის განითარების მინისტრმა, აკის ცოხაძოპულოსმა ხელმოწერის ცერემონიალზე პირდაპირ განაცხადა, რომ "ეს პროექტი საფუძველს უყრის გაზმომარაგების რეგიონული რკალის შექმნას, რაც თურქეთს ევროკავშირთან დააახლოებს. საბერძნეთი და იტალია უკვე ამზადებენ იონისა და ადრიატიკის ზღვების ქვეშ, იტალიის გავლით, ავსტრიისაკენ მიმავალი გაზსადენის მშენებლობის პროექტს." მისი თქმით, იგეგმება განშტოებები ბალკანეთის ქვეყნებზე გავლით.

ეს, მართლაც, დასაწყისია. ახლა ევროპას, მისთვის საჭირო ბუნებრივი აირის 49 პროცენტი შემოაქვს. 2010 წლისთვის 56 პროცენტის, ხოლო 2020 წლისათვის 73 პროცენტის იმპორტს გეგმავს. თანაც, დღევანდელი იმპორტის 3/4-ს ევროპა რუსეთიდან ახორციელებს. დასავლეთს აღმოსავლეთიდან ალტერნატივა ნამდვილად სჭირდება. შემთხვევითი არ არის ჩვენთვის კარგად ცნობილი "ბიპის" შეჭრა რუსეთის ნავთობის ბაზარზეც, თანაც ღრმად - ტიუმენში.

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მთავრობას გაეროსადმი არსებული 7-მილიონიანი (აშშ დოლარი) ვალის დაფარვის განკარგულება მისცა. ედუარდ შევარდნაძემ წერილობით უბრძანა ფინანსთა და საგარეო საქმეთა სამინისტროს, დაფარონ ქვეყნის ვალი გაეროს-ს წინაშე. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს კონტროლის პალატა არ აპირებს პოლიტიკური გაერთიანებებისა და არალეგალური შეიარაღებული ფორმირებების დაფინანსების საკითხის შესწავლას. ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში განიხილება დადგენილების პროექტი, რომლის თანახმადაც აღნიშნული საკითხების შესწავლა სამართალდამცავ უწყებებთან ერთად კონტროლის პალატასაც დაევალება. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ" ელექტროენერგიის ტარიფში თავისი წილის შემცირების შესახებ სემეკ-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. სასამართლოში შეტანილი სარჩელის გამო სემეკ-ის მიერ შემცირებული ტარიფი 1 მარტიდან შესაძლოა, არ ამოქმედდეს. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** ხუთშაბათს პარლამენტარები სამთავრობო საათზე ენერგეტიკის კრიზისის გამომწვევ მიზეზებზე მთავრობის წევრებს მოუსმენენ. ამგვარი გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტმა სასესიო კვირის დღის წესრიგის დამტკიცებისას მიიღო. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტი კვირის ბოლომდე ელექტროენერგიაზე დღგ-ს მოხსნის შესაძლებლობას განიხილავს. შესაბამისი საკითხი პლენარული სხდომის დღის წესრიგში შევიდა. შესაბამისად, პარლამენტარებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულება 1 მარტამდე მოუწევთ. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიამ" წალკის მოსახლეობისათვის მიწის კომპენსაციების გაცემა დიდთოვლობის გამო გუშინ ვერ დაიწყო. მიწის შესყიდვის და კომპენსაციების გაცემის სამუშაოები ბორჯომის და ახალციხის რაიონებში უკვე მიმდინარეობს. წალკის შემდეგ თანხების გაცემა მარნეულსა და გარდაბანშიც დაიწყება. **"ინტერ-პრესი"**

MBG ემბიჯი
MICROFINANCE BANK OF GEORGIA
საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი

გთავაზობთ სიურპრიზს!
ყოველი 21-ე, რომელიც გახსნის დეპოზიტს
საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკში
მიიღებს შესანიშნავ საჩუქარს,
დეპოზიტის მინიმალური თანხა შეადგენს 40 ლარს.

ფილიალების ქსელი

ცენტრალური ფილიალი
e-mail: mbg@mbg.com.ge

ვაკის განყოფილება
e-mail: vake@vake.mbg.com.ge

ქობულეთის განყოფილება
e-mail: kobuleti@batumi.mbg.com.ge

მარნეულის განყოფილება
e-mail: info@marneuli.mbg.com.ge

ქუთაისის ფილიალი
e-mail: mbgk@mbg.com.ge

გორის ფილიალი
e-mail: info@gori.mbg.com.ge

ბათუმის ფილიალი
e-mail: info@batumi.mbg.com.ge

გლდანის ფილიალი
e-mail: gldani@gldani.mbg.com.ge

ვარკეთილის ფილიალი
e-mail: varketili@mbg.com.ge

ფოთის ფილიალი
e-mail: mbgp@internet.ge

ზუგდიდის განყოფილება
e-mail: mbgz@kutaisi.mbg.com.ge

# ჩრდილოეთ კორეა სამხედრო ძალის დემონსტრირებას ახდენს

გუშინ ჩრდილოეთ კორეამ იაპონიის ზღვაში რაკეტა გაუშვა. სამხრეთ კორეის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, რაკეტა ნეიტრალურ წყლებში ჩამოვარდა. ჯერჯერობით, ზუსტი მონაცემები არ არის იმის შესახებ, თუ რა ტიპის რაკეტა გამოსცადა ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ.

ზოგიერთი ცნობის თანახმად, ეს იყო მცირე რადიუსზე მოქმედი გემსაწინააღმდეგო რაკეტა "სილკვორმი", რომელიც ჩინეთშია დამზადებული.

**"ჩვენ ვცდილობთ, გავარკვიოთ - ეს იყო ახალი რაკეტის გამოცდა, თუ წარმოადგენდა ჩრდილოეთ კორეის არმიის სწავლების ნაწილს,"** - განაცხადა სააგენტო "ფრანს პრესთან" საუბარში სამხრეთ კორეის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა. პოლიტიკოსების მხრიდან დამამშვიდებელი კომენტარების მიუხედავად, ჩრდილოეთ კორეის მიერ რაკეტის გაშვებამ სამხრეთ კორეისა და იაპონიის საფონდო ბირჟებზე გარკვეული ქაოსი და პანიკა გამოიწვია.

იაპონიის ხელისუფლებამ გაავრცელა მიმართვა, სადაც მოსახლეობას მოუწოდებს სიმშვიდის შენარჩუნებისკენ და აცხადებს, რომ შეეცდება გაერკვეს ფხენიანის მოქმედების მოტივებში.



*ჩრდილოეთ კორეის რაკეტები.*

უნდა ითქვას, რომ ჩრდილოეთ კორეის აღნიშნულმა აქციამ მთელი რეგიონის შეშფოთება გამოიწვია. ტაივანის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ აუცილებლად და მნიშვნელოვნად მიიჩნევს აშშ-ის დაპირებას მისთვის ძლიერი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შექმნის თაობაზე და სურს ამ პროექტის რეალიზაციის დაჩქარება.

ფხენიანის ერთ-ერთ ყველაზე ტრადიციულ მოკავშირედ მიჩნეულმა რუსეთის ფედერაციამ კი გუშინვე გაავრცელა განცხადება, სადაც აღნიშნავს, რომ რაკეტების გამოცდაში უჩვეულო არაფერია და ეს აქცია მხოლოდ ჩრდილოეთ კორეის სამხედრო მზადებას ნიშნავს მოსალოდნელი კრიზისისათვის. **"მე არ ვფიქრობ, რომ ეს იყო პროვოკაცია "**- განაცხადა სააგენტო "როიტერთან" საუბარში რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ლოსიუკოვმა. დახლოებით ამგვარივე მოსაზრება გამოთქვა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა, რომელიც ოფიციალური ვიზიტით სეულში იმყოფება. **"როგორც ჩანს, ეს სრულებით უწყინარი გამოცდა იყო,"** - განაცხადა კოლინ პაუელმა.

აღსანიშნავია, რომ რაკეტის გამოცდა სამხრეთ კორეის ახლად არჩეული პრეზიდენტის ნო მუ ხენის ინაუგურაციამდე რამდენიმე საათით ადრე განხორციელდა, რომელსაც კოლინ პაუელი და იაპონიის პრემიერ-მინისტრი ძუნიტირო კოიძუმი დაესწრნენ.

# ჰეიდარ ალიევს ჯორჯ ბუშის დახმარების იმედი აქვს

დღეს შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში აზერბაიჯანის ლიდერს ჰეიდარ ალიევს მიიღებს, რომელიც აშშ-ში კვირას ჩავიდა. **"აზერბაიჯანი ჩვენი ძირითადი პარტნიორია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, გლობალური ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებისა და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების საქმეში. ჩვენი ქვეყნები ასევე პარტნიორები არიან აზერბაიჯანში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნების საქმეში, რომელიც ამ ქვეყნის გაძლიერებას ისახავს მიზნად",** - განაცხადა ამ შეხვედრასთან დაკავშირებით თეთრი სახლის პრესმდივანმა არი ფლეიშერმა.

შესაძლოა, ამ განცხადებამ ამერიკელ უფლებების დამცველთა გაღიზიანება და კრიტიკა გამოიწვიოს, რადგან ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს აზერბაიჯანის ხელისუფლების მიმართ სერიოზული პრეტენზიები გააჩნიათ, თუმცა ვაშინგტონი, როგორც ჩანს, სულ სხვა მოსაზრებებით ხელმძღვანელობს.

პრეზიდენტ ბუშის გარდა, ჰეიდარ ალიევი შეხვედრებს გამართავს სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელთან და ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინისთან. შეერთებულ შტატებში გამგზავრების წინ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებათა დღის წესრიგი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების და ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის საკითხებს მოიცავს.

უნდა ითქვას, რომ ახლო წარსულში აზერბაიჯანი ამერიკის პოლიტიკურ არენაზე ხშირად წამგებიან პოზიციაში ვარდებოდა ძლიერი სომხური ლობის წყალობით. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ში დაახლოებით ნახევარი მილიონი აზერბაიჯანელი ცხოვრობს, მათ საკუთარი ლობი არ გააჩნიათ, თუ არ ჩავთვლით კასპიის ზღვის აუზით დაინტერესებულ ნავთობკომპანიებს, დაქირავებულ პროფესიონალ ლობისტებსა და კონგრესის ცალკეულ წევრებს; მათ შორის - რესპუბლიკელ სენატორს სემ ბრაუნბეკს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სომხებს აშშ-ის პოლიტიკურ წრეებზე ყოველთვის გაცილებით ძლიერი გავლენა გააჩნდათ, ვიდრე აზერბაიჯანელებს.

აშშ-ში აზერბაიჯანის პოზიციების გაძლიერება შეინიშნება 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, როდესაც ბაქომ ავღანეთში სამხედრო კამპანიის დაწყების წინ აშშ-ს დაუთმო საკუთარი საჰაერო სივრცე. აზერბაიჯანმა ასევე მხარი დაუჭირა ვაშინგტონის ინიციატივას ერაყის განიარაღების თაობაზე და ამერიკელებს საკუთარი ბაზებიც შესთავაზა. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ ალიევ-ბუშის შეხვედრა გარკვეული შედეგით დასრულდება და ვაშინგტონი აზერბაიჯანს მთიანი ყარაბაღის საკითხში დახმარებას აღუთქვამს; თუმცა, აშშ-ს, ჯერჯერობით, ერაყის წინააღმდეგ ომი ელის.

# „ჰამასმა" ისრაელის სუპერთვითმფრინავი ჩამოაგდო?

ისრაელის სამხედრო თვითმფრინავის "F-16"-ის ჩამოგდებაზე პასუხისმგებლობა აიღო მუსულმანური ტერორისტული ორგანიზაცია "ჰამასის" სამხედრო ფრთამ "ალ-ქასამას ბრიგადებმა". ისრაელის ხელისუფლების ოფიციალური ვერსიის თანახმად, თვითმფრინავი ჩამოვარდა ორშაბათს, ქალაქ ჯენინიდან 10 კმ-ის მოშორებით, ტექნიკური გაუმართაობის გამო. ავარიის კონკრეტულ მიზეზად თვითმფრინავის ძრავში ცეცხლის გაჩენას ასახელებენ. ამის თაობაზე ბაზას თვითმფრინავის პილოტმაც შეატყობინა. პილოტმა კატაპულტირება ვერ მოახერხა და მძიმედ დაშავდა. იგი ამჟამად სამხედრო ჰოსპიტალში იმყოფება.

გუშინ ორგანიზაცია "ჰამასმა" ეგვიპტის საინფორმაციო სააგენტო "მენას" საშუალებით გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ მათი დაჯგუფების ორმა მებრძოლმა ებრაელთა "ფანტომის" ჩამოგდება შეძლო 250 კალიბრიანი ტყვიამფრქვევის საშუალებით. თავის მხრივ, ისრაელის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები "ჰამასის" აღნიშნულ განცხადებას ეჭვისქვეშ აყენებენ. მათი ვერსიის თანახმად, ამ ტიპის თვითმფრინავის ჩამოგდება ცეცხლსასროლი იარაღით შეუძლებელია.

# სომხეთში ოპოზიციის აქტივისტები დააკავეს

## დემირჭიანი მათ გამოხსნას სატელევიზიო დებატებით შეეცდება

რევაზ ბახტაძე

ორშაბათს სომხეთის პოლიციამ ის ათეულობით ოპოზიციონერი დააკავა, რომლებიც კვირას მოწყობილ დიდ, არასანქცირებულ დემონსტრაციაში სტეპან დემირჭიანს უჭერდნენ მხარს. ოპოზიციის ლიდერებმა დაგმეს ხელისუფლების საქციელი და განაცხადეს, რომ მთავრობა მეორე ტურისთვის ამომრჩევლების დაშინებას ცდილობს. მთავრობა კი ამტკიცებს, რომ მხოლოდ კანონს იცავს.

"ჩვენ ძალიან სერიოზულ და მკაცრ პასუხს გავცემთ ნებისმიერ მცდელობას, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას ისახავს მიზნად", - განაცხადა პრეზიდენტმა ქოჩარიანმა შაბათს, სატელევიზიო გამოსვლისას. ქოჩარიანის თქმით, პოლიტიკური სტაბილურობა მისი ხუთწლიანი მოღვაწეობის ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევაა.

პრეზიდენტის განცხდების პარალელურად, გამაფრთხილებელი განცხადება თავდაცვის სამინისტრომაც გააკეთა. "თუ სომხეთის სახელმწიფოებრიობის დარღვევას შეეცდებიან, სომხეთის შეიარაღებული ძალები პასიურად არ იქნებიან. ჩვენ გვჯერა, რომ მეორე ტური კანონის ჩარჩოებში იქნება მოქცეული", - ნათქვამია დოკუმენტში.

სომხეთის იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, პარასკევიდან მოყოლებული ერევანსა და მიმდებარე რეგიონებში 99 ადამიანი დააკავეს. მათ უმრავლესობას ოპოზიციის არასანქცირებულ მიტინგებზე დასწრებისა და "ხულიგნობისთვის" 15 დღით პატიმრობა მიუსაჯეს. დანარჩენები დააჯარიმეს და გამოუშვეს.

დემირჭიანის თანაშემწეები ამტკიცებენ, რომ დაპატიმრებულთა რიცხვმა უკვე 130 გადააჭარბა. პროდემირჭიანული პარტიის - "ჰანრაპეტიუთუნის" ლიდერმა ალბერტ ბაზეიანმა განაცხადა, რომ დაკავებულთა უმრავლესობა დემირჭიანის წარმომადგენლები იყვნენ. ისინი გასულ კვირას გამართული არჩევნების დროს საარჩევნო უბნებზე ხმების გაყალბების წინააღმდეგ იბრძოდნენ.

დაკავების მიუხედავად, ერევანში მრავალათასიანი მიტინგები არ წყდება და ოპოზიცია, ხმების გადათვლასა და ქოჩარიანის გადადგომას მოითხოვს. ამის საპასუხოდ პრეზიდენტმა რობერტ ქოჩარიანმა ოპოზიციის ლიდერი სტეპან დემირჭიანი სატელევიზიო დებატებში გამოიწვია. პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ სახელისუფლებო საქმეების ცოდნა მისი ოპონენტის მცირე პოლიტიკურ გამოცდილებასთან კონტრასტს შექმნის და ხუთ მარტს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში მას დამატებით ხმებს მოუტანს.

"ჩვენ მხარს ვუჭერთ სატელევიზიო დებატებს ნებისმიერ დონეზე", - განაცხადა ქოჩარიანის შტაბის წარმომადგენელმა ვაჰან მკრტჩიანმა. მკრტიჩიანის თქმით, ამჟამინდელი პრეზიდენტი მზად არის ნებისმიერ სატელევიზიო არხზე დებატების გასამართავად.

დემირჭიანმა თავდაპირველად უარყო ეს იდეა და მისი მხარდამჭერების გათავისუფლება მოითხოვა. თუმცა, მოგვიანებით რუსული ტელეკომპანია "ენტევესათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ იგი სატელევიზიო დებატებისათვის მზად არის, "თუ მეორე კანდიდატს საკუთარი დამარცხების დაჩქარება სურს".

ორშაბათს მკრტიჩიანმა დაადასტურა, რომ 19 თებერვალს, მოსალოდნელზე ცუდი შედეგების მიღების გამო, ქოჩარიანი საარჩევნო კამპანიის ტაქტიკას შეცვლის. მისი თქმით, ქოჩარიანის კამპანიას "ორგანიზაციული ნაკლოვანებები" ჰქონდა.

მკრტიჩიანმა არ თქვა - შეცვლის, თუ არა პრეზიდენტი თავის გუნდს, რაც ქოჩარიანს მისმა მოკავშირეებმა არაერთხელ შესთავაზეს.

სომხური საინფორმაციო სააგენტო "პანარმენიანის" ცნობით, პრეზიდენტობის კანდიდატებმა ამ დებატებისას საკუთარი პროგრამები უფრო დეტალურად უნდა წარმოადგინონ. კანდიდატები ისაუბრებენ სომხეთის საგარეო პოლიტიკისა და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე, ასევე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მათეულ ხედვაზე.

წარმატებული წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას დემირჭიანმა კატეგორიულად უარყო სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი სომხეთის საზოგადოებრივი ტელევიზიისათვის ინტერვიუს მიცემა. როგორც ჩანს, დემირჭიანის შტაბი შიშობდა, რომ შესაძლოა, ქოჩარიანის მხარდამჭერ ტელეკომპანიებს იგი ცუდი კუთხით წარმოეჩინათ. საზოგადოებრივი ტელევიზია და წამყვანი კერძო არხები დემირჭიანის სუსტ წერტილებს აღნიშნავდნენ და მას უმწიფარ პოლიტიკოსად ხატავდნენ – თითქოს, იგი მთლიანად გარემოცვაზეა დამოკიდებული.

დასავლელი დამკვირვებლების მოხსენებაში ნათქვამია, რომ საზოგადოებრივმა ტელევიზიამ "ვერ მოახერხა მასზე კანონით დაკისრებული ფუნქციის შესრულება, რათა კანდიდატების შესახებ დაბალანსებული და მიუკერძოებელი ინფორმაცია გაევრცელებინა".

"კერძო არხები ამჟამინდელი პრეზიდენტის მიმართ კიდევ უფრო მიკერძოებულები იყვნენ და ოპოზიციის კანდიდატებს, პრაქტიკულად, იგნორირებას უწევდნენ", - განაცხადეს ეუთო-სა და ევროპის საბჭოს დამკვირვებლებმა. "მაგალითად, "პრომეთევსმა", ერთადერთმა კერძო არხმა, რომელიც მთელ ქვეყანას ფარავს, ახალი ამბების სამოცდაერთი პროცენტი ამჟამინდელ პრეზიდენტს დაუთმო და იგი მხოლოდ დადებითი კუთხით გააშუქა".

სომეხი ექსპერტების აზრით, პირდაპირ ეთერში სატელევიზიო დებატები სომხური არჩევნების ისტორიაში ახალი ფურცელი იქნება, რომელიც 5 მარტის არჩევნების შედეგებზე ძალიან დიდ გავლენას იქონიებს.

# ერაყელი ქურთები ორცეცხლშუა არიან მოქცეულნი




რევაზ ბახტაძე

ვაშინგტონმა თურქეთთან, ფაქტობრივად, მიაღწია შეთანხმებას და ამერიკულ ჯარებს ქვეყანაში შესვლის უფლება მისცა. ამავე დროს ჩრდილოეთ ერაყში ქურთების წარმომადგენლებმა გააფრთხილეს საერთაშორისო თანამეგობრობა, რომ ქურთებსა და თურქებს შორის კონფლიქტი გარდაუვალი იქნება, თუ მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე თურქი ჯარისკაცები გამოჩნდებიან.

1991 წლის სპარსეთის ყურის ომის შემდეგ, ჩრდილოეთ ერაყში მცხოვრები ქურთები ფართო ავტონომიით სარგებლობენ და ბაღდადს აღარ ემორჩილებიან. ქურთების აზრით, თურქეთის ჯარების შემოსვლა მათ "დე ფაქტო" დამოუკიდებლობას ბოლოს მოუღებს.

"არავინ იფიქროს, რომ ეს ბლეფია. კონფლიქტი მოხდება", - ამბობს ჰოშიარა ზუბარი, ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის მაღალი თანამდებობის პირი. "ჩვენ ნებისმიერი ცალმხრივი ინტერვენციის წინააღმდეგნი ვართ".

რეგიონში ამერიკის ორ უახლოეს მოკავშირეს შორის ურთიერთობები უკიდურესად დაიძაბა. ქურთებსა და თურქებს შორის მტრობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ანკარა რამდენიმეწლიან სისხლისმღვრელ ომს აწარმოებდა თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქურთებთან, რომლებიც დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად იბრძოდნენ.

ახლა ამ ისტორიულმა დაპირისპირებამ შესაძლოა, ერაყში ამერიკის გეგმებს ხელი შეუშალოს. თურქმა პოლიტიკოსებმა უკვე განაცხადეს, რომ ამერიკული იარაღი ქურთული მილიციის ხელში არ უნდა მოხვდეს.

ამერიკელებთან თურქების მოლაპარაკებები სწორედ ქურთების გამო გაიწელა. თურქებს ერაყში ინტერვენცია რამდენიმე მიზეზის გამო სურთ. ანკარა ფიქრობს, რომ ჩრდილოეთ ერაყში ჯარის შეყვანით ლტოლვილთა ნაკადის შეკავებასა და ერაყის ტერიტორიაზევე განთავსებას შეძლებს; რაც ყველაზე მთავარია, ხელს შეუშლის ქურთების მიერ დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოცხადებას და თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქურთებში სეპარატისტული განწყობის გამოღვიძებას; არ დაუშვებს ქურთების მიერ ჩრდილოეთ ერაყში ნავთობით მდიდარი კირკუკისა და მოსულის დაკავებას. თურქეთს თავად სურს ამ ქალაქებისა და მისი ბუნებრივი სიმდიდრეების ხელში ჩაგდება.

ჩრდილოეთიდან მომდინარე საფრთხის გარდა, ერაყელი ქურთები საგანგებოდ ემზადებიან სამოქალაქო თავდაცვისათვის, რადგან დიდი შანსია იმისა, რომ აშშ-სთან ომის დაწყების შემდეგ სადამ ჰუსეინმა ქურთებს ქიმიური ან ბიოლოგიური იარაღით შეუტიოს. ჩრდილოეთ ერაყში უკვე მასობრივად იყიდება აირწინაღები, რომლებიც, ძირითადად, ნახმარია, ან კუსტარულად არის დამზადებული.

ახლა ორცეცხლშუა მოქცეულ ქურთებს იმის იმედიღა აქვთ, რომ ერაყის წინააღმდეგ ომში ამერიკას დაუჭირონ მხარი, სამაგიეროდ კი, მათ ინტერესებს ვაშინგტონი აუცილებლად გაუწევს ანგარიშს. მათი გათვლების მართებულობას (ან მცდარობას) ამერიკის მიერ უახლოეს მომავალში თურქებთან საბოლოოდ გაფორმებული ხელშეკრულების პირობები დაადასტურებს.

# "ერაყმა ბოლო შანსი გაუშვა"

პირველი გვერდიდან

ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ეთანხმებიან გერმანია, საფრანგეთი და რუსეთი. მათ მხარეს არის ჩინეთიც. "ბუნებრივია, ჩვენ მეორე რეზოლუციის წინააღმდეგი ვართ, – განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა შირაკმა კანცლერ შრიოდერთან შეხვედრის შემდეგ, – ჩვენ გვჯერა, რომ განიარაღება მშვიდობიანი მეთოდებით უნდა მოხდეს". "ძველმა, კეთილმა ევროპამ კარგად იცის ომის მთელი საშინელება, – დასძინა შრიოდერმა, - შესაძლოა ამიტომაც, ჩვენ ომის წინააღმდეგი ვართ".

რუსეთის პრეზიდენტი პუტინი ახალ რეზოლუციას არა მხოლოდ ზედმეტად მიიჩნევს, იგი უფრო შორსაც მიდის, და "ზოგიერთ ქვეყანას" ჰეგემონიის დამყარების მცდელობაში სდებს ბრალს. "ჩვენ არ შეგვიძლია უგულებელვყოთ ზოგიერთ ქვეყნებში ძალზე გავლენიანი ძალების მზარდი აგრესიულობა... ეს ჩვენ გვაშფოთებს," – განაცხადა პუტინმა ახალგაზრდა ოფიცრებთან შეხვედრაზე.

სამშვიდობო კოალიციის სახელით, საფრანგეთმა უშიშროების საბჭოში გაავრცელა მემორანდუმი, რომლითაც ინსპექტორების მუშაობის ოთხი თვით გაგრძელებას ითხოვს. ფრანგების აზრით, გაერო-ს ინსპექცია უკვე მოაქვს ხელშესახები შედეგები და, თუ მათი მისია გაგრძელდა და გააქტიურდა, საბოლოო ჯამში, იგი ერაყის განიარაღებასაც შეძლებს. ეს მემორანდუმი ჯერ არ განიხილება ალტერნატიული რეზოლუციის პროექტად, მაგრამ მისი მიზანი სწორედ ამერიკულ-ბრიტანულ-ესპანური რეზოლუციის ჩაგდებაა.

თუმცა, ფრანგები ისედაც დარწმუნებულები არიან, რომ უშიშროების საბჭო წარმოდგენილ პროექტს მხარს არ დაუჭერს: "სრულიად აშკარაა, რომ რეზოლუციის მისაღებად საჭირო უმრავლესობა არ არსებობს". უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს იმედი აქვთ, რომ საბჭო რეზოლუციას ისედაც ჩააგდებს და მისთვის ვეტოს დადება არ იქნება საჭირო.

რეზოლუციის მიღებას ცხრა ხმა სჭირდება. დღეს უკვე აშკარაა - მას ხმას მისცემს, სულ ცოტა, ოთხი ქვეყანა: აშშ, ბრიტანეთი, ესპანეთი და ბულგარეთი. აუცილებლად წინააღმდეგი იქნება გერმანია და სირია. რაც შეეხება საფრანგეთს, ჩინეთს და რუსეთს, ვაშინგტონის აზრით, მოსალოდნელია, რომ ისინი თავს შეიკავებენ. ეს წინააღმდეგ ხმის მიცემის ტოლფასია, მაგრამ უფრო ზრდილობიანი ფორმით.

რას იზამს დანარჩენი ექვსი ქვეყანა? პაკისტანი, სავარაუდოდ, ან თავს შეიკავებს, ან წინააღმდეგი იქნება. თეთრ სახლს იმედი აქვს, რომ ორი ლათინურ-ამერიკული ქვეყნის, ჩილესა და მექსიკის დაყოლიებას შეძლებს. ბუშმა რამდენჯერმე დაურეკა ამ ქვეყნების პრეზიდენტებს, ლაგოსსა და ფოქსს, თუმცა მათგან პირობის მიღება ჯერჯერობით ვერ შეძლო.

რჩება სამი აფრიკული ქვეყანა: ანგოლა, გვინეა და კამერუნი. ამერიკას სამივე მათგანის ხმა სჭირდება, რის მოპოვებასაც მთელი ძალით ცდილობს, თუმცა აფრიკაში, ტრადიციულად, ძლიერია საფრანგეთის გავლენაც.

კენჭისყრა, სავარაუდოდ, 7 მარტს გაიმართება, როდესაც ბლიქსი და ბარადეი უშიშროების საბჭოზე მორიგ მოხსენებას წარადგენენ. თუმცა, თუ მოკავშირეებმა ამ დღემდე საჭირო ხმების მოგროვება ვერ შეძლეს, მოხსენება შეიძლება არც შედგეს. ექსპერტების მტკიცებით, ბუში რეზოლუციის წარდგენაზე მხოლოდ ბლერისა და აზნარის "ხათრით" დათანხმდა, რომელთაც გაერო-ს მანდატი საშინაოპოლიტიკური მიზნით სჭირდებათ.

ომის დაწყების ყველაზე სავარაუდო თარიღად, უშიშროების საბჭოს სანქციით, ან მის გარეშე, მიმომხილველები მარტის შუა რიცხვებს ასახელებენ. ამ დროისათვის პენტაგონი მოასწრებს თურქეთში სამხედრო კონტინგენტის დისლოცირებას. თურქეთის მთავრობამ ამერიკელი სამხედროებისათვის ბაზების გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება გუშინ მიიღო. პარლამენტი მას, სავარაუდოდ, დღეს დაამტკიცებს.

# ენერგოკრიზისი ნათელაშვილის ბრალი ყოფილა



*დავით იოსელიანი*

*მთავრობა, დეკემბერში დადებულ პირობას, რომ ელექტროენერგიის გაძვირებული ტარიფის კომპენსირებას მოახდენდა, აღარ ასრულებს. არადა, ამისთვის წლევანდელ ბიუჯეტში დაახლოებით ათი მილიონი ლარი იყო ჩადებული. საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის კომისიის თავჯდომარე დავით იოსელიანი ეჭვობს, რომ ამ თანხით ზოგიერთი პოლიტიკური პარტია მომავალ საპარლამენტო არჩევნებში საკუთარ თავს დაიფინანსებს. ამის შესახებ გუშინ "24 საათის" საკონფერენციო დარბაზში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.*

ეთერ მამულაშვილი

მას შემდეგ, რაც ენერგეტკის მარეგულირებელმა კომისიამ ნოემბერში "ეი-ი-ეს თელასის" მოთხოვნა დააკმაყოფილა და ელექტროენერგიის ტარიფი 12.4-დან 13.7 თეთრამდე გაზარდა, ფინანსთა სამინისტრომ გაზრდილი ტარიფის სხვაობის, 1.3 თეთრის დაფარვა, საკუთარ თავზე აიღო.

საკონსტიტუციო სასამართლოს ცნობილი ვერდიქტით და სემეკის გადაწყვეტილებით, ცოტა ხნის წინ, ელექტროენერგიის ტარიფმა 1.5 თეთრით იკლო. ამის შემდეგ ფინანსთა სამინისტრომ ალბათ გადაწყვიტა, რომ თბილისელები ელექტროენერგიის შემცირებული ტარიფის 12.2 თეთრის გადახდას უპრობლემოდ შეძლებდნენ და 2003 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხას სხვა გზა "უჩვენა". სამინისტროში ჯერ არ აკონკრეტებენ რას მოხმარდება "გამოთავისუფლებული" ათი მილიონი, თუმცა იმაში, რომ მოსახლეობას დახმარება არ სჭირდება, დარწმუნებულები არიან. **"ნოემბერში გაზრდილმა ტარიფმა გამოიწვია მოსახლეობის პირობების გაუარესება, შესაბამისად ჩვენი მხრიდან უნდა მომხდარიყო ამ გაუარესების სუბსიდირება. დღეს ეს პრობლემა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით აღმოიფხვრა, შესაბამისად ეს სუბსიდირებული თანხაც უნდა მოიხსნას",** - ასე აგვიხსნა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვასილ გიგოლაშვილმა.

ფინანსთა სამინისტროსაგან განსხვავებით, საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის კომისიაში უკვე კარგად იციან თუ რაში დაიხარჯება ხსენებული ათი მილიონი. კომისიის თავჯდომარე დავით იოსელიანი ირწმუნება, რომ ამ თანხას ერთი-ერთი მეპატრონე, "ლეიბორისტების" სახით, უკვე გამოუჩნდა. **"აქედან რაღაც წილს ნათელაშვილიც მიიღებს. ბოლო-ბოლო საკონსტიტუციო სასამართლოში პროცესი მან მოიგო. კანცელარიასთან მის ფარულ კავშირზე უკვე ყველა ხმამაღლა საუბრობს. "ლეიბორისტებმა" თავისი გამარჯვებით შეღავათი ბიუჯეტს მოუტანეს და არა მოსახლეობას და იმის ძახილი, რომ ელექტროენერგიის ტარიფი გავაიაფეთო, თბილისელების მოტყუებაა. მოსახლეობა დღესაც ისევ იმდენს იხდის, რასაც სასამართლოს გადაწყვეტილებამდე იხდიდა",** - გვითხრა დავით იოსელიანმა.

საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის კომისიის თავმჯდომარის ბრალდებები "ლეიბორისტების" ლიდერის მისამართით, ამით არ ამოწურულა. იოსელიანის მტკიცებით, დედაქალაქში შექმნილი ენერგოკრიზისი ნათელაშვილის "დამსახურება" ყოფილა. **"იანვარში "ეი-ი-ეს თელასის" შემოსავლებმა სამი მილიონით იკლო, ბატონი შალვას ზედმეტად პოპულისტური მოწოდებების წყალობით. ამ მნიშვნელოვანი დანაკარგების გამო ელექტროგამანაწილებელმა კომპანიამ ვერ მოახერხა თბილისისთვის საკმარისი ელექტროენერგიის შეძენა, რამაც, ბუნებრივია, ქალაქში დეფიციტი გამოიწვია",** - განმარტა იოსელიანმა.

*"ლეიბორისტების" ლიდერი იოსელიანის ბრალდებებზე კომენტარს არ აკეთებს. სამაგიეროდ ჩვენთან საუბარი არ დაიზარა პარტიის ერთ-ერთმა აქტივისტმა გიორგი გუგავამ. მისი თქმით, იოსელიანის ბრალდებები "ლეიბორისტების" წინააღმდეგ აგორებული მორიგი კამპანიაა, რომლის მიზანია მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის პარტიის დისკრედიტაცია და რეიტინგის "დაგდება". **"არსებობს დოკუმენტაცია, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ "ეი-ი-ეს თელასმა" იანვარში მილიონნახევარი ლარით მეტი შეიტანა საგადასახადოში, ვიდრე წინა თვეებში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე. ასე, რომ ამერიკული კომპანია ნამდვილად არ განიცდის თანხის სიმცირეს და იოსელიანის მსგავსი ადვოკატები მას არ სჭირდება. რაც შეეხება იმ ბრალდებას, რომ, თითქოს ბიუჯეტიდან თანხების ჩვენს სასარგებლოდ ათვისება ხელგვეწიფებოდეს, ესეც აბსურდია. როგორც ჩანს იოსელიანის ფანტაზიას საზღვარი არ აქვს",** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას გუგავამ.*

# მოდით, ნახეთ, რა კოლექტორი გვაქვს

ნანა ქადაგიშვილი

*გუშინ თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ ბლომად ჟურნალისტი შემოიკრიბა და ქალაქში ფეხითა თუ მანქანით მოსიარულეებისთვის ფრიად მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ აცნობა. შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ თბილისს ერთი ახალი სანიაღვრე კოლექტორი და ერთიც კიდევ ქვაფენილიანი გზა აქვს, ორი კოლექტორის მშენებლობა კი ორ კვირაში დასრულდება. ჟურნალისტებმა, მერისა და მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მთავარი ინჟინრის მერაბ შავლაძის თანხლებით, აღნიშნული ობიექტები საკუთარი თვალითაც ნახეს.*

"ორი წლის წინათ ეს ადგილი მთლად დატბორილი და მიტოვებული იყო. წყლისა და სინესტის გამო, მახლობლად მდებარე კორპუსებს საფრთხე ექმნებოდა. დღეს კი, თვითონაც ხედავთ, რამდენად უკეთესი მდგომარეობაა. ადგილი აღარ იტბორება და კორპუსებიც გადარჩა. ეს კი სანიაღვრე კოლექტორის დამსახურებაა," — განუმარტა ზოდელავამ ჟურნალისტებს სოფელ გლდანთან, გლდანის პატარა ტბის მიდამოებში გაკეთებული, 600 მ. სიგრძისა და 15 მ. სიღრმის კოლექტორის დანიშნულება. ამ კოლექტორის მშენებლობას მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა ორ წელიწადზე მეტი მოანდომა და 1,5 მლნ. ლარი დაუჯდა. კოლექტორის გარდა, ამ ადგილას ქვაფენილიანი გზაც დააგეს.



*შეხვედრა კოლექტორთან.*

დანარჩენი ორი კოლექტორი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, კოლმეურნეობის ბაზრის მახლობლად კეთდება. ორივე კოლექტორი ერთად 500მ სიგრძისაა და მათი მშენებლობისთვის ქალაქის წლევანდელი ბიუჯეტიდან 300 000 ლარია გამოყოფილი. "აქ ძველი კოლექტორი იყო, მაგრამ უკვე აღარ ფუნქციონირებდა, რის გამოც ბაზრის მიმდებარე ტერიტორია ხშირად იტბორებოდა. მალე აქაურობს ეს პრობლემა მოეხსნება," - გაგვახარა ქალაქის მერმა.

აღნიშნულის გარდა, თბილისის ტრანსპორტით გადატვირთულ ქუჩებს კიდევ ორი საინტერესო სიახლე ელის. ქალაქის ხელმძღვანელობა ჭავჭავაძის გამზირისა და მელიქიშვილის ქუჩის განსატვირთად გვირაბის გაკეთებას აპირებს, რისთვისაც მალე ტენდერსაც გამოაცხადებს. ქალაქის მერს სჯერა, რომ აღნიშნული ცნობა საცობებით გატანჯულ მძღოლებს ნამდვილად ესიამოვნებათ. მართალია, მგზავრთა კეთილდღეობას აღნიშნულ ქუჩებზე მდებარე ზოგიერთი შენობა შეეწირება, მაგრამ ზოდელავა ირწმუნება, უკმაყოფილოს არც ამ შენობების მეპატრონეებს დავტოვებო.

ბოლო სიახლე კი უფრო ფეხით მოსიარულეებს გაახარებს. მერია, ნაძალადევიდან დიდუბისკენ, გადასასვლელი ხიდის მშენებლობას გეგმავს.

ბოლო ორი კვირის მანძილზე, ჩვენი მთავრობის წარმომადგენლებმა, თბილისის ბედით დაინტერესების დამადასტურებელი აქციები გაახშირეს. პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიწისძვრის შედეგად დაზიანებული სახლები მოინახულა, საკრებულოს თავმჯდომარე ახლადგარემონტებულ სათამაშო მოედნებს ეწვია, მერიამ კი ჟურნალისტებს ჯერ უკანონოდ მშენებარე შენობები დაათვალიერებინა, გუშინ კი, როგორც მოგახსენეთ, სანიაღვრე კოლექტორები. ისე, ურთიერთჯიბრს ერთი სიკეთე ახლავს, შიგადაშიგ კარგი საქმეც კეთდება.

# სახლს ვაშენებთ თუ... სარკოფაგს?

მაკა ჭაიანი

*ყველა სიკეთესთან ერთად, თურმე, შეიძლება, საქართველოს მოსახლეობა, ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩატარებული რემონტების მსხვერპლიც გახდეს. ექსპერტები ამას ყოველგვარი პირობითობის გარეშე ამბობენ. მათი განცხადებით, მიზეზი ჩვენს ბაზარზე შემოტანილი იაფი და, რბილად რომ ვთქვათ, უხარისხო მასალებით ჩატარებული მშენებლობებია.*



*"ტიპიური" მშენებლობა.*

საქართველოს მცირე მეწარმეთა ასოციაციის თავმჯდომარე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ანზორ საკანდელიძე ამის თაობაზე დიდხანს საუბრობდა აჭარის წარმომადგენლობაში გამართულ შეხვედრაზე. **"დღეს ყველა იმას ცდილობს, რაც შეიძლება იაფი პროექტი გააკეთოს. არმატურა ძვირია და მისი წილის შემცირებას ბეტონის ხარჯზე ცდილობენ. გაზრდილია ბეტონის სიმტკიცის მაჩვენებელი. მისი მარკირება 400-მდეა ასული, არადა, ასეთი მაღალი სიმტკიცის მიღება ქარხნული წესითაც კი შეუძლებელია. გარდა ამისა, შემცირებულია "მარაგის კოეფიციენტი", გადახურვისას, ბეტონის ფილებს შორის სულ უფრო მეტ ჰაერს ტოვებენ, რაც ამძიმებს შენობებს. დღეისთვის, სართულების დამძიმება ახლადაშენებულ მაღლივ შენობებში 52 პროცენტს აღწევს. ყველაფერი ეს სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ახალმშენებლობების სეისმომედეგობას. ცალკე პრობლემაა სამშენებლო მასალების ტოქსიკურობის ხარისხი. ამას ახლა არავინ ამოწმებს. ჩვენს ქვეყანაში უამრავი მომწამვლელი საშენი თუ მოსაპირკეთებელი მასალა შემოდის და არავინ იცის, როდის იჩენს თავს მათი შედეგები."**

ანზორ საკანდელიძის ამ შთამბეჭდავი გამოსვლის შემდეგ, ლოგიკურად გაჩნდა კითხვა, ვინ უნდა დაიცვას საქართველოს მოქალაქეები ამ საშიშროებისგან? პასუხი მასზე, ფაქტობრივად, ვერ მოიძებნა. "საქსტანდარტი", რომელიც მასალების ხარისხს უნდა ამოწმებდეს, სათანადო სტანდარტებისა და ლაბორატორიის უქონლობას უჩივის. რაც შეეხება მშენებლობებს, არქმშენინსპექცია წუწუნებს, მშენებლობების შემოწმებას ვერ ვახერხებთ, რადგან სასამართლოს ბარიერების გადალახვა გვიჭირსო. მათ მიერ, ქალაქის საკრებულოს შესაბამის კომისიასთან ერთად ჩატარებულმა "ჩამოვლამ" კი აჩვენა, რომ დედაქალაქში მშენებარე სახლების 99 პროცენტი ისე მიდის გადახურვამდე, მათზე გამოყენებული მასალების ვარგისიანობით არავინ ინტერესდება. არადა, ექსპერტული მონაცემებით, აქროლადი ნივთიერებების რაოდენობა საშენ თუ მოსაპირკეთებელ მასალებში 27 პროცენტამდეა გაზრდილი. ასეთ პირობებში, თავისუფლად შეიძლება სახლს, რომელსაც ვაშენებთ, სარკოფაგი ეწოდოს. იქ, ჩვენს მოქალაქეებს საკუთარი ხელით, კეთილდღეობის სახელით შეაქვთ ნელი სიკვდილი, ისინი კი, ვისაც ამისგან მათი დაცვა ევალება, სიკვდილზე ფულს აკეთებენ.

# გაიხსნა ნუგზარ საჯაიას მემორიალური დაფა

ერთი წლის წინ, 25 თებერვალს, საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა, ნუგზარ საჯაიამ საკუთარ კაბინეტში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ამ ამბავმა საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ბევრის აზრით, ეს იმ ბინძური კამპანიის შედეგი იყო, რომელიც, საჯაიას წინააღმდეგ გარკვეული ხნის მანძილზე მიმდინარეობდა.

გუშინ, ნუგზარ საჯაიას სახლთან, ხაბეიშვილის ქუჩის 75 ნომერში, მისი მემორიალური დაფა გაიხსნა. "ბატონი ნუგზარი ნამდვილად არ იყო ის ადამიანი, ვინც, ნაჩქარევად იღებდა გადაწყვეტილებებს. მით უმეტეს თვითმკვლელობის შესახებ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა. ეჭვი მაქვს, რომ ამაში დიდი როლი ითამაშა იმ შუღლმა და გაუტანლობამ, რომელიც მის ირგვლივ სუფევდა. თუკი, მან თავის მოვალეობად ჩათვალა, რომ სამსხვერპლოზე მიეტანა თავისი სიცოცხლე, მაშინ, ცოცხლების ვალი, ის მაინც უნდა იყოს, რომ ეს საქმე ბოლომდე მიიყვანონ და გამოიძიონ,"- თქვა კონტროლის პალატის თავჯდომარემ სულხან მოლაშვილმა. მემორიალთან თავი მოიყარეს ბატონი ნუგზარის მეგობრებმა და ნათესავებმა. შემდეგ, მათ ვაკის პანთეონში გადაინაცვლეს, სადაც წმიდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის მოძღვარმა, მამა გიორგიმ სულის მოსახსენებელი პარაკლისი გადაიხადა. როგორც გელა ჩარკვიანმა აღნიშნა, "მკვლელობა ტრაგედიაა, მაგრამ, თვითმკვლელობა უფრო დიდი ტრაგედიაა. რადგან, თვითმკვლელობა არის ის გადაწყვეტილება, რომელსაც ადამიანი იღებს ცხოვრების ლოგიკის საწინააღმდეგოდ. ამაზე დიდი ტრაგედია არ შეიძლება არსებობდეს."

*"24 საათი"*

## მოკლედ

**თბილისი.** კომპანია „ბრიტიშ პეტროლიუმმა", ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის მშენებლობის ოპერატორმა, 6.5 მილიონი დოლარი გამოყო ქართველი ფერმერების მიწების კომპენსაციისათვის, რომელზეც ნავთობსადენი გაივლის. საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კომპანიაში განაცხადეს, რომ კომპენსაციის გაცემა უკვე დაიწყო. ვარაუდობენ, ეს პროცესი 2003 წლის აპრილში დასრულდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპატრიარქოს ახალგაზრდული ფონდის „ძლევაის" ინიციატივით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მშობელთა ზრუნვას მოკლებული და უნარშეზღუდული ბავშვებისთვის საქველმოქმედო აქცია-კონცერტი და ამ ბავშვების ფერწერული თუ ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა მოეწყობა. აღნიშნული ღონისძიებიდან შემოსული თანხით კი უსინათლო მოზარდებისთვის სახარებას დაბეჭდავენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილებების მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე შარშან 38 933 ბავშვი დაიბადა. გარდაცვალებულთა რიცხვმა კი 37 806 შეადგინა. ამავე წელს 13 347 წყვილმა იქორწინა, ხოლო 1 827 წყვილი განქორწინდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. ვარკეთილის და მესამე მასივის დასახლებების მცხოვრებნი, მიუხედავად იმისა, რომ, დედაქალაქში ერთ-ერთი საუკეთესო გადამხდელები არიან, ელექტროენერგიას მაინც შეზღუდვით იღებენ. როგორც "ეი-ი-ეს თელასში" აცხადებენ, ამ დასახლებებს სინათლეს ცენტრალური სადისპეჩეროებიდან უთიშავენ, რითიც სისტემას ტვირთს უმსუბუქებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**რუსთავი**. ენერგოდეფიციტის გამო, ელექტროენერგია სააქციო საზოგადოება "რუსთავწყალსაც" არ მიეწოდება. მისი ხელმძღვანელის, ბონდო გონგაძის განცხადებით, ამის გამო ქალაქ რუსთავს უწყლოდ დარჩენა და შესაბამისად, ეპიდემიის გავრცელების საფრთხე ემუქრება. რუსთავში 1998 წელს ეპიდემიური აფეთქება სწორედ უწყლობამ გამოიწვია. **ინტერ-პრესი**

# "მაკდონალდსი" სულაც არ არის მაკდონალდსის

5 თებერვალს ოთხი წელი შესრულდა თბილისში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რესტორნის, "მაკდონალდსის" გახსნიდან, რომლის დაარსების ნამდვილი ისტორია ბევრისთვის უცნობია. მე ვფიქრობდი, რომ მთელს მსოფლიოში გავრცელებული რესტორნების ქსელი ეკუთვნოდა ადამიანს, რომლის სახელსაც თავად ეს რესტორანი ატარებს. სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ "მაკდონალდსი" სულაც არ არის მაკდონალდსის! უფრო სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად მივმართე რუსთაველის გამზირზე მდებარე რესტორანს, სადაც საოცრად თავაზიანი ღიმილით მიმაცილეს "მაკდონალდსის" გენ. დირექტორთან ბატონ თენგიზ კაპანაძესთან, რომელიც ასევე თავაზიანი ღიმილით შემხვდა და სტუმრობის მიზეზით დაინტერესდა.

- ბატონო თენგიზ, მართალია, რომ "მაკდონალდსი" სულაც არ არის მაკდონალდსის? რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ მაკდონალდსი შოტლანდიური წარმოშობის ემიგრანტის დაარსებული იყო.

- ... ძმებ მაკ და დიკ მაკდონალდსებს ეკუთვნით სწრაფი და ეფექტური მომსახურების იდეა, რაც წარმატებით განახორციელეს კალიფორნიის შტატის, ქალაქ სან ბერნანდინოში გახსნილ რესტორანში. მომსახურების ხარისხითა და საოცარი სისწრაფით აღფრთოვანებულმა რეი კროკმა სავსებით ლოგიკურად დაასკვნა: "ადამიანებს ესაჭიროებათ ხარისხი, რაც გულისხმობს ხარისხიან და ამავე დროს სწრაფ მომსახურებას. ისინი ცდილობენ, მოუნახონ ალტერნატივა კვების ტრადიციულ წესებსა და მეთოდებს". ეს ყველაფერი, დღეისათვის არსებული სახით, კომპანიისა და რესტორნების ქსელის შექმნის საფუძვლად იქცა. 1955 წელს გაფორმდა ხელშეკრულება ძმებ მაკდონალდსებთან და გაიხსნა პირველი რესტორანი.

- სისწრაფე, რომელიც ასეთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია თქვენი რესტორნების მომსახურებაში, გავლენას ხომ არ ახდენს საკვების მომზადების ხარისხზე? ანუ ვგულისხმობ, სისწრაფის გამო, შესაძლებელია, რომ, მაგალითად, ხორცს აკლდეს შეწვა, ან დამწვარი იყოს?

- ვერ დაგეთანხმებით, ვინაიდან "მაკდონალდსის" ნებისმიერი რესტორანი მთელს მსოფლიოში ხელმძღვანელობს ოთხი ძირითადი ფასეულობით: ხარისხი, მომსახურება, სისუფთავე და ღირებულება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაღალი ხარისხის პროდუქტი მომხმარებელს მიეწოდება სწრაფად, თავაზიანი ღიმილით, სუფთა გარემოში და, რაც შეიძლება, დაბალ ფასში. სისწრაფისა და ხარისხის ერთმანეთთან კავშირს რაც შეეხება, მინდა გითხრათ, რომ სისწრაფე სულაც არ ნიშნავს უხარისხო პროდუქციას. ხარისხი მაკდონალდსის საქმიანობის უმთავრესი პრინციპია, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ნედლეულის შერჩევის, ისე დამზადებისას. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ვიყენებთ მხოლოდ უმაღლესი ხარისხის საქონლის ხორცის მკერდის ნაწილს, რომელიც განსაკუთრებული გემოსა და სხვა ბევრი ღირებულებების მქონეა. ხარისხის 100%-იანი გარანტია ნედლეულის კონტროლით იწყება და მთავრდება მზა პროდუქციით.

- თქვენ ხორცი ახსენეთ, უამრავი მითქმა-მოთქმა არსებობს თქვენი პროდუქციის მომწოდებლებზე. ამბობენ, რომ ხორცი ჩამოდის ზამბიიდან, ზეთი კოლუმბიიდან, პური კი ჩინეთში ცხვება.

- ეს რა, საპირველაპრილო ხუმრობაა? მაშინ მეტსაც გეტყვით - სალათის ფურცლები შემოგვაქვს მადაგასკარიდან, კიტრს და პომიდორს პაპუა ახალი გვინეიდან ვღებულობთ. ეს ისე - თუ აბსურდს აბსურდითვე ვუპასუხებთ. თუ სიმართლე გაინტერესებთ, "მაკდონალდსის" კერძები შედგება ისეთი ძირითადი საკვები ინგრედიენტებისგან, როგორიცაა საქონლის ხორცი, პური, რძის პროდუქტები, სალათის ფურცლები, კარტოფილი, კიტრი და პომიდორი.

ხორცის მზა პროდუქტები ჩამოგვდის ცენტრალური ევროპის წამყვანი კომპანიებიდან, რომლის ხარისხი კონტროლდება სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) მიერ. პური, სალათის ფურცლები, კიტრი და პომიდორი ადგილობრივია. "მაკდონალდსი" მიზნად ისახავს, მაქსიმალურად მოამარაგოს თავისი რესტორნები მასპინძელი ქვეყნის პროდუქციით. დიდი სურვილი გვაქვს ხორცის პროდუქტებიც ადგილობრივი წარმოების ყოფილიყო, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში მხოლოდ ორი რესტორანია, ჯერჯერობით ეს ვერ მოვახერხეთ. გაფართოების შემთხვევაში ეს პრობლემაც გადაიჭრება, რაც მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების რაოდენობასაც გაზრდის.

- ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ახალი რესტორნის გახსნას აპირებთ? თუ საიდუმლო არ არის, სად და როდისთვის გაქვთ ეს დაგეგმილი?

- ყოველი ახალი პროდუქტის დაწყებამდე ჩვენ ვატარებთ კვლევებს და ვსწავლობთ საზოგადოებრივ აზრს. ახალი რესტორნის ტერიტორიის შერჩევასაც ამის გათვალისწინებით ვფიქრობთ.

- თქვენ კვლევები ახსენეთ... რა მიმართულებით ატარებთ კვლევებს, კონკრეტულად რა კრიტერიუმები განსაზღვრავს საზოგადოების განწყობას და როგორია ეს განწყობა?

- მრავალფეროვანი, და ეს ბუნებრივიცაა იქიდან გამომდინარე, რომ თითოეული ადამიანი ინდივიდია, ყველას აქვს უფლება ჰქონდეს საკუთარი აზრი, მოსწონდეს რაღაც, ან არ მოსწონდეს. გემოვნებაზე კი, მოგეხსენებათ, არ დავობენ. ეს კვლევები ჩვენ იმისთვის გვჭირდება, რომ გავიგოთ, რამდენად შეესაბამება ჩვენი სამომავლო გეგმები ჩვენი მომხმარებლის მოლოდინს.

- და რამდენად შეესაბამება? თქვენ გემოვნება ახსენეთ. მოგეხსენებათ, ქართული სამზარეულო ძირითადად მწარე, მჟავე და მარილიანი კერძებით გამოირჩევა. თქვენთან კი, შეიძლება ითქვას, სრულიად საპირისპირო - "ეგზოტიკური მენიუა". აპირებთ თუ არა ამ სპეციფიკის გათვალისწინებას?

- გეთანხმებით, ალბათ, ესეც გასათვალისწინებელია. საერთოდ, "მაკდონალდსის" მენიუ მუდმივად იცვლება და მრავალფეროვანი ხდება ამა თუ იმ ქვეყნის კულინარიული ტრადიციების გათვალისწინებით. ამჟამად ჩვენს რესტორნებში ტარდება მექსიკური სამზარეულოს დღეები. ვფიქრობ, მომავალში გავითვალისწინებთ ჩვენი ეროვნული სამზარეულოს ძირითად ელემენტებს.

- თქვენი ძირითადი მომხმარებლები ბავშვები არიან. ჩემი აზრით, ეს ერთადერთი საბავშვო რესტორანია, სადაც ყველა პირობაა ბავშვებისთვის სასიამოვნო, მხიარული და ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად. თუ არ ვცდები, თქვენთან სიგარეტის მოწევა აკრძალულია. ბატონო თენგიზ, თავად თუ გყავთ ოჯახი და საკუთარი შვილები თუ დაგყავთ თქვენს რესტორანში?

- შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი მეგობრების, ახლობლებისა და თანამშრომლის შვილები ხშირად და სიამოვნებით სტუმრობენ "მაკდონალდსს", რისთვისაც სიამოვნებით გადავცემდი პრიზებს, როგორც ყველაზე ერთგულ მომხმარებელს. მაგრამ ამ ახლობლობის გამო, ვფიქრობ, ფართო საზოგადოება სწორად ვერ გამიგებს.

- გამიგონია, რომ "მაკდონალდსს" მოწყობილი აქვს ბევრი საინტერესო აქცია, თუმცა ეს ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებადაა ცნობილი - არ შუქდება პრესითა და ტელევიზიით.

- მიმაჩნია, რომ ყველამ თავის საქმე უნდა აკეთოს. ამას სასურველი საზოგადოებრივი რეზონანსის მისაღებად კი არ ვაკეთებთ, არამედ - შინაგანი მოთხოვნილებებით.

- დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის, გისურვებთ წარმატებებს.



# საზარელი მკვლელობა ცხელ კვალზე გაიხსნა





აბრამოვების ბინაში დაკავებული ეჭვმიტანილები.

პირველი გვერდიდან

ორმხრივი სროლის შემდეგ ყაჩაღებმა იქაურობა დატოვეს და გაიქცნენ. დარჩიაშვილების ოჯახში ოპერატიულად მისულ სამართალდამცველებს საზარელი სურათი დახვდათ – მოკლული ქალი, დაჭრილი მამაშვილი და საწოლის ქვეშ დამალული, შეშინებული, ერთმანეთს ჩახუტებული ერთი წლის ბავშვი და დარჩიაშვილების რძალი. მძიმედ დაჭრილი ზურაბ და მიხეილ დარჩიაშვილები სასწრაფო დახმარების მანქანით მეცხრე საავადმყოფოში გადაიყვანეს. ოჯახის უფროსს 12 ჭრილობა აღმოაჩნდა. ექიმები მას გუშინ, მთელი დღის განმავლობაში უტარებდნენ უმძიმეს ოპერაციებს. ზურაბ დარჩიაშვილი ფეხის არეშია დაჭრილი.

გუშინ დილითვე, მომხდარიდან საათნახევარში, სამართალდამცველებმა დარჩიაშვილების ოჯახზე თავდამსხმელთა ექვსკაციან ჯგუფს იქვე, მეზობელ კორპუსში მიაგნეს. პოლიციის მობილიზებულმა ოპერატიულმა ჯგუფებმა მიმდებარე ტერიტორია გადაკეტეს და ყაჩაღებს ძებნა დაუწყეს. თავდასხმის შემდეგ, ადგილზე ოპერატიულად მისულ პოლიციას, შემთხვევის ადგილზე მიყვანილმა დაგეშილმა ძაღლებმაც გაუწიეს დახმარება. სამართალდამცველები ცხელ კვალს - სისხლიან ნაფეხურებს გააყოლეს და №20 კორპუსში მიიყვანეს, სადაც ყაჩაღები იყვნენ ჩაკეტილნი. აბრამოვების სახლში გადამალულმა ყაჩაღებმა ვერც კი მოასწრეს პოლიციელთათვის წინააღმდეგობის გაწევა. ისინი ცოტა ხანში გაკოჭილები აღმოჩნდნენ იატაკზე. რაც შეეხება ნივთმტკიცებებს – ნიღბებს, დანებს, ცეცხლსასროლ ავტომატს, რომელთა გამოყენებითაც დაესხნენ ყაჩაღები თავს დარჩიაშვილებს, ამოღებულია.

ჩვენი ინფორმაციით, დარჩიაშვილების ოჯახი სიმდიდრითა და შეძლებით არ გამოირჩევა, მაგრამ, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის მიხედვით, დარჩიაშვილებმა ცოტა ხნის წინ ბინა გაყიდეს. თავდამსხმელებს, ალბათ, გაყიდული ბინიდან აღებული თანხა ეგულებოდათ ოჯახში, რადგან ფულს კატეგორიულად ითხოვდნენ.

გუშინ, მთელი დღის განმავლობაში, თავდამსხმელთა ვინაობა უცნობი იყო. მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც ყაჩაღები წინასწარი დაკავების საკნებში გადაიყვანეს და დაკითხეს, სამართალდამცველებმა მათი გვარები გაამჟღავნეს.

ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეთა ასაკი 27 წელს არ აღემატება და თითქმის ყველა მათგანს კრიმინალური წარსული აქვს. ამ მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ გუშინვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე შეიარაღებული ყაჩაღობისა და განზრახ მკვლელობის მუხლით.

ჩვენი ინფორმაციით, ერთ-ერთმა მათგანმა – 28 წლის მირიან ვარდუაშვილმა, ციხე ცოტა ხნის წინ დატოვა, ადამიანის გატაცების ბრალდებით მან უკვე მოიხადა სასჯელი. 27 წლის გაბრიელ ალოევი, მეტსახელად "გაბრო", ე. წ. კანონიერი ქურდი, ჩვენივე ინფორმაციით, ასევე ცოტა ხნის წინ დაბრუნდა კოლონიიდან, სადაც ის ყაჩაღობისთვის იყო გამწესებული. დაკავებულები არიან დუშელები – 19 წლის მამუკა ოქრუაშვილი და 20 წლის ილია ბექაური. რაც შეეხება ძმებს შალვა და მამუკა აბრამოვებს, რომლებიც დარჩიაშვილების მეზობლები არიან და რომელთა ბინაშიც იმალებოდნენ ყაჩაღები, ერთ-ერთი მათგანი 101-ე სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეა, მეორე კი 21 წლისაა.

სამართალდამცველები ვარაუდობენ, რომ გუშინ დაკავებული ყაჩაღური ჯგუფის მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულებებიც გამომჟღავნდება.

# აფხაზეთში ქართველებს სეპარატისტული „სამშობლოს" ღალატისთვის კლავენ

*ვიდრე ევროპარლამენტის კომისიის დელეგაციის წევრები გაარკვევენ, რა გააკეთა საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად და რაიმე პოზიციას შეიმუშავებენ, აფხაზების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე "ოფიციალურად" და "არაოფიციალურად", ალბათ, კიდევ ბევრ ქართველს გამოასალმებენ სიცოცხლეს.*

თამარ კაციტაძე

გუშინ, გალის რაიონში, ადგილობრივმა მოსახლეობამ სოფელ ჭუბურხინჯის ტყეში, ამავე სოფლის მკვიდრის, 23 წლის ლევან ყოლბაიას დასახიჩრებული გვამი იპოვა. ლევან ყოლბაია ოთხი დღის წინათ საკუთარი სახლიდან ოცმა შეიარაღებულმა აფხაზმა ბოევიკმა გაიტაცა.

თუმცა, როგორც ჩანს, ქართველების მკვლელობის ფაქტები დიდი ხანია არც გალის რაიონის მკვიდრთათვის და არც საქართველოს ხელისუფლებისთვის, სენსაციას აღარ წარმოადგენს. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის ინფორმაციით, გალის მოვლენებიდან დღემდე აფხაზების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე 1700 ქართველია მოკლული, ხოლო 700 უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. დანაშაულის სიხშირეს თუ საკუთარ უსუსურობას შეჩვეული საქართველოს ხელისუფლება კი ამგვარ ფაქტებზე ხმამაღლა აღარც საუბრობს.

გუშინ დუმილი პარლამენტარმა ელენე თევდორაძემ დაარღვია.

**"საქართველოს მოქალაქეს აფხაზეთის ხელისუფლებამ სიკვდილით დასჯა შეუფარდა. ეს ამაზრზენი ფაქტია, რადგან იმ ქვეყანაში, სადაც სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, არსებობს უკანონო სახელმწიფო წარმონაქმნი, რომელიც მოქმედებს ქვეყნის მიერ ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების საწინააღმდეგოდ",** - განაცხადა დეპუტატმა და საქართველოს პარლამენტს რეაგირებისკენ მოუწოდა.

თევდორაძის ინფორმაციით, აფხაზების მიერ სიკვდილმისჯილი ქართველი - გერვასი ჯოლოღუა - აფხაზებმა კოდორის ხეობაში დააპატიმრეს და სამშობლოს ღალატის მუხლით ორი თვის წინ გაასამართლეს.

"ხუთშაბათს **ჯოლოღუას მამა მოვიდა ჩემთან და დახმარება მთხოვა. იგი ამ ხნის განმავლობაში, თურმე, უამრავ ხალხს შეხვდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ყურადღება არავინ მიაქცია. მამა იხვეწება, მისი შვილი ქართველმა სამართალდამცველებმა დაკითხონ და სიმართლე დაადგინონ",** – აღნიშნა ჩვენთან საუბრისას დეპუტატმა. თევდორაძის თქმით, ჯოლოღუას ისტორია ცნობილი ყოფილა როგორც გაერო-ს სოხუმის ოფისისათვის, ასევე წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციისათვისაც. მათ, ზუგდიდში მცხოვრები სიკვდილმისჯილის დედა სოხუმში საკუთარ შვილს შეახვედრეს, მაგრამ, პარლამენტარის მტკიცებით, საერთაშორისო ორგანიზაციებს აფხაზეთის სასამართლოს გადაწყვეტილების გაპროტესტება არც უცდიათ.

ჯოლოღუას ბრალეულობასთან დაკავშირებით უფრო ამომწურავ ინფორმაციას ფლობს საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ავთანდილ იოსელიანი, რომელიც, მისივე თქმით, დიდი ხანია, რაც ჯოლოღუას საქმეს თვალ-ყურს ადევნებს. იოსელიანის განცხადებით, გერვასი ჯოლოღუა აფხაზებმა დააპატიმრეს 2001 წლის ოქტომბერში, კოდორის ხეობაში მყოფ გელაევის მომხრეებთან კავშირის გამო. ჯოლოღუასთან ერთად დაპატიმრებული ყოფილა ერთი ქართველი, გვარად ჩხეტიანი, ერთი ყარაჩაელი და ორიც ჩეჩენი, რომლებიც, სავარაუდოდ, რუსლან გელაევის დაჯგუფებაში შედიოდნენ.

როგორც გაირკვა, იოსელიანი ამ ხნის მანძილზე აფხაზებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს ჯოლოღუას შესახებ და იმედი აქვს, რომ შეძლებს სიკვდილმისჯილის ქართული მხარისთვის გადაცემას.

"**ყველაფერი კეთდება, რათა დახვრეტა თავიდან ავიცილოთ,"** – ამბობს დაზვერვის შეფი.

თუმცა, ვიდრე იოსელიანის დაპირების შესახებ ცნობილი გახდებოდა, მანამდე, თევდორაძის მოთხოვნით, ჯოლოღუას ბედით დაინტერესდა პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. მან გუშინდელ შეხვედრაზე სიკვდილმისჯილი ქართველის შესახებ ინფორმაცია ევროპის პარლამენტართა დელეგაციას მიაწოდა, რომელიც ხვალ სოხუმს ეწვევა.

რა შედეგს გამოიღებს ევროპარლამენტის დელეგაციის ჩარევა ჯოლოღუას საქმეში, უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი, მაგრამ რა შეფასებას მისცემენ ევროპელი ექსპერტები საქართველოს ტერიტორიაზე სიკვდილით დასჯის არსებობას, ეს, ალბათ, ცალკე საუბრის თემა იქნება.

თავის დროზე საქრთველოს ევროსაბჭოში გაერთიანების ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა სწორედ სიკვდილის გაუქმება იყო. მესამე წელია, რაც სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილება შევიდა და ქართული კანონმდებლობით სიკვდილით დასჯა აიკრძალა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აფხაზეთში, სადაც ქართული იურისდიქცია დიდი ხანია არ ვრცელდება, მართლმსაჯულებას სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოაქვს და კანონის ძალით ხალხს ხვრეტენ. ამაზე კი გუშინდლამდე ხმამაღლა არავინ საუბრობდა.

თამაზ ნადარეიშვილის განცხადებით, აფხაზების მხრიდან ქართველების სიკვდილით დასჯა არც პირველი შემთხვევაა და არც უკანასკნელი იქნება. აფხაზები, რომლებიც ძველი საბჭოთა კანონებით სარგებლობენ, სიკვდილს უსჯიან სამშობლოს მოღალატეებს. აფხაზური ლოგიკით, სიკვდილს იმსახურებენ ის ქართველები, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და ომის დროს აფხაზების წინააღმდეგ იბრძოდნენ. სიკვდილი ელით ქართველ პარტიზანებსაც, რომლებსაც, თურმე, ტერორიზმის მუხლით ასამართლებენ.

ნადარეიშვილის თქმით, ამ მოტივით სოხუმში სიკვდილით დასჯა ელოდება მამასახლისს, კვარაცხელიას, ჯოლოგუას და კიდევ სხვა მრავალ ქართველს.

"**აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველისთვის სიკვდილის განაჩენს მომავალშიც გამოიტანენ, გამოსავალი კი საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებაში და აფხაზეთის დაბრუნებაშია",** - განაცხადა თამაზ ნადარეიშვილმა და დასძინა – "აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველებს გაერო-ს, ეუთოსა და ადმიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების თვალწინ კლავენ, მაგრამ აღნიშნული ორგანიზაციები მკვლელობის აღსაკვეთად არაფერს აკეთებენ".

# გორელი ყაჩაღები დააპატიმრეს

შიდა ქართლში ყაჩაღური ჯგუფის წევრები დააკავეს. შიდა ქართლის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის ალეკო სუხიტაშვილის ინფორმაციით, ყაჩაღობაში ბრალდებული ავთანდილ მომცემლიძე, იოსებ ქუმარიტოვი და ირაკლი გაგნიძე გორელები არიან და გორში საქმიანობდნენ - ძირითადად, ქალებს ესხმოდნენ თავს.

სამივე ბრალდებულს გორის სასამართლომ გუშინ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა. თუმცა, ერთი - ირაკლი გაგნიძე - სასამართლომ არ დააპატიმრა, რადგანაც იგი არასრულწლოვანია. გაგნიძე პოლიციის ზედამხედველობის ქვეშაა.

ალექსანდრე სუხიტაშვილი ვარაუდობს, რომ ყაჩაღური დაჯგუფების წევრებს სხვა გაცილებით სერიოზული დანაშაულიც აქვთ ჩადენილი.

"შიდა ქართლში ანტიკრიმინალური ოპერაცია გრძელდება და შედეგებიც გვაქვს. გუშინვე მივაგენით გატაცებული "მერსედესის" მარკის მანქანას სოფელ თამარაშენში, დაკავებულია მანქანების გამტაცებელთა და ქურდების სერიოზული ჯგუფი. შიდა ქართლში ბლოკ-საგუშაგოების გახსნამაც სერიოზულად შეაფერხა კრიმინალთა საქმიანობა."

"ცხინვალიდან სერიოზული პრეტენზიები გამოითქმის ამ ბლოკ-საგუშაგოების მისამართით, რადგანაც ცხინვალის ხელისუფლებას მათი გახსნა არ აწყობს. საქმე ისაა, რომ ცხინვალელი კრიმინალები თავისუფლად შემოდიოდნენ ჩვენს ტერიტორიაზე, ყაჩაღობდნენ, იტაცებდნენ მანქანებს, ახლა ამას ველარ ახერხებენ," – აცხადებს ალეკო სუხიტაშვილი.

მიუხედავად შიდა ქართლის პოლიციის უფროსის მტკიცებისა, რომ რეგიონში სიტუაცია საგრძნობლად გაუმჯობესდა, მოსახლეობა საპირისპიროს აცხადებს და პოლიციის ხელმძღვანელობას ადანაშაულებს რეგიონში არსებულ გართულებულ კრიმინალურ ვითარებასა და კრიმინალებთან ალიანსში.

## ჯარისკაცის მკვლელობაში ბრალდებული მაიორი სამართალდამცველებს ჩაბარდა

ახალციხის სამხედრო ნაწილის ჯარისკაცის, 19 წლის გიორგი გუგუშვილის მკვლელობაში ბრალდებული მაიორი შალვა გოგოლაძე გუშინ მთავარ სამხედრო პროკურატურაში გამოცხადდა.

მთავარი სამხედრო პროკურორის გია ჯიქიას განცხადებით, სამხედრო პროკურატურამ თბილისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა გოგოლაძის გათავისუფლების თაობაზე ახალციხის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა მთავარი სამხედრო პროკურატურის მოთხოვნა და ახალციხის სამხედრო ნაწილის კომენდანტს შალვა გოგოლაძეს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა. გია ჯიქიას ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც გოგოლაძისთვის ცნობილი გახდა, რომ მის დაპატიმრებაზე მოსამართლის ბრძანება გაიცა, იგი ნებაყოფლობით გამოცხადდა სამხედრო პროკურატურაში.

შეგახსენებთ, რომ 4 თებერვალს, ახალციხის სოფელ წნისში, ნაწილიდან გაქცეული ჯარისკაცი იპოვეს. მას ზურგში სასიკვდილო ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. გიორგი გუგუშვილს ბრიგადის კომენდანტის მიერ ნასროლი ტყვია მოხვდა.

სამართალდამცველებს ჩაბარებული შალვა გოგოლაძე ამჟამად წინასწარი გამოძიების იზოლატორში იმყოფება.

## „ალაჰის მსახურს" ფსიქიატრიულ ექსპერტიზას უტარებენ

დაბა ურეკიდან მოსკოვში, "ლეფორტოვოს" იზოლატორში ეტაპირებული ადამ დეკუშევი რუსეთის სპეცსამსახურებმა ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე გაგზავნეს. როგორც ცნობილია, იგი იძებნებოდა 1999 წელს მოსკოვსა და ვოლგოდონსკში საცხოვრებელი სახლების აფეთქების ბრალდებით. რუსეთის სპეცსამსახურებისგან განსხვავებით, ამ ტერაქტების მოწყობას ბორის ბერეზოვსკი თვით ვლადიმერ პუტინს აბრალებს. რაც შეეხება რუსეთის სპეცსამსახურებს, ფედერალური უშიშროების სამსახური ტერაქტებზე პასუხისმგებლობას ყარაჩაელთა ჯგუფს აკისრებს, რომლის ხელმძღვანელად აჩიმეზ გოჩიაევი, წევრებად კი, დეკუშევთან ერთად, თემურ ბეჩიაევი და იუსუფ კრიმშამხალოვი სახელდებიან. ცხადია, რუს სამართალდამცველებს ბერეზოვსკის განცხადების სერიოზულად გამოძიება არც უფიქრიათ. სპეცსამსახურების მონაცემებს კი რეალიზება სასწრაფოდ გაუკეთეს.

შარშან, გაზაფხულზე, რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს მხარეს ამ ოთხეულის პანკისში ყოფნის შესახებ ცნობასთან ერთად, მათი რუსეთისთვის გადაცემის მოთხოვნაც გამოუგზავნა. ქართველებმა კი, მართალია, სიტყვიერად უარყვეს ტერორისტების პანკისში ყოფნა, მაგრამ ზაფხულში ჯერ დეკუშევი გაიტყუეს ხეობიდან ზღვის სანაპიროზე და ურეკში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაკავებული ყარაჩაელი სასწრაფოდ, საიდუმლო ვითარებაში გადასცეს რუსეთს, შემდეგ კი, მოგვიანებით, შემოდგომაზე, ბეჩიაევი და კრიმშამხალოვი მოტყუებით ჩაიყვანეს ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალამდე და იქ ჩაუსაფრდნენ. მაშინ ამტყდარი სროლის შედეგად ბეჩიაევი დაიღუპა, კრიმშამხალოვი კი დეკუშევის მსგავსად, გასაიდუმლოებული წესით, "ლეფორტოვოს" იზოლატორში აღმოჩნდა.

სპეცსამსახურებისა და დეკუშევისთვის სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატის თქმით, ყარაჩაელისგან გამოძიებამ ტერაქტების მზადების შესახებ ბევრი აქამდე უცნობი დეტალი შეიტყო. მაგალითად ის, რომ ასაფეთქებელი ნივთიერებები ჩეჩნეთში, სპეციალურ ქარხნებში კი არ მზადდებოდა, არამედ ყარაჩაი-ჩერქეზეთის ერთ-ერთი სოფლის პატარა ეზოში. დეკუშევის აღიარებით, სულ 9 ტონა ასაფეთქებელი ნივთიერება დამზადდა და შაქრის ტომრებში განაწილდა. თავდაპირველად ტერორისტები ერთ-ერთი მსხვილი ჰესის აფეთქებას გეგმავდნენ (კერძოდ, რომლის - გამოძიება არ აკონკრეტებს). აფეთქების შედეგად დაიტბორებოდა რამდენიმე დასახლებული პუნქტი და ათასობით ადამიანი (ძირითადად, რუსები) დაიღუპებოდა. თუმცა, მოგვიანებით გეგმები შეცვლილა და საცხოვრებელი სახლების აფეთქება გადაუწყვეტიათ; ამასთან, დეკუშევმა არ იცოდა, სად უნდა მომხდარიყო აფეთქება. მისი თქმით, მოსკოვსა და ვოლგოდონსკში განხორციელებული აფეთქებებისას ის უკვე მთებში იმალებოდა და მომხდარის შესახებ რამდენიმე დღის შემდეგ შეიტყო. ადვოკატი გვიყვება, თუ როგორ ჰკითხა მან დეკუშევს - ინანიებს თუ არა დანაშაულს. მან კი უპასუხა:" მე და ჩემს მეგობრებს, ალბათ, ეს არ უნდა გაგვეკეთებინა", თუმცა იქვე დაამატა: "დაუფიქრებლად ვმოქმედებდი, როგორც ეს ალაჰის მსახურს შეეფერება". სხვათა შორის, ადვოკატის თქმით, ფსიქიატრიული ექსპერტიზის აუცილებლობაც სწორედ იმ ფაქტორმა განაპირობა, რომ ადამ დეკუშევი ძალიან ხშირად იმეორებს, რომ ალაჰის მსახურია.

## მოკლედ

**თბილისი.** 30-მდე ყოფილმა მეომარმა მსჯავრდებულმა გეგუთის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შიმშილობა დაიწყო ამნისტიის მოთხოვნით. ყოფილი მეომრები შეწყალების მოთხოვნით შარშან, დეკემბერშიც შიმშილობდნენ. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ შეწყალების სახელმწიფო კომისიის გადაწყვეტილების გამო, რომლითაც უმეტესობას შეწყალებაზე უარი უთხრეს. არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" წარმომადგენლის ნანა კაკაბაძის თქმით, მსჯავრდებულებმა შიმშილობა დეკემბერში შეწყვიტეს, მას შემდეგ, რაც ხელისუფლების მხრიდან დაპირება მიიღეს. თუმცა დაპირება დაპირებად დარჩა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "დღეისათვის პანკისის ხეობაში მცხოვრებ ჩეჩნეთიდან დევნილთა შორის კრიმინალური ელემენტების ან ტერორისტთა ყოფნის ალბათობა გამორიცხული არაა, თუმცა მათი გამოვლენის პროცესში შეიძლება უდანაშაულო ხალხიც დაზარალდეს," - განაცხადა "საქართველოში ჩეჩნეთის კავკასიური კომიტეტის" თავმჯდომარემ ისლამ საიდაევმა. ისლამ საიდაევის თქმით, "პანკისში, პირველი ანტიტერორისტული ოპერაციის მიმდინარეობისას, საქართველოს სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლებმა ჩეჩნეთიდან დევნილთა უფლებები არაერთგზის დაარღვიეს. ხშირ შემთხვევაში მათი მეთოდები ჩეჩნეთში რუს სამხედროთა მოქმედებებისგან არაფრით განსხვავდება". "ტერორისტები, უნდა დაისაჯონ, თუმცა მშვიდობიანი მოსახლეობა არ უნდა დაზარალდეს", - განაცხადა მან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სასამართლომ, მტკიცებულების არარსებობის გამო, წინასწარი პატიმრობა არ შეუფარდა ქურდობის ბრალდებით დაპატიმრებულ მამუკა ჯანაშვილს.

ჯანაშვილის ადვოკატის ზურაბ როსტიაშვილის თქმით, ჯანაშვილი დააკავეს ზურაბ მახნიაშვილის ვიდეოსტუდიის გაქურდვის ბრალდებით. ადვოკატის ინფორმაციით, პატიმარი პოლიციაში სასტიკად აწამეს. იგი დენზე შეაერთეს, თუმცა აღიარებითი ჩვენება ვერ გამოსძალეს. როსტიაშვილის თქმით, ჯანაშვილი თავდაპირველად უარყოფდა, რომ პოლიციაში სცემეს; თუმცა, მან სასამართლოზე ეს ფაქტი დაადასტურა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგანი ჯარების სარდლის გიორგი შერვაშიძის ინფორმაციით, ევროპარლამენტის დელეგაციის წევრები კმაყოფილნი დარჩნენ ქართველი სამართალდამცავების მიერ პანკისის ხეობაში ჩატარებული ანტიკრიმინალური ოპერაციის შედეგებით. "ევროპარლამენტარებმა ჩვენგან დაწვრილებითი ინფორმაცია მოითხოვეს. შემდეგ უშუალოდ ხეობაც მოინახულეს და დარწმუნდნენ, რომ რუსეთის საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ცნობები, თითქოს პანკისში არაფერია გაკეთებული, სიმართლეს არ შეეფერება," – განაცხადა გიორგი შერვაშიძემ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის დაპირება, რომ ქართულ მხარეს ცხინვალის ციხეში მყოფი ოთხი განსასჯელი გადმოეცემოდა, კვლავ შეუსრულებელია. ქართველმა სამართალდამცველებმა თებერვლის პირველ რიცხვებშივე მიმართეს ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს და ამ პროცედურისთვის საჭირო დოკუმენტების ნუსხა მოითხოვეს, მაგრამ მათგან პასუხი ჯერ არ მიუღიათ. არაოფიციალური მონაცემებით, ცხინვალის ციხეში ამჟამად 100-ზე მეტი ქართველი პატიმარია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "2002 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა არასაპატიმრო სასჯელის მქონე პირთა რაოდენობა, რაც დღის წესრიგში აყენებს ისედაც დატვირთული აღმასრულებლებისათვის მათზე კონტროლის ფუნქციის ჩამოშორებას," — განაცხადა იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიგლა აგულაშვილმა. მისი ინფორმაციით, 2003 წლის მონაცემებით, საქართველოში 4.008 არასაპატიმრო სასჯელის მქონე პირია, მათ შორის, 3.929 პირი პირობითი სასჯელის მქონეა, 61 ადამიანი პირობით ვადამდე გათავისუფლებულია, ხოლო 18 პირს გადავადებული აქვს სასჯელის მოხდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სისტემაში დაშვებულ დარღვევებთან დაკავშირებით, იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასკვნის საფუძველზე, შარშან სისტემიდან დაითხოვეს 15 თანამშრომელი, 49 გაათავისუფლეს, ხოლო 42 მუშაკს საყვედური გამოუცხადეს. იუსტიციის სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებით 2002 წლის მანძილზე გენერალურ ინსპექციაში შესულია და განხილულია 146 განცხადება-საჩივარი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის ფედერაციის ქალაქ კრასნოდარში დააკავეს ყაჩაღობისა და უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნისათვის თბილისის გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს მიერ ძებნილი, 18 წლის არჩილ მელაძე, რომელიც 1999 წლის 18 დეკემბერს, სხვა პირებთან ერთად, ნელი ცხაკაიას ბინაში შეიჭრა და მას იარაღის მუქარით გასტაცა პირადი ნივთები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის "სახალხო კრების" დეპუტატის, ვლადიმირ ნანაჩ-ოღლის განცხადებით, ბერძენი ბიზნესმენის სტავრო სტილიდისისა და სეპარატისტთა სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის ასლან კობახიას გატაცებათა ხელწერა ერთმანეთს ემთხვევა. მისი აზრით, რესპუბლიკაში მოქმედებს ბოევიკთა რამდენიმე დაჯგუფება, რომელთა დაკავება და განიარაღება უშიშროებასა და შს სამინისტროებს ევალებათ. **მედია-ნიუსი**

## "ესპრიტის" წარმოება შეწყდა

ინგლისურმა კომპანია „ლოტუსმა", რომელიც დღეისათვის მალაიზიური ავტოკომპანია „პროტონის" შემადგენელი ნაწილია, გამოაცხადა, რომ წელს, ზაფხულიდან შეწყვეტს ლეგენდარული მოდელის, „ესპრიტის" წარმოებას, მისი ამერიკული ვარიანტის გამოშვება კი წლის ბოლოს დასრულდება.

ამ მოდელის გამოშვება „ლოტუსმა" ჯერ კიდევ 1976 წლიდან დაიწყო და მას შემდეგ 10 000 ასეთი მანქანა დაამზადა. „ესპრიტს" პოპულარობა მოუტანა სუპერაგენტ ჯეიმს ბონდის ერთ-ერთ სერიალში (სახელად „ჯაშუში, რომელმაც შემაცდინა") გადაღებამ, სადაც იგი სუპერკარისა და წყალქვეშა ნავის ჰიბრიდად გამოგვეცხადა.

თუმცა, ბონდი რა შუაშია, როცა ავტომობილი, რომელსაც გასული 26


*ლოტუს ესპრიტი წარსულს ჩაბარდა*

წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, არ განუცდია გარეგნული ცვლილება, დღესაც ისეთივე ელეგანტურია, მისი დიზაინი კი ისეთივე აქტუალური და თანამედროვე, როგორიც პირველ წლებში იყო.

კომპანიამ ისიც გამოაცხადა, რომ უახლოეს მომავალში სრულიად მოდერნიზებულ „ესპრიტს" შესთავაზებს მყიდველს.

„ლოტუსს" ჯერაც არ გადაუწყვეტია, თუ როგორი იქნება იმიჯშეცვლილი „ესპრიტი", მაგრამ უკვე მიდის შერჩევითი სამუშაოები. მაგალითად, უკვე გაიხსენეს პროექტი M250, რომელსაც წლების განმავლობაში მტვერი ედო.

„ესპრიტის" აღდგენისას, ექსპერიმენტის სახით, „ლოტუსი" ორ წელიწადში ბაზრისთვის მოამზადებს მოდელ „ელისის" დაგრძელებულ პლატფორმაზე შექმნილ კუპეს, რომელიც ამერიკული სტანდარტების მიხედვით მომზადებული მცირელიტრაჟიანი, მაღალი ლიტრული სიმძლავრის მქონე და, იმავდროულად, ეკოლოგიურად სუფთა ძრავებით აღიჭურვება.

## ახალი მარკა მდიდრული ავტომობილებისთვის

„ჰიუნდაი მოტორსის" პრეზიდენტმა კიმ დონ ჟინმა დაადასტურა ცნობა იმის შესახებ, რომ მისი კომპანია უახლოეს მომავალში წარმომადგენლობითი ავტომობილების წარმოებისთვის სრულიად ახალი მარკის შექმნას აპირებს. ზუსტად ისე, როგორც ეს თავის დროზე გააკეთეს „ტოიოტამ" (ლექსუსი) და „ნისანმა" (ინფინიტი).

„კორეა ჰერალდის" ცნობით, დონ ჟინმა განაცხადა, რომ ამგვარი მარკა „ჰიუნდაის" და მის კუთვნილებაში მყოფ „კიას" ესაჭიროება, რამეთუ ორივე კომპანიას მთელს მსოფლიოში იცნობენ, როგორც მასობრივი, იაფი ავტომობილების მწარმოებლებს და მათი მარკით გამოშვებული ძვირ ავტომობილებს გაუჭირდებათ ბაზარზე ფეხის მოკიდება.

წინასწარი მონაცემებით, „ჰიუნდაის" ახალ მარკას „ეკუსს" დაარქმევენ. თუმცა, როგორც კომპანიის ჩრდილოამერიკული დივიზიონის (ძვირადღირებული ავტომობილების ძირითადი ბაზარი სწორედ ჩრდილოეთი ამერიკაა) შეფი იტყობინება, მისთვის ჯერაც არაფერია ცნობილი ახალი მარკის შექმნის თაობაზე.

## ბენზინი ქვანახშირისგან

უახლოეს 15 წელიწადში ინგლისელებს იმის საშუალება გაუჩნდებათ, რომ თავიანთ ავტომობილებში ქვანახშირისგან მიღებული ბენზინი ჩაასხან.

დღეისათვის ნახშირისგან ბენზინის დამზადების საწარმოო ტექნოლოგიის მისაღებად ოთხი წამყვანი ინგლისური ინსტიტუტი მუშაობს.

ძველი ტექნოლოგიისგან განსხვავებით, რომლის საშუალებითაც გაუწმენდავი ნავთობისგან ბენზინი იწარმოება, ახალი ტექნოლოგია მწარმოებელს საწვავის წარმოებისას დანახარჯების შემცირების საშუალებას მისცემს და, რაც მთავარია, ამით ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ვითარებაზე დამოკიდებულებაც იკლებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნახშირისგან ბენზინის მიღებისას ატმოსფეროში გაცილებით ნაკლები მავნე აირი გამოიყოფა, ვიდრე ნავთობის გადამუშავებისას.

## სუპერკარი სახელად ვისმან GT

პატარა გერმანულმა კომპანია „ვისმანმა" ავტოგიგანტ „ბეემვესთან" ერთად შექმნა და წარმოებისთვის მოამზადა სპორტული კუპე სახელად „ვისმან GT", რომელიც პირველად გასული წლის ესენის ავტოსალონზე იქნა ნაჩვენები.

ეს უჩვეულო ავტომობილი თვითმყოფადი დიზაინით კი გამოირჩევა, მაგრამ მაინც წინიდან ცნობილ „იაგუარ XK 150"-ს წააგავს. ამ სპორტკარის დიზაინი შესრულებულია გასული საუკუნის პირველი ნახევრის კლასიკური ავტომობილების სტილში, რაზეც მომრგვალებული ფორმები, დიდრონი „ფრთები" და უკან დაწეული კაბინა მიგვანიშნებს.

„ვისმანმა" თავისი ავტომობილისთვის შეარჩია ის 4.4-ლიტრიანი აგრეგატი, რომელიც უგზოობის „ბეემვე X5"-ში გამოიყენება. ამ V8-ს სიმძლავრე მცირე მოდერნიზების შემდეგ 333 ცხენის ძალამდე გაიზარდა, მომენტმა კი 450 ნ/მ-ს მიაღწია. ავტომობილი ადგილიდან ასამდე სიჩქარეს 4.6 წამში კრეფს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 255 კმ/სთ-ია.

გარდა ამისა, „ვისმან GT" აღჭურვილია 6-საფეხურიანი ნახევრადავტომატური გადაცემათა კოლოფით სახელად SMG (სელფ მენეჯინგ ჯეარ), რომელიც მძღოლის სურვილის შემთხვევაში მექანიკურ (ხელით გადართვის) რეჟიმში იწყებს მუშაობას.

ავტომობილი ბაზირებულია ალუმინისგან შექმნილ შასიზე, რომელზეც აკრეფილია შუშა-კარბონისა და პოლიეთერული ფისის კომპოზიციური მასალებისგან დამზადებული ძარა. ამის წყალობით ავტომობილი, სულ რაღაც, 1100 კილოგრამს იწონის.

„ვისმან GT"-ს წარმოება წლის მეორე ნახევრიდან დაიწყება და პირველად წლის ბოლოს გერმანულ ბაზარს მიაკითხავს. თუმცა, ეს პირობითია, რადგან იგი მხოლოდ შეკვეთებით დამზადდება.


*ვისმან GT*

# "პორშე კარერა GT" სტარტს იღებს

როგორც იქნა, „პორშეს" უახლეს სუპერავტომობილ „კარერა GT"-ის დებიუტის დროც დადგა , რომელსაც უკვე ელიან ისეთი მრისხანე კონკურენტები, როგორებიცაა „ფერარი ენცო" და „ლამბორგინი მურსელაგო".

როგორც ცნობილია, „კარერა GT"-ს კონცეპტუალური ვარიანტის დებიუტი 2001 წელს დეტროიტის ავტოშოუზე შედგა. მისი სერიული ვარიანტის პრემიერა კი გაზაფხულის დასაწყისისთვის, ჟენევის ავტოსალონზეა დაგეგმილი, თუმცა მისი გაყიდვები მხოლოდ წლის ბოლოს დაიწყება.

„პორშე კარერა GT" ტიპიური სპორტული ავტომობილია, რომლის შექმნისას კონსტრუქტორებმა მრავლად გამოიყენეს ყველა ის მიღწევა, რომლებმაც უკვე გაიარეს გამოცდა ავტოსპორტის უმაღლეს ეშელონებში (ლე მანის 24-საათიანი რბოლა და ფორმულა 1).

ახალ მოდელს გაუკეთდა შასი, რომელიც მონოკოკის ტიპის მზიდ ელემენტზეა დაფუძნებული. მისი წარმოებისთვის ფართოდ გამოიყენება შუშა-კარბონისა და პოლიეთერული ფისების კომპოზიციური მასალებისგან დამზადებული დეტალები, რომლებიც ძარის უმაღლეს სიხისტეს უზრუნველყოფს. ეს მასალები სიძვირით კი გამოირჩევა, მაგრამ, მათი წყალობით, „კარერა GT"-ს ძარა ხისტი და მეტად მსუბუქი გამოვიდა.

ახალ სუპერკარსაც სპორტული ძრავი აქვს. ესაა 5.7-ლიტრიანი V10, რომელიც ასევე სარბოლო „პორშეს" ძრავის ბაზაზეა შექმნილი და 612 ცხენის ძალას ავითარებს, რისი მეშვეობითაც 1380-კილოგრამიანი ბოლიდი ადგილიდან ას კილომეტრს საათში 3.9 წამში კრეფს, ორასამდე ასაჩქარებლად ათ წამზე ნაკლები სჭირდება, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 330 კმ/სთ-ს აღწევს.

ესოდენ დიდი სიმძლავრისა და შესაბამისი (700-მდე ნ/მ) მაბრუნი მომენტის რეალიზაციისთვის „პორშეს" კონსტრუქტორებმა გადაბმულობის ქუროში გამოიყენეს კომპოზიციური მასალები, სადაც ფრიქციულ ფენას კერამიკული მასალების კომპოზიტები ქმნის. ეს გადაბმულობის ქურო სპეციალურად ამ მოდელისთვის შეიქმნა და გამოცდა გაიარა ლე მანის რბოლებში.


*ასეთია ფერარი ენცოს კონკურენტი შტუტგარტიდან - პორშე კარერა GT*



იგივე კერამიკული მასალები გამოიყენება „კარერა GT"-ს მუხრუჭებში. სხვანაირად 330 კმ/სთ სიჩქარიდან ხანმოკლე და ეფექტური დამუხრუჭება წარმოუდგენელიც კი იქნებოდა - ფოლადის და თუჯის სამუხრუჭე დისკები ასეთი სიჩქარეების დროს მალე გამოდის მწყობრიდან და, ესეც რომ არა, ისინი გაცილებით უფრო დიდი მასითაც გამოირჩევიან, რაც ავტომობილის დაურესორებელ მასას ზრდის, ეს კი უარყოფითად მოქმედებს მის დინამიკურ პარამეტრებზე.

სუპერკარერას გზის საფართან ეფექტურ ჩაჭიდებას უზრუნველყოფს უზარმაზარი ბორბლები: წინ 265/35 ZR19 და უკან 335/30 ZR20.

წინასწარი მონაცემებით, მხოლოდ ათასი ცალი ასეთი სუპერავტომობილი დამზადდება და თითოეულის ღირებულება იქნება 600 ათასი ევრო. ამასთან, როგორც „პორშე" აცხადებს, მას უკვე მიღებული აქვს წინასწარი შეკვეთა პირველ პაკეტზე და უკვე განიხილება დამატებით კიდევ რამდენიმე ასეულის დამზადების შესაძლებლობა.

# "მაზერატი" სიახლეებს ამზადებს

იტალიური კომპანია „მაზერატი" უკვე აწარმოებს თავისი ახალი მოდელის, „კვატრო პორტეს" საგზაო გამოცდებს და მის დებიუტს წელს, შემოდგომაზე ფრანკფურტის ავტოსალონზე გეგმავს.

კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ახალი მოდელი, სპორტული დანიშნულების მიუხედავად, კვლავაც გააგრძელებს „კვატრო პორტესთვის" ჩვეულ, მდიდრული ლიმუზინის ტრადიციებს.

ახალი ავტომობილის სიგრძე 510 სანტიმეტრი იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ის მოკლებაზიან S-კლასის „მერსედეს-ბენცზე" გრძელია. სალონის გაფორმების სამუშაოებს ასრულებს ცნობილი სადიზაინერო სტუდია „პინინფარინა".

მოსალოდნელია, რომ დიდ „მაზერატის" სპორტული ავტომობილებისთვის დამახასიათებელი დინამიკა ექნება, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი (სავარაუდოდ, 300 კმ/სთ) გაცილებით მეტია, ვიდრე კონკურენტი გერმანული ავტომობილებისა.

ამგვარი მაჩვენებლების მისაღწევად „კვატრო პორტე" აღიჭურვება 4.2-ლიტრიანი, V8 კონფიგურაციის აგრეგატით, რომელიც 385 ცხენის ძალას ავითარებს და მაქსიმალურ მაბრუნ მომენტს და ბრუნთა რიცხვის დიდი დიაპაზონი აქვს. მომავალში სავარაუდოა იმავე მოდელზე V12 აგრეგატის გამოყენებაც.

ახალ ავტომობილს მუშტარი, ძირითადად, ჩრდილოეთ ამერიკის ბაზარზე ეყოლება, მაგრამ ამის მიუხედავად, იგი არ აღიჭურვება ავტომატური გადაცემათა კოლოფით, რაც ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა ამერიკელ მყიდველთა შორის.

„მაზერატის" გეგმებით, 2006 წლისთვის „კვატრო პორტეს" გაყიდვები 9 ათასს მიაღწევს, რაც იმას მოასწავებს, რომ ეს მდიდრული სედანი იტალიური კომპანიის წლიური წარმოების ნახევარს დაიკავებს.

„კვატრო პორტეს" გარდა „მაზერატის" სამომავლო გეგმებში შედის ახალი, ექსკლუზიური სუპერავტომობილის გამოშვება, რომელიც „ფერარი ენცოს" ბაზაზე დამზადდება და მისივე 12-ცილინდრიან აგრეგატს გამოიყენებს, რომლის სიმძლავრეც 660 ცხენის ძალას შეადგენს. თუმცა, ამ აგრეგატის სიმძლავრე გარკვეულწილად შემცირდება, რათა ამ სიახლემ „ენცოს" კონკურენცია ვერ გაუწიოს.

წინასწარი ვარაუდით, ახალ ავტომობილს „მაზერატი 6000GT" დაერქმევა და მისი დებიუტი 2004 წლის რომელიმე დიდ ავტოსალონზე მოეწყობა. წელს პირველ ტესტებს გაივლის სუპერავტომობილის შასი და წლის ბოლოსთვის გამზადდება მისი პირველი პროტოტიპი.

მოსალოდნელია, რომ „მაზერატი 6000GT" გაცილებით უფრო კომფორტული და მდიდრული იქნება, ვიდრე „ენცო", რომელსაც არც კომფორტულობაზე აქვს პრეტენზია და არც მდიდრულობაზე, რამეთუ მისი დანიშნულება მხოლოდ სისწრაფე და შესანიშნავი დინამიკური მახასიათებლებია. ყოველივე კი იმის გარანტიას იძლევა, რომ ერთ პლატფორმაზე შექმნილი ეს ორი ავტომობილი ბაზარზე ერთმანეთს კონკურენციას ვერ გაუწევს.

„მაზერატი 6000GT"-ს გასაღების მთავარი ბაზარი ისევ და ისევ ჩრდილოეთ ამერიკა იქნება. კომპანია კი ამ მოდელს წლიურად მხოლოდ 400-500 ცალის ოდენობით გამოუშვებს და თითოეულის ღირებულება 150 ათასი დოლარზე მეტი იქნება.


*შენიღბული კვატრო პორტე სრული ტემპით გადის საგზაო გამოცდებს*

# "კრაისლერ კროსფაიერი" - ამერიკული წარმოშობის გერმანელი

თებერვლის დასაწყისში გერმანული კომპანია „კარმანის" ოსნაბრუკის ფაბრიკის ტერიტორიაზე შედგა „დაიმლერკრაისლერის" ამერიკული შტოს, „კრაისლერის" ახალი ავტომობილის, „ქროსფაიერის" დებიუტი, რომელიც პირველად პრესას „კრაისლერის" ოპერაციების შეფმა, ვოლფგანგ ბერნჰარდმა წარუდგინა.

ეს ახალი ავტომობილი, რომელსაც უკვე კარგა ხანია, ელოდებიან დილერები, სწორედ „კარმანის" ფაბრიკაში დამზადდება. ეს კომპანია ცნობილია, როგორც „მერსედეს-ბენცის" უძველესი პარტნიორი. მას ავტომობილების წარმოების ასწლიანი ისტორია აქვს და დღეისათვის მსოფლიოს ლიდერია ავტოკომპანიების მაკომპლექტებელი ნაწილების სრული პაკეტით მომარაგების საქმეში.

ბერნჰარდის განცხადებით, „ქროსფაიერი" ამერიკული ავტომობილებისთვის დამახასიათებელი შესანიშნავი დიზაინსა და დახვეწილი გერმანული საინჟინრო ხელოვნების ნაზავია. მისი თქმით, „ქროსფაიერი" კონცეპტუალური მოდელიდან სერიულ ავტომობილად სულ რაღაც 24 თვეში იქცა.

„კრაისლერ ქროსფაიერი" პირველად დეტროიტის 2001 წლის შოუზე იქნა ნაჩვენები. მაშინდელი კარგი გამოხმაურების გამო, გადაწყდა მისი კონვეიერზე დაყენება. მომდევნო წელს კომპანიამ ლოს ანჯელესის ავტოსალონზე, რომელიც დეტროიტისას რამდენიმე დღით უსწრებს, უკვე საწარმოო მოდელი წარმოადგინა. ავტოინდუსტრიაში კი პირველად მოხდა, რომ მოდელს კონცეპტუალური ნააზრევიდან კონვეიერამდე მისასვლელად ორი წელიწადი ეყო.

წარმოებისთვის მომზადებისას „კრაისლერის" ინჟინრებმა მაქსიმალურად შეუნარჩუნეს ავტომობილს ის გარეგნობა, რომლის წყალობითაც, „ქროსფაიერი" კონცეფციის დებიუტისთანავე პოპულარული გახდა პოტენციურ მყიდველთა შორის. ამასთან, მას შეუნარჩუნდა „მერსედეს-ბენცის" ის კომპონენტები, რომლებიც კარგა ხანია, წარმოებაში გამოიყენება.

მაგალითისთვის, ავტომობილს კონცეპტმოდელიდან გადმოჰყვა დიზაინი და ბორბლებს შორის ბაზა. სამაგიეროდ, „მერსედეს-ბენცისგან" მიიღო ძრავი, გადაცემათა კოლოფი და დაკიდების სისტემა სხვა „წვრილმან" კომპონენტებთან ერთად.

„კრაისლერ ქროსფაიერი" არის ორადგილიანი სპორტული კუპე, რომელიც აღჭურვილია შტუტგარტული კომპანიის წარმოების 3.2-ლიტრიანი V6 ძრავით. 215-ცხენისძალიანი აგრეგატის ცილინდრებს შორის კუთხე 90 გრადუსს შეადგენს (როგორც ფ1-ის თანამედროვე ძრავებში) და ყოველ ცილინდრს სამი სარქველი აქვს. მაბრუნი მომენტი ბორბლებამდე მიაქვს ექვსსაფეხურიან მექანიკურ, ან ხუთსაფეხურიან ავტომატურ გადაცემათა კოლოფს.

წელს „კრაისლერს" 11000 „ქროსფაიერის" დამზადება აქვს ნავარაუდევი. პირველად ავტომობილი სადილერო ქსელში შუა ზაფხულში გამოჩნდება. მომავალი წლიდან კი „კარმანის" ქარხანა უკვე 20 ათას „ქროსფაიერს" დაამზადებს, რომლის მხოლოდ 15 პროცენტი გაიყიდება ამერიკის ფარგლებს გარეთ.


*ეს-ესაა კრაისლერ ქროსფაიერმა პირველი ნაბიჯი გადადგა*

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

# კორუფციასთან ბრძოლა ქარის წისქვილებთან ბრძოლად მიმაჩნია

*დღევანდელი პერსონა „მოქალაქეთა კავშირის", საქართველოს პალამენტის და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრია. თუმცა, მისი სიამაყის საგანს არც ერთი ეს თანამდებობა არ წარმოადგენს. იგი თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის დირექტორობით ამაყობს და ამბობს, რომ ამ თანამდებობას არასდროს არაფერში გაცვლის. მით უფრო, რომ სკოლის დიპლომს ხელს თავად ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი აწერს და გადასცემს კიდეც კურსდამთავრებულებს. ევროპის საბჭოს ყველა წარმომადგენელსა და ექსპერტს მიაჩნია, რომ საქართველო-ევროპის საბჭოს ურთიერთობებში სკოლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მყარი ხიდია.* **არმაზ ახვლედიანი** *პრეზიდენტის მხარდამჭერი ფრაქციის „თანადგომის" წევრია. პრეზიდენტის უკვე ერთხელ გახლეჩილ პარტიაში ძველ და ახალ თაობას შორის დაპირისპირების ნიშნები გაჩნდა. პარტიის ბედი მასაც ეხება და როგორც შედარებით დემოკრატიული ფრთის წარმომადგენელი - სწორედ ამ თემაზე სასაუბროდ მოვიწვიეთ.*

მაია ქალაგანიძე

**- დავიწყოთ იმ ბედნიერი ხანიდან, ყველანი ერთად რომ იყავით.**

- საქართველო გამონაკლისი არ არის და ის, რაც აქ ხდება, არაფრით არის გამორჩეული. ტრანსფორმაციისთვის 10 წელი არაფერია. მით უფრო საქართველოსთვის, რომელიც გუშინწინ გამოვიდა ავტორიტარიზმის მარწუხებიდან. ჩვენ ერთ დღეში გვინდა შედეგის მიღწევა. ამიტომაც ის ურთიერთობები, რომელიც საზოგადოებაში და პარტიებს შორის ხდება, ამის ანარეკლია. არ მინდა ყველაფერი ამ ობიექტურ გარემოებებს დავაბრალო. ერთი საქმეა, შექმნა დემოკრატიული ინფრასტრუქტურა და სხვა საქმეა, შექმნა მყარი გარანტიები დემოკრატიის პროცესის განსავითარებლად. ამას შესაბამისი პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურა სჭირდება, ეს დონე კი ჩვენთან საკმაოდ დაბალია.

**- არავინ ამბობს, რომ რაიმე განსაკუთრებულ გზას ვადგავართ. მაგრამ კორუფციას, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის გაუთავებელ დაპირისპირებას და ა.შ. ბოლო არ უჩანს. თუკი რაიმე შეთანხმება ხდება, ეს პირდაპირ გარიგებასთან ასოცირდება...**

- ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ხელისუფლების მხარდამჭერებშიც და, სამწუხაროდ, ოპოზიციურ ძალებშიც ამბიციურობა სჭარბობს. თავისთავად ამბიციურობა ცუდი არ არის, მაგრამ დღეს იგი თრგუნავს საზოგადო ინტერესებს და სწორედ ამ ტენდენციასთან გვაქვს საქმე...

**- თქვენი პარტიის თავმჯდომარემ, სახელმწიფო მინისტრმა განაცხადა, რომ ხელისუფლების ზედა ეშელონებში კორუფცია დამარცხებულია და ახლა ქვედა რგოლებია მისახედი. ფიქრობთ, რომ ეს მართლაც ასეა? სად არის დღეს კორუფცია?**

- ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავივიწყოთ ეს ცრუ ფრაზა - „ბრძოლა კორუფციასთან". კორუფციასთან ბრძოლა გამორიცხულია. ერთადერთი გზა ქვეყანაში ანტიკორუფციული კულტურის გავლენაა. კორუფცია ჩვენს შორისაა. ნებსით თუ უნებლიეთ, სხვადასხვა ხარისხში ამ პროცესის მონაწილენი ვართ. კორუფციულია თავად სისტემა. კორუფციასთან ბრძოლა ქარის წისქვილებთან ბრძოლად მიმაჩნია. ამ სენს მხოლოდ ხელისუფლება ან რომელიმე პოლიტიკური ძალა ვერ დაამარცხებს. ეს საზოგადოების მოთხოვნა უნდა იყოს.

**- საზოგადოებას კორუმპირებული ხელისუფლება არ შეუკვეთია. ეს, როგორც თქვენ ამბობთ - „სენი" - თავს მოახვიეს...**

- გეთანხმებით, მაგრამ საზოგადოება თავადაა ჩართული კორუფციულ პროცესში. გასაღები ჩვენშია. ჩემთვის კორუფციის დამარცხების ერთადერთი და უმთავრესი გზა სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, სამართლის უზენაესობა გახლავთ. ყველამ ერთნაირად უნდა აგოს პასუხი საკუთარ დანაშაულზე... თუკი ჩემთვის წითელი შუქნიშანი ყოველთვის წითელი არ არის მხოლოდ იმიტომ, რომ დეპუტატის იმუნიტეტი მიცავს, ასე თუ ისე კორუფციაში ჩართული გამოვდივარ...

**- დღეს სულ უფრო ხმამაღლა საუბრობენ საპარლამენტო ცხოვრებაში კანცელარიის უხეშ ჩარევაზე. ოპოზიციის განცხადებით, ხელისუფლებამ „დრაკონული" საარჩევნო კანონი შექმნა, რაც მალე წარსდგება პარლამენტის წინაშე. იცით თუ არა ამ კანონის შინაარსი? თქვენ, სახელისუფლო პარტიის წარმომადგენელი, დაუჭერთ თუ არა მხარს ანტიდემოკრატიულ საარჩევნო კანონს?**

- არასდროს, არც ერთ გადაწყვეტილებას ჩემი ნების, პრინციპებისა და სიმართლის საპირწონედ მხარს არ დავუჭერ. დარწმუნებული ვარ, რომ რაც უნდა ცუდი კანონპროექტი მომზადდეს, საქართველოს პარლამენტს ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და სიჭრელის მიუხედავად, ეყოფა პოლიტიკური ნება იმისთვის, რომ მხარი არ დაუჭიროს მსგავს კანონპროექტს. პარლამენტი, ასე თუ ისე, მოახერხებს ისეთი კომპრომისული ვარიანტის მიღებას, რომელიც ჩვენ ყველას თანაბარ პირობებში ჩაგვაყენებს. ჩვენც და ოპოზიციამაც უნდა მოვახერხოთ და შევქმნათ ისეთი პირობები, რომ, დამარცხების მიუხედავად, მომავალში გამარჯვების შანსი გვქონდეს. დემოკრატიის პროცესი არ უნდა დავასამაროთ, რის საფრთხესაც დღეს რეალურად ვხედავთ.

**- ანალოგიურს საუბრობენ ოპოზიციური ძალების წარმომადგენლები. რატომ არის ეს სხვადასხვა ენაზე ნათქვამი. რატომ არ გესმით ერთმანეთის?**

- ეს რამდენიმე მიზეზის გამო ხდება. პირველი - ბევრი დარწმუნებულია იმაში, რომ, როგორც უნდა გააყალბოს არჩევნები, ამ საზოგადოებაში მას ეს გაუვა. მეორე - საკმაოდ დაბალია ჩვენი პოლიტიკური შეგნების დონე და გამარჯვების სპორტული ჟინი სჭარბობს და ჩქმალავს იმას, რასაც ნორმალური საარჩევნო პროცესის არსებობა ჰქვია.

**- „მოქალაქეთა კავშირის" ახალგაზრდა სახეებმა ვერ მოასწრეს მორგებოდნენ ყველა მთავრობას. საფიქრებელია, რომ, ამ მხრივ, თავის ასაკოვან თანაპარტიელებზე უფრო სუფთანი არიან. არ გიცდიათ, მათ გარეშე გასაუბრებოდით ასევე ახალგაზრდებს ოპოზიციური ძალებიდან?**

- დემოკრატიულ ქვეყანაში პარტიული ცხოვრება ნორმალური ფენომენია. პარტიული კუთვნილება საერთო საქმის სასარგებლოდ უნდა გადაიდოს. დარწმუნებული ვარ, რომ ახალგაზრდა თაობის პოლიტიკოსების გაერთიანება აპოლიტიკური ნიშნით იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ეს ადამიანები წესიერებითა და პროფესიონალიზმით გამოირჩევიან. აუცილებელია, აგრეთვე, ისინი შეიარაღებულნი იყვნენ დემოკრატიის პროცესის წინსვლის სურვილით. დემოკრატიული პროცესის გაჩერება საქართველოსთვის სერიოზული დარტყმა იქნება.

**- „მოქკავშირის" მთავარ საბჭოზე წინასაარჩევნო გაერთიანებაზე იყო საუბარი. „სოციალისტებისა" და „მრეწველების" გარდა, ვისთან შეიძლება გაერთიანდეს სახელისუფლო პარტია?**

- საბჭოზე საუბარი იყო იმ პრინციპებზე, რომლის გარშემოც შეიძლება მოხდეს გაერთიანება. კონკრეტულ პარტნიორებზე საუბარი არ ყოფილა, თუმცა, რა დასამალია, „სოციალისტები" ფიგურირებენ ამ ჩამონათვალში. სხვებზე, ჯერჯერობით, ვერაფერს გეტყვით. კონსულტაციები მიმდინარეობს. თავისთავად, გაერთიანებასა და გამსხვილებაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

**- ამბობთ, რომ მთავარ საბჭოზე გაერთიანების პრინციპებზე საუბრობდით. ვისთან არ გაერთიანდებით პრინციპულად?**

- პრინციპულად მიუღებელია შემდეგი: თუ სავარაუდო პარტნიორი პარტია არ აღიარებს იმ ფასეულობებს, რომელსაც „მოქალაქეთა კავშირი" აღიარებს - საუბარია ევროპულ ორიენტაციაზე, ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე, საქართველოში დემოკრატიული პროცესის შენარჩუნებასა და განმტკიცებაზე. აღარაფერს ვამბობ ტერიტორიების დაბრუნებასა და კორუფციის აღმოფხვრაზე.



არმაზ ახვლედიანი

**- „მოქალაქეთა კავშირს" უზარმაზარ გაერთიანებად ქცევის პერსპექტივა აქვს, რადგან საქართველოში ვერ იპოვით პარტიას, რომელსაც არ უნდოდეს ის, რაც თქვენი პარტიის პრინციპებად დაასახელეთ. ისიც არ უნდა დაივიწყოთ, რომ „მოქკავშირს" უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ამ პრინციპების განხორციელების შესანიშნავი საშუალება აქვს.**

- „მოქკავშირს" გაცილებით მეტი საშუალება ჰქონდა ორი, სამი წლის წინ, როდესაც პარტიაში დაწყებული არ იყო რღვევა. დღეს პარტიას კვლავ შეუძლია თავისი სიტყვის თქმა, მაგრამ, ჩემი აზრით, იმისთვის, რომ რაიმე უარყოფითის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა, პირველ რიგში, სწორედ საკუთარ თავში უნდა დაამარცხო ნეგატიური მოვლენები.

**- თქვენ ვის მიმართავთ?**

- ბუნებრივია, პარტიას. დარწმუნებული ვარ, რომ პარტია მოახერხებს ცოდვების მძიმე ტვირთისგან გათავისუფლებას. სხვათა შორის, ამ ცოდვების დიდი ნაწილი დღეს არ წარმოშობილა. პარტიას ეს ტრადიციულად მოჰყვება და ეს ყველამ კარგად იცის.

**- ბუნებრივია, ამდენი წლის ტრადიციების მქონე პარტიას ასე ადვილად გაქრობის საშუალებას არ მისცემენ. რამდენად რეალურია რეანიმირება. ადგილობრივი არჩევნების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ეს წარმოუდგენელი უნდა იყოს.**

- პარტიის გამოცოცხლების პროცესი დაწყებულია, თუმცა, საქმე გვაქვს რამდენიმე სერიოზულ საფრთხესთან. ეს არის შიდაპარტიული, ნორმალური, დემოკრატიული პროცესი. პარტიის იმ ადამიანებისგან გათავისუფლება, ვინც კარიერისტული მოსაზრებებით მიეტმასნა ამ პოლიტიკურ ორგანიზაციას...

**- როგორც ვხვდები, პრესაში მათ გვარებს არ დაასახელებთ. შინაურ, პარტიულ წრეში ხმამაღლა თუ აცხადებთ ამ ადამიანების ვინაობას?**

- პარტიულ შეკრებებზე ამის შესახებ ხმამაღლა ვსაუბრობთ.

გარდა ამისა, პარტიას ველოსიპედის გამოგონება არ სჭირდება, რადგანაც პრეზიდენტ შევარდნაძის პროგრამა, რომლითაც ის პარლამენტში გასული წლის ოქტომბერში წარსდგა, პრაქტიკულად, „მოქალაქეთა კავშირის" სამოქმედო პროგრამაა. ეს ნამდვილად არ არის ფანტაზიის სფეროდან. მაგრამ ეს რომ გაკეთდეს, აუცილებელია წესრიგი პარტიასა და ხელისუფლების ყველა რგოლში.

**- პარლამენტში პრეზიდენტის ამ გამოსვლამ საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური სპექტრის დემარში გამოიწვია. ხომ არ იტყვით, რომ ეს მათი საქმეა?**

- მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო. ვინც ყურადღებით მოისმინა ან წაიკითხა ეს გამოსვლა, დარწმუნებული ვარ, უფრო მეტს ნახავდა რეალისტურსა და პროგრესულს, ვიდრე არარეალურსა და მცდარ იდეას.

**- მთავარ საბჭოზე პარტიის ახალგაზრდული ფრთა საპარლამენტო ფრაქციის ლიდერის, ვიტალი ხაზარაძის წინაამდეგ გამოვიდა. ისინი მიიჩნევენ, რომ ხაზარაძე პარტიის სახე არ უნდა იყოს. რა განწყობაა ფრაქციაში? დადგება მისი ფრაქციის თავმჯდომარეობიდან გადაყენების საკითხი?**

- არ მგონია, რომ ერთი პოლიტიკური ლიდერის როლი და მნიშვნელობა იმაზე მეტად უნდა შევაფასოთ, ვიდრე შეიძლება. ამ შემთხვევაში, ნაკლებს ვისაუბრებდი ამ კონკრეტულ პიროვნებაზე და ვიტყოდი, რომ ნებისმიერი პარტიისთვის მნიშვნელოვანია, თუ როგორ განაწილდება ფუნქციები პარტიის შიგნით. როგორც ჩანს, ჩვენს პარტიაში ეს ფუნქციები სათანადოდ განაწილებული არ არის. დარწმუნებული ვარ, რომ თანდათან ეს ვითარებაც გამოსწორდება.

**- დრო კი თითქმის აღარ დარჩა...**

- დიახ. ვფიქრობ, რომ ეს თვესა ან თვენახევარში უნდა მოესწროს. რაც შეეხება, ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" განწყობას - ამის შესახებ არაფერი მსმენია, რადგან მე ვარ ფრაქცია „თანადგომის" წევრი. ვიცი, რომ პარტიაში გარკვეული კრიტიკული დამოკიდებულებაა.

**- ამას ხაზარაძე აპროტესტებს თუ ეთანხმება კრებას?**

- ბატონი ვიტალის მაგივრად ვერაფერს გიპასუხებთ, თუმცა, მისი მხრიდან პროტესტი არც მინახავს და არც გამიგონია. გავიმეორებ და ვიტყვი, რომ, როგორც ჩანს, პარტიაში თანდათან უფრო ზუსტად განაწილდება ფუნქციები, რაც ბევრ გაუგებრობას მოხსნის.

**- ევროსაბჭოსა და ევროპარლამენტში, სადაც თქვენ ოპოზიციური ფრთის დეპუტატებთან ერთად საქართველოს წარმოადგენთ, მრავალი პრინციპული საკითხისთვის გიბრძოლიათ შეთანხმებულად. რატომ ვერ ახერხებთ ამას საქართველოს პარლამენტში?**

- ეს ძალზე საინტერესო ფენომენია. ოდნავ შორიდან დავიწყებ და ვიტყვი, რომ ადამიანებს ბევრ კარგ თვისებასთან ერთად ერთი, არც თუ კარგი თვისება აქვთ. ამას სახელად უმადურება ჰქვია. მინდა გითხრათ, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაშიც კარგად ახსოვთ, ვინ იყო ევროპის გაერთიანების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი. და თუ საერთაშორისო სივრცეში დღეს გვიღებენ და გვცნობენ, ქვეყნის პრეზიდენტის დამსახურებაა. ეს დღემდე ასეა.

ის, რომ საგარეო საკითხებში ერთიან პოზიციას გამოვხატავთ, ჩვენი ყველასთვის ცნობილი საგარეო ორიენტირით არის განპირობებული. ჩვენ შეთანხმებულად ვმუშაობთ და ვცდილობთ, რომ პოზიცია ერთიანი იყოს. მიმაჩნია, რომ ეს სხვებისთვის კარგი მაგალითია.

**- საქართველოს პარლამენტში თუ გქონიათ მსგავსი მეთოდებით მუშაობის მცდელობა?**

- ბუნებრივია, ასეთი მცდელობა მქონდა და ხშირ შემთხვევაში, ეს წარუმატებლად დასრულებულა.

**- თქვენ ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს წარმომადგენლებს ხვდებით. მათ კარგად უწყიან საქართველოს შიდა პოლიტიკური ვითარების შესახებ. ამის გამო კარგავს თუ არა ჩვენი პრეზიდენტი პოპულარობას?**

- დღევანდელ ხელისუფლებას ბევრ მინუსთან ერთად ერთი პლუსი აქვს - ხმამაღლა აღიარებს თავის შეცდომებს. ჩვენ შეგვიძლია, გახსნილად ვისაუბროთ ჩვენს პრობლემებზე და ეს დემოკრატიის ხარისხის მაჩვენებელია. როცა ევროპელი ექსპერტები ჩვენს ნაკლზე მიგვითითებენ, ამას გაგებით ვხვდებით.

**- ვთქვათ, ხელისუფლება აღიარებს კორუფციის ხარისხსა და დონეს. ამავე დროს ხელისუფლება გვერდიდან არ იშორებს და წყალობს ცნობილ კორუმპირებულ მოხელეებს...**

- ამიტომაც, აღიარებასთან ერთად კონკრეტული ნაბიჯებიც უნდა გადავდგათ. სისტემას მხოლოდ მოწესრიგება კი არა, შემადგენელი ნაწილების გადაყენება-გამოცვლა ესაჭიროება.

**- ხელისუფლებისგან ამის ნება ჩანს?**

- ვფიქრობ, რომ ნება არის, მაგრამ წინააღმდეგობაც დიდია.

**- ვისგან?**

- დიდმოხელეთა არმია ის ფენაა, რომელსაც ბევრი სიკეთის და არანაკლები სიბოროტის გაკეთება შეუძლია. დღეს პრეზიდენტმა ბეწვის ხიდზე უნდა იაროს იმისთვის, რომ პრობლემის დაძლევა არასასურველი მოვლენების გარეშე მოახერხოს. არ მინდა, ზედმეტად გავამუქო სურათი და ვთქვა, რომ ვინმე ამბოხს მოაწყობს, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ ზოგიერთი დიდმოხელე დღესაც საზრდოობს იმ წყაროებით, რომელსაც სათავე ჩრდილოეთში აქვს.

**- ხომ არ გგონიათ, რომ ჟორბენაძისა და მამალაძის დაპირისპირება ამ ნების გამოხატულებაა? იქნებ „მოქალაქეთა კავშირს" აღარ სჭირდება სახელგატეხილი მამალაძის ფიგურა?**

- ჩემი აზრით, აქ ადგილი აქვს აზრთა სხვადასხვაობას გარკვეულ ტაქტიკურ საკითხებზე და არა დაპირისპირებას. მაინც მგონია, რომ დაპირისპირება არ შეიძლება არსებობდეს, რადგან ეს ერთი ცენტრის, პრეზიდენტ შევარდნაძის გარშემო არსებული მხარეებია. არც ხელისუფლებაში ყოფნა და არც ოპოზიციურობა არ უნდა იყოს ქოლგა ბნელი საქმეების საკეთებლად.

**- ევროსაბჭოს დელეგაციის ჩამოსვლისას გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს ევროსაბჭოში ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგებოდა. მისიის ხელმძღვანელმა ეს მოგვიანებით უარყო. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?**

- საკმაოდ კარგად ვიცნობ ამ ინფორმაციას, რადგან თავად ვარ მონიტორინგის ჯგუფის წევრი, რომელიც დახურული კომიტეტია ევროპის საბჭოს საპარლემენტო ასამბლეაში. ვიცნობ ამ სამუშაო ჯგუფის ყველა წევრს და ვიცი მათი განწყობა. როცა განწყობა კრიტიკულია, ჩვენ ეს უნდა გვახარებდეს, რადგან კრიტიკა ცივი შხაპივითაა - გვაფხიზლებს. ჩვენს ხელისუფლებას ჯანმრთელი დამოკიდებულება აქვს კრიტიკისადმი. ევროპის საბჭოს ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნაში ბევრია საუბარი იმ ნეგატიურ მოვლენებზე, რაც საქართველოშია, მაგრამ რა თქმა უნდა, ამ დასკვნაზე არ არის დამოკიდებული ევროსაბჭოში ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი.

სწორედ იმ დღეებში, როცა ეს ჯგუფი თბილისში იმყოფებოდა, ტოკიოში გახლდით და შევხვდი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს ბატონ პიტერ შიდერს. ეს ინფორმაცია მქონდა და შიდერს მისი პოზიციის შესახებ ვკითხე. მან მიპასუხა, რომ ევროპის საბჭო ყურადღებით ადევნებს თვალს საქართველოსა და კავკასიაში მიმდინარე პროცესებს, მაგრამ საუბარი ევროპის საბჭოდან გარიცხვის შესახებ არათუ ნაადრევად, აბსურდულადაც მიაჩნია. ეს საკითხი დღის წესრიგში არ დამდგარა.

**- თქვენ სახელმწიფოს უმთავრეს კომპონენტებად მიგაჩნიათ - მტკიცე სახელმწიფოებრიობა და სამართლის უზენაესობა. რა მდგომარეობაშია დღეს ეს პრინციპები?**

- შეიძლება ვისაუბროთ მტკიცე სახელმწიფოებრიობაზე, როცა დაკარგული გვაქვს ტერიტორიები, ცალკეულ რეგიონებში სუსტად ვრცელდება იურისდიქცია და როცა ხელისუფლება კორუფციამ მოიცვა? დღეს მტკიცე სახელმწიფოებრიობა ჩვენი მიზანი უნდა იყოს, რადგან მტკიცე სახელმწიფო, სახელისუფლებო ვერტიკალი ჯერჯერობით, არ არსებობს.

**- თქვენი სკოლა შეძლებისდაგვარად ებრძვის საქართველოში არსებულ პოლიტიკურ და სამოქალაქო კულტურის დაბალ დონეს. რა შედეგები გაქვთ?**

- თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა ამ რამდენიმე წლის წინ ევროპის საბჭოსა და ევროპის კავშირის მხარდაჭერით შეიქმნა. ჩვენი უმთავრესი მიზანია ქვეყნის ბედით დაინტერესებული ადამიანების ახალი თაობის ჩამოყალიბება. ვფიქრობთ, რომ ჩვენ ამას ვახერხებთ. სკოლის კონტიგენტი, ძირითადად, პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, მოსამართლეები, ბიზნესის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები არიან. ექსპერტებად, ანუ, პედაგოგებად ცნობილი ქართველი და უცხოელი მეცნიერები, პოლიტიკოსები გვყავს მოწვეული. ჩვენს სკოლაში დიალოგის, პოლიტიკურ, მოსმენის კულტურას ეუფლებიან და სწავლობენ იმას, თუ რატომ არ უნდა მოიქცე ისე, როგორც ზოგჯერ ჩვენს პარლამენტში იქცევიან. სხვათა შორის, სკოლის კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ სხვაგვარად უყურებენ ირგვლივ მიმდინარე პროცესებს.

**- თუ ასეა, ხომ არ გიფიქრიათ, ახალგაზრდების ნაცვლად პოლიტიკური თუ მოსმენის კულტურის უკვე ჩამოყალიბებულად არმქონე პოლიტიკოსები მოგეწვიათ?**

- როგორც გითხარით, მსმენელებად ახალგაზრდებს ვიწვევთ. გარდა ამისა, ჩვენი შესაძლებლობები შეზღუდულია და კიდევ, - „მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამ არ უშველა..."







# სად ჩამოუვლის შატილის ასული განდაგანას

## ქართველი ვარსკვლავები ხალხური სიმღერის ტრადიციულ შესრულებას ემხრობიან

მადი სერებრიაკოვა

საქართველოში არ დარჩა არც ერთი მიმართულებისა და სტილის მუსიკოსი, რომელსაც საკუთარი გემოვნებისა და ინტერესების შესაბამისად არ გადაუმუშავებია რომელიმე ხალხური თემა. შარშან "ერისიონის" "შატილის ასულოს" მიერ აგორებული მოდა ტოტალურად მოედო ქართულ შოუ-ბიზნესს და სოულ-რეგეი-ნიუ-ეიჯად გამიქსული ხალხური სიმღერების თავდაპირველი სახეც კი დაგვავიწყა. ეს ცუდია თუ კარგი – ამას ოდნავ მოგვიანებით შევეხოთ. გუშინ კი ქართული ფოლკლორის პოპულარულმა რეფორმატორებმა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში კონცერტი გამართეს ხალხური სიმღერის ტრადიციული შესრულების მხარდასაჭერად.

ხალხური თემების განუკითხავი ექსპლუატაციის ტენდენცია მხოლოდ ქართული მოვლენა არ არის. უბრალოდ, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, ჩვენში მან, აშკარად, უტრირებული ფორმა მიიღო. ამასაც თავისი მიზეზები აქვს. ჯერ ერთი, ორიგინალური მელოდიკით, ჰარმონიითა და რიტმებით მდიდარი ქართული ფოლკლორული მუსიკა ერთგვარი გამოსავალია ჩვენი თანამედროვე პოპ-მომღერლებისთვის, რომლებიც აშკარად საშინელ თემატურ დეფიციტსა და საშემსრულებლო კრიზისს განიცდიან. ავიღოთ თუნდაც, ის უდავო ჭეშმარიტება, რომ, როგორც კი საერთაშორისო ასპარეზზე რომელიმე საკმაოდ უსახური ქართველი პოპ-შემსრულებელი ხალხურ მოტივზე ამღერდება – მიუხედავად შესრულების ხარისხისა, წარმატება გარანტირებული აქვს. მეორე მიზეზიც საკმაოდ მარტივია, ბოლოს და ბოლოს, ქართველს ქართული ჰანგზე სიმღერა უფრო ეხერხება, ვიდრე აფრო-ამერიკულ მოტივზე. და ბოლოს, ეს ფოლკ-ალტკინება დასავლური მოდის მიმართ კომპრომისიცაა (თუმცა, წელს დასავლეთში ეთნო-ბუმი აშკარად ჩაცხრა).

ხშირად კამათობენ თემაზე, ავნებს თუ არგებს ქართულ ტრადიციულ სიმღერას ასეთი "გადაკეთება". ეთნოლოგთა წრეებში ხშირად მსმენია საყვედური, რომ რემიქსირებული ხალხური სიმღერები ქართული სიმღერის ტრადიციას ამახინჯებენ. შესაძლოა, თანამედროვე ესტრადაზე გამოტანილი არტე-ფაქტების მიმართ ეს სამართლიანი შენიშვნაც იყოს. თუმცა, ფოლკლორის მხოლოდ დაკონსერვებულ მდგომარეობაში შენახვაც არ იქნება მართებული. ხალხური შემოქმედების სპეციფიკა იმთავითვე ღია მუსიკალურ პროცესს გულისხმობს. მეორე საკითხია, თუ ვის რამდენად გემოვნებიანი და პროფესიული წვლილი შეაქვს ამ საქმეში. წინაპრები, ამ მხრივ, აშკარად სამაგალითონი იყვნენ და დღემდე შემორჩენილი ტრადიცია, ფაქტობრივად, არანაირ ჩასწორებასა და შელამაზებას აღარ საჭიროებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული ხალხური თემების გამოყენება საავტორო მუსიკაში ესტრადის ვარსკვლავების მოგონილი არ არის და ქართული პროფესიული მუსიკაც ფალიაშვილისა თუ სულხანიშვილიდან მოყოლებული, ძირითადად, სწორედ ფოლკლორული ფესვებით საზრდოობდა.

თუმცა, მოდით კვლავ ქართული ესტრადის ვარსკვლავებსა და ტრადიციული ქართული სიმღერის შენარჩუნებაში შეტანილ მათ წვლილს დავუბრუნდეთ. საკუთარი გამოცდილება მკარნახობს, რომ ფოლკლორთან მუშაობა არცთუ იოლი საქმეა და გენიალურიდან - უხამსობამდე სულ ერთი პატარა ნაბიჯია. ჯერ კიდევ „ერისიონამდე" ამ საქმით კახა ცისკარიძე დაკავდა. მის მიერ გათანამედროვებული „განდაგანა" მეტად პოპულარული გახდა და დიკოთეკებზე მოთუხთუხე მხიარულ ახალგაზრდობასაც გაეხსნა ფოლკლორის მადა. ცოტათი ადრე შეიქმნა ბაკურ ბურდულის „გამოგივა ხვალ" და დაახლოებით სინქრონულად - გიგა მიქაბერიძის „შატილის ასულოც". პირველ შემთხვევაში ბაკურმა მხოლოდ ინსტრუმენტული მოტივი და ხალხური კილო გამოიყენა. მეორე შემთხვევაში კი კახუჩელასი არ იყოს, მიქაბერიძემაც მთლიანად სიმღერის ახალი არანჟირება გააკეთა.

ფოლკლორთან ეს მარტივი მიმართება შეინარჩუნა „ერისიონმაც". მისი სახელმოხვეჭილი ალბომიდან, საბოლოოდ, მხოლოდ „შატილის ასულო" დარჩა მსმენელთა მახსოვრობაში. კარგ PR-კომპანიას რომ თავი დავანებოთ, აქ დიდი როლი სწორედ თანამედროვე არანჟირებამ ითამაშა, რითაც ისედაც ყველასთვის ნაცნობი სიმღერა უკვე ყველა თაობისა და მუსიკალური გემოვნების მსმენელისათვის მისაღები გახდა. ცოტა ხანში პროექტი „სამებაც" გამოჩნდა, სადაც რამოდენიმე გამონაკლისის გარდა (თუნდაც იგივე ყბადაღებული „განდაგანა"), უკვე ეთნო-მუსიკალურ ციტატებზე დაყრდნობით, ახალი სიმღერები და კომპოზიციები შეიქმნა. „სამებას" არაქართული ჰარმონიისა და „ევროპელი ბურჟუების" ყურებზე ორიენტირებული ჟღერადობისთვის უკიჟინებდნენ. ინსტრუმენტულ მუსიკაშიც არა ერთი კომპოზიცია შეიქმნა ფოლკლორულ თემაზე, თუმცა კვლავ სიმღერას დავუბრუნდეთ.



ანსამბლი "ლაშარი" და თიკა ჯამბურია

სადღეისოდ, პოპ-მუსიკაში უამრავი „მარგალიტი" დაგვიგროვდა: ქეთა თოფურიას, თამთა გუგუაძის, დათო ხუჯაძის, ქეთი მერკვილაძის და სხვათა მიერ შექმნილი ქავერ-ვერსიები საუკეთესო შემთხვევაში ხალხური სიმღერის გათანამედროვებულ არანჟირებას წარმოადგენენ, სადაც არომატისათვის, უცხო სუნელივით რომელიმე სახასიათო ინსტრუმენტის (დუდუკი განსაკუთრებით აქტუალურია) ორიოდ ფრაზას დაამატებენ ხოლმე. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს გარკვეული დასკვნების გაკეთების საბაბს გვაძლევს. პირველ რიგში: სიტყვის თავისუფლებისა და დემოკრატიის მღაღადებელ ქვეყანაში, ალბათ, სიმღერის თავისუფლებაც მიღებული უნდა იყოს და თუ რაიმე არ მოგვეწონება, ამ მანკიერებას შეგვიძლია რადიომიმღების ან ტელევიზორის ხმის ჩაწევით ვებრძოლოთ. ქართულ ხალხურ სიმღერას კი ახალმოდური პოპულარიზაციის გარდა, ალბათ, ტრადიციული ფორმითაც დასჭირდება შემონახვა.

სწორედ ეს პრობლემა დაისვა ქართველი პოპ-ვარსკვლავების აქციაზე „ხალხური სიმღერის ტრადიციული შესრულების მხარდასაჭერად". კონცერტის ინიციატორი „ეროვნული კულტურის შენარჩუნების და პროპაგანდის ფონდი" გახლდათ. დათო საყვარელიძის რეჟისურითა და გოგი ძოძუაშვილის მუსიკალური გაფორმებით შექმნილი კონცერტის კონცეპცია მარტივი და ლოგიკური იყო. ქართველი პოპ-ვარსკვლავები მსმენელს ახალ ამპლუაში წარუდგნენ და იმის დამტკიცებას შეეცადნენ, რომ ტრადიციული შესრულებითაც შეუძლიათ ხალხური მუსიკის სიმღერა. კონცერტზე ეს უკანასკნელნი ფოლკლორული ანსამბლი "ლაშარის", ცნობილი ლოტბარის ოთარ ბერძენიშვილისა და კიდევ რამოდენიმე ხალხური ინსტრუმენტალისტის თანხლებით წარსდგნენ. მართალია, ამ ფონზე მათი ხალხური საშემსრულოებლო ოსტატობა ხშირად საფუძვლიან ეჭვს იწვევდა, მაგრამ როგორც აქცია – ეს, ალბათ, მაინც, მისასალმებელი საქმე იყო. თუნდაც მათი თაყვანისმცემლებისთვის (ეს კონტინგენტი ხომ ხშირად არცთუ განვითარებული მუსიკალური ყურის მქონე თინეიჯერებისგან შედგება), რომლებმაც შეიძლება საკუთარი კერპებისგან მაგალითი აიღონ და ხალხურ სიმღერას თუ ვერ შებედავენ, მათსავით ეროვნულ კოსტიუმებში მაინც გამოცხადდნენ ივნისში გამოსაშვებ საღამოებზე.

ვერ გეტყვით, რამდენად მომგებიანი იყო ეს აქცია თავად შემსრულებლებისთვის. რა თქმა უნდა, აქ მატერიალურ მოგებას არ ვგულისხმობ. ამ თვალსაზრისით, მგონი საქმე არც ისე ცუდად უნდა იყოს: აქცია ხომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საბაჟოს მხარდაჭერით განხორციელდა. პროფესიული თვალსაზრისით კი ქართველი ვარსკვლავებისთვის ეს საკმაოდ რთული გამოცდა იყო. კონცერტისთვის სახელდახელოდ მომზადებულ ბუკლეტში ჩვენი მომღერლები საკუთარ სიამაყესა და აღფრთოვანებას არ მალავდნენ ქართული ხალხური სიმღერის მიმართ და მის შესრულებას თითქმის საკუთარ წმინდათაწმინდა მოვალეობად რაცხავდნენ. პრაქტიკულად, კი ამ წმინდათაწმინდა მოვალეობას მეტ-ნაკლები წარმატებით ართმევდნენ თავს.

თავი არ შეურცხვენია მდიდარი ხალხური სასიმღერო ტრადიციის მქონე ოჯახის შვილს მარიმ როინიშვილს, რომელმაც სტილის სრული დაცვით ერთ-ერთი ურთულესი ქართული სიმღერა, "ოროველა" შეასრულა. თუმცა, ჩვენმა "ტაქტიანმა" პუბლიკამ მობილურების წკრიალით თითქმის ჩააგდო მისი ნომერი. შედარებით მარტივი რეპერტუარით წარსდგნენ მისი თანატოლები თიკა ჯამბურია ("დიდოუ ნანა") და მარიკა თხელიძე ("უწინარეს მას ვადიდებთ"). მამა-შვილი ხუციშვილების ("დიდი ხნიდან გაგიცან"), "ქუჩის ბიჭების" ("მეგრული "ფერხული") მერაბ სეფაშვილის ("შენ ბიჭო ანაგურელო"), ლიზა ბაგრატიონისა, ("ნანა") და თემურ თათარაშვილის ("ზამთარი") ნომრებიც არ იყო ურიგო. კონცერტში ნეკა სებისკვერაძე, ირმა სოხაძე, ქეთა თოფურია და კახა ცისკარიძეც იღებდნენ მონაწილეობას. განსაკუთრებით მხიარული ამ უკანასკნელის გამოსვლა იყო. "ლაშარის" თანხლებით თავისი ცნობილი "განდაგანა" მან სიმღერით ვერა, მაგრამ ცეკვით მაინც კარგად შეასრულა.

საბოლოო ჯამში, მუსიკალურად ჩავარდნილი ნომრები მდგომარეობიდან ფოლკლორულმა ანსამბლებმა გამოიყვანა. შოუ-ბიზნესის ვარსკვლავებს ცეკვა-სიმღერის მაგალითები სრულიად უცნობმა სოლისტებმა მისცეს ქობულეთის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ქორეოგრაფიულ ანსამბლ "საუნჯედან", ბავშვთა ფოლკლორულ ანსამბლ "პატარა გეორგიკასა" და ანსამბლ "როკვადან".

# უშუქო თბილისი და როკ-ჯგუფ „შუქი მოვიდა„-ს ახალი ალბომი

თეონა ჯაფარიძე

თუ არ ჩავთვლით ქართული ალტერნატიული მუსიკით დაინტერესებულთა ვიწრო წრეს, ალბათ, დაშაქრულ ქართულ „პოპსას" ყურშეჩვეულ მსმენელს სხვადასხვა დამოუკიდებელ რადიოსადგურებზე, იშვიათად, მაგრამ მაინც, ყური მოუკრავთ დამტვრეული ქართულითა და პანკისა და როკის ნაზავით გაჯერებული სიტყვებისათვის: „შუქი მოვიდა, ოჰ, რა კაია..." დარწმუნებული ვარ ამ რიტმების მოსმენისთანავე მსმენელთა უმეტესობა სასწრაფოდ სხვა რადიოსადგურის დაჭერას შეეცდება, რათა კვლავ სამამულო წარმოების ერთგვაროვან დაშაქრულ ნაწარმს დაეწაფოს. ქართველ მასობრივ მსმენელს ჯერჯერობით არ უნდა რომ მოუსმინოს როკს, რომელიც სიყვარულზე კი არა, სოციალურ ან თუნდაც, ეკოლოგიურ პრბლემებზე ელაპარაკება. ამიტომ, ადგილობრივი შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებიც ამ მუსიკას ნაკლებად ეტანებიან. ჯგუფი "შუქი მოვიდა" პროდიუსერის გარეშეა. მისი მეორე ალბომი სახელწოდებით "შუქი KIDE მოვიდა სახლში" სტუდიაში კი არა, სწორედ სახლში, ჯგუფის ფრანგი სოლისტის - ფრედ პაიანის ბინაში ჩაიწერა. მაგრამ ჩანაწერის ხარისხი არცერთ ქართულ ხმისჩამწერ სტუდიაში შესრულებულ ალბომს არ ჩამოუვარდება. იმიტომ, რომ მასზე პროფესიონალი ხმის რეჟისორი რაფაელ კროჰასი მუშაობდა. ეს უკანასკნელი კი რევაზ გაბრიაძის ცნობილი სპექტაკლებისათვის არანჟირებებზეა ნამუშევარი.

ფრედ პაიანი შვიდი წლის წინათ საქართველოში ევროსაბჭოს ჰუმანიტარული დახმარების ერთ-ერთ მისიას ჩამოჰყვა. ასეთი მისიებითა და უცხოელებით იმ პერიოდში აივსო თბილისი. "მაშინ ხალხი ისეთი აღფრთოვანებით გვხვდებოდა, რომ უხერხულ მდგომარეობაშიც კი ვვარდებოდი. დღეს ქართველების დამოკიდებულება უცხოელების მიმართ შეიცვალა და ცოტა არ იყოს, ეჭვის თვალითაც კი გვიყურებენ", - ამბობს ფრედი. ევროსაბჭოს ეს პროგრამა მაშინ სამაჩაბლოს რეგიონის დახმარებას გულისხმობდა. ფრედს ფეხით აქვს შემოვლილი ამ კუთხის თითქმის ყოველი, ოსური თუ ქართული სოფელი. "იყო ომი, მიწისძვრა, სოფლებში ცხოვრობდა ცოტა ხალხი და თარეშობდა მაფია. ერთი ძროხისათვის ადამიანები ერთმანეთს არ ინდობდნენ", - იხსენებს იგი.

ფრედ პაიანი პროფესიით ისტორიკოსია. თინეიჯერობის ასაკიდან კი მას როკი იტაცებდა. ჯერ კიდევ სტუდენტობამდე ლილში, ბელგიის საზღვართან, სადაც ის ცხოვრობდა და შემდეგ პარიზში სტუდენტობის წლებში, ყოველთვის ჰყავდა როკ-ჯგუფი. მაშინ მისი მუსიკა და ტექსტები ფრანგულ პრობლემებზე ლაპარაკობდა.

ისტორიკოსის პროფესია მოგზაურობასა და ანალიზის უნარს გულისხმობს. მუსიკაში როკის ენა კი - სათქმელის პირდაპირ თქმასა და პროტესტს. ამიტომაა, რომ ფრედ პაიანის როკმუსიკის ქართული ვერსია არაფერია, თუ არა ქართველების ყოფის ამსახველი ისეთი ნიუანსები, რასაც ჩვენ თავად ვერ ვამჩნევთ. უცხოელთათვის კი – თვალშისაცემია. იმასაც თუ დავამატებთ, რომ ფრედმა საცხოვრებლად თბილისის ძველი უბანი "პლეხანოვი" და ძველებური თბილისური სახლი აირჩია, ადვილი მისახვედრია, თუ რატომ არის მისი ტექსტები ქართული ჟარგონით გაჯერებული და რატომ არ არის მისი როკი ქართული "პოპსასაგან" განსხვავებით ქართულ სინამდვილეს მოწყვეტილი. ამაზე მის ახალ ალბომში შემავალი ძველი თუ ახალი კომპოზიციების სახელწოდებებიც მიგვანიშნებს: "კუს ტბაზე არ არის კუ", "გამორთე მობილური", "ჩურჩხელა", "მინიბუსის ზაზა", "ბორჯომდანსი" და ა.შ.



ფრედერიკ პაიანი

ბორჯომზე რომ ჩამოვარდა სიტყვა, ფრედ პაიანმა აღნიშნა: "ბორჯომი იყო და იქნება ქართველების ერთ-ერთი ნაციონალური სიმბოლო", - და მერე ჩაილაპარაკა, - "ცხადია, თუ ნავთი არ შეერია".

ახალი ალბომის ყდაზე კი ფრედის დახატული ბორჯომის ხეობაა გამოსახული დიდი ოქროს თევზით. მუსიკოსის მიერ შესრულებული ეს გრაფიკული კონცეფცია ბორჯომის ხეობის ეკოლოგიურ პრობლემებზე პირდაპირ მიგვანიშნებს. წესით და რიგით ალბომი პროდიუსერების ყურადღებას უნდა იპყრობდეს, მაგრამ საქართველოში შოუ-ბიზნესის "მამებს" ჯერჯერობით ამ მიმართულებით ყნოსვა არ განუვითარებიათ.

ფრედ პაიანი აქტიურად თანამშრომლობს ისეთი კატეგორიის ქართულ ჯგუფებთან, როგორებიცაა: "ზუმბა", ტრიო "ინსაითი", "აუტსაიდერი" და რობი კუხიანიძე, "33ა" და ნიაზ დიასამიძე. სხვათა შორის, ამ უკანასკნელთან ერთად ერთ თვეში ერთობლივი კონცერტის გამართვასაც აპირებს.

"შუქი არაა, გაზი არაა, მაგრამ მაინც მომწონს ეს ქვეყანა და რა ვქნა", - ამბობს ფრანგი მუსიკოსი. იცის, რომ აქ მისი ალბომი კომერციული "ვერასდროს გახდება" და ფიქრობს, რომ მას, უბრალოდ, საჩუქრად "ძმაკაცებში დაარიგებს" (სხვათა შორის, საუბარში ხშირად ხმარობს სიტყვა "ძმაკაცებს"). და კიდევ, ჯერ ბოლომდე არ გადაუწყვეტია, ალბომს "შუქი KIDE მოვიდა სახლში" დაარქვას თუ "გულზე მოგეშვება". თქვენ რას ურჩევდით?

## კალენდარი

### 26 თებერვალი



ვიქტორ მარი ჰიუგო, ფრანგი მწერალი, ფრანგული რომანტიზმის თეორეტიკოსი, 1802 წელს ბეზანსონში დაიბადა. მისმა პირველმა ლექსებმა და ოდებმა, რომლებიც კლასიციზმის ტრადიციების თანახმად იყო შექმნილი, უმალვე მიიპყრო ლიტერატურული საზოგადოების ყურადღება. ახალგაზრდა პოეტმა საფრანგეთის აკადემიის ქება დაიმსახურა, ხოლო "ოდები და სხვადასხვა ლექსები" (1822) ლუდოვიკო XVIII-ის ლიტერატურული პრემიით აღინიშნა.

20-იანი წლების მეორე ნახევარში პოეტი რომანტიზმის პოზიციებზე გადავიდა. ამის დასტური გახდა კრებული "აღმოსავლური მოტივები". ამ წლებში ჰიუგომ თავის ორ ძმასთან, ეჟენთან და აბელთან ერთად, ჟურნალი "ლიტერატურული კონსერვატორი" დააარსა.

"პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი" 1831 წელს გამოქვეყნდა, მაშინ, როცა ჰიუგო ახალგაზრდა ფრანგული რომანტიზმის აღიარებული ბელადი იყო. მისი "კრომველის" წინასიტყვაობა ფრანგული რომანტიზმის მანიფესტად იქცა.

ცხოვრების 20 წელი ვიქტორ ჰიუგომ თავის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებს, სოციალურ რომანს, "განკიცხულნის" მიუძღვნა. 60-იან წლებში მან "კაცი, რომელიც იცინის" შექმნა – წიგნი, რომელშიც სიღატაკის და სიმდიდრის, ძალაუფლების და ჩაგვრის კონფლიქტია ნაჩვენები.

ჰიუგოს უკანასკნელ კრებულს, "ქნარის ყველა სიმი", დასრულება არ ეწერა. 1885 წელს ის პარიზში გარდაიცვალა. მის დაკრძალვას დაახლოებით 2 მილიონი ადამიანი დაესწრო.

2002 წელი იუნესკოს მიერ "ვიქტორ ჰიუგოს წლად" იყო გამოცხადებული.

დიდი ფრანგი მწერალი, **ვიქტორ ჰიუგო**, დაიბადა 1802 წლის 26 თებერვალს.

# სუპერ-თეატრი კონტროლის პალატაში

ნინო ჟანიშვილი

დღეს 75 წელი გავიდა სოხუმის თეატრის დაარსებიდან. თეატრი 1928 წელს სანდრო შანშიაშვილის პიესით "ჰერეთის გმირებით" გაიხსნა. 1982 წლიდან თეატრს კონსტანტინე გამსახურდიას სახელი მიენიჭა, ამ დროისათვის თეატრის აფხაზური და ქართული დასები გაყოფილი იყვნენ. თეატრის ძველი შენობა აფხაზურ დასს დარჩა. ქართული დასი კი აფხაზური კაპელისთვის მშენებარე შენობაში გადავიდა.

თეატრის თბილისში გადმოსვლისთანავე მის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად, თეატრის ყოფილი მსახიობი დიმა ჯაიანი დაინიშნა. მას შემდეგ, ბოლო ცხრა წლის განმავლობაში სოხუმის თეატრი რუსთაველის თეატრში იყო შეხიზნული და ამ ხნის განმავლობაში მცირე სცენაზე 10 სპექტაკლი დაიდგა. მათ შორის იყო ლევან წულაძის "ემიგრანტები" ნაბოკოვის მიხედვით, ალექსანდრე სუმბათაშვილის "ღალატი" გოჩა კაპანაძის რეჟისორობით, ე. ბონდოს "ვიწრო ბილიკი ჩრდილოეთისაკენ" (რეჟისორი დათო საყვარელიძე). ამჟამად დასი კამიუს "ალყაზე" მუშაობს, რომელსაც დათო დოიაშვილი დგამს.

რუსთაველის თეატრში დაწყებული რემონტის გამო სოხუმის თეატრი შენობის გარეშე რჩებოდა. თავშესაფრის ძებნისას კონტროლის პალატის თავმჯდომარემ სულხან მოლაშვილმა თეატრის დირექციას ორი ოთახი გამოუყო საკუთარ შენობაში. ხოლო მომავალი თეატრის ასაშენებლად, მოლაშვილმა კონტროლის პალატის სააქტო დარბაზი დაუთმო. ეს ფართი ათი წლის სარგებლობით პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად უსასყიდლოდ გადასცა თეატრს ქონების მართვის სამინისტრომ. მომავალი თეატრი 4 სართულიანი იქნება, 400-კაციანი პარტერით, უახლესი განათების აპარატურით, რომელსაც სპეციალურად გერმანიიდან ჩამოიტანენ. მშენებლობის საწყისი ეტაპი ბადრი პატარკაციშვილმა 100 ათასი ლარით დააფინანსა. პერიოდულად თეატრს გია ჯოხთაბერიძე, გია ჭანტურია, ელგუჯა ბუბუტეიშვილი ეხმარებოდნენ ფინანსურად.

როგორც თეატრის დირექცია აცხადებს, მშენებლობის დასრულებას 650 ათასი დოლარი სჭირდება, რომელსაც ბადრი პატარკაციშვილისგან ელიან. თეატრს სპეციალური სასტუმრო ოთახები ექნება, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. დიმა ჯაიანი აცხადებს, რომ არავითარი სასტუმრო თეატრის ტერიტორიაზე არ განთავსდება. "უბრალოდ, საგრიმიოროს გვერდზე მსახიობებისთვის დასასვენებელი ოთახები იქნება, სადაც მოწვეული სტუმრებიც გაჩერდებიან. თუ ეს თეატრი, როგორც ჩაფიქრებული გვაქვს ისე ავაშენეთ, ეს იქნება ტექნიკის მიხედვით საქართველოში პირველი თეატრი. მსოფლიოში სახელგანთქმულ თეატრებს უნდათ აქ ჩამოსვლა, მაგრამ თბილისის ვერცერთი თეატრი თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. თანაც ამ უბანს, ისანი –სამგორის რაიონს თეატრი არ გააჩნია".

საინტერესოა, რომ კონტროლის პალატის ტერიოტორიაზე თეატრის მშენებლობა უკანონოდ, ნებართვის გარეშე მიმდინარეობდა. მხოლოდ ეხლა როცა თეატრის ძირითადი კედლები ამოყვანილია, დირექციამ პროექტი დასამტკიცებლად ქალაქის არქიტექტურის სამსახურში შეიტანა.

ხომ არ ჯობდა ეს უზარმაზარი თანხა დევნილ მოსახლეობას მოხმარებოდა, დიმა ჯაიანი ამბობს, რომ თეატრი სწორედ მათთვის შენდება და ეს თავშეყრის ადგილი იქნება. თუმცა საეჭვოა, რომ გაჭირვებულ ლტოვილს თეატრში წასვლის საშუალება ან ხალისი ჰქონდეს.

ბატონი დიმა იმ აზრსაც კატეგორიულად უარყოფს, მომავალი გრანდიოზული თეატრის აშენება არ გულისხმობს, რომ იგი სამუდამოდ თბილისში დარჩება.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

## ჟერარ ულიე არსადაც არ მიდის

ინგლისური „ლივერპულის" ფრანგი მწვრთნელი, ჟერარ ულიე, იმედოვნებს, რომ მის გუნდს ჯერაც არ დაუკარგავს ჩემპიონთა ლიგის ზონაში გასვლის შანსი. „ლივერპულმა" გასულ უქმეებზე „ბირმინგემთან" წააგო (1:2), მაგრამ ულიე მაინც ოპტიმისტურად არის განწყობილი. „ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა. მოახლოვდა საფეხბურთო სეზონის ის ნაწილი, როცა ჩვენს გუნდს შეუძლია, სრულად წარმოაჩინოს თავისი საუკეთესო თვისებები. ჩვენ გვაქვს ყველანაირი შესაძლებლობა, სატურნირო ცხრილის ზედა საფეხურებზე გადავინაცვლოთ. ჩვენ ვიცით, როგორ გავაკეთოთ ეს", - განაცხადა ულიემ.

ამავე დროს, „დეილი სტარის" ინფორმაციით, ფრანგული „მონაკო" ძალიან ცდილობს, ჟერარ ულიე თავისი გუნდის მწვრთნელის პოსტზე იხილოს. „მონაკოს" დირექტორმა, ჟან დე ბონტენმა, თავის მხრივ, დაადასტურა, რომ კლუბი უაღრესად დაინტერესებულია ულიეს გადაბირებით. „ჟერარ ულიე გამოცდილი მწვრთნელია. ახლა ჩვენ მოლაპარაკებათა ადრეულ ეტაპზე ვართ", - ამბობს დე ბონტენი. თუმცა, ულიე გადაჭრით უარყოფს ფრანგებთან ყოველგვარ მოლაპარაკებას.

## ტოტი მალე დაბრუნდება

ახლახან გაირკვა, რომ ადვილი შესაძლებელია, იტალიური „რომას" ლიდერმა, ფრანჩესკო ტოტიმ, დღეს „ვალენსიას" წინააღმდეგ ითამაშოს. ფეხბურთელს ზურგი აღარ აწუხებს და გუნდს ვალენსიაში გაჰყვა. რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ გათამაშებაში „რომას" სასწაული თუ გადაარჩენს, მაგრამ ტოტის თამაში დამატებითი მუხტი იქნება რომაელთათვის, - ფიქრობენ იტალიელები.

თუმცა, არავინ იცის, შეძლებს თუ არა ტოტი გუნდისთვის დამატებითი მუხტის შექმნას. მან გამოტოვა კლუბის ბოლო ორი თამაში, რომლებიც „რომამ" („ვალენსიასთან" და „უდინეზესთან") წააგო. ამას გარდა, ფორვარდებს: ვინჩენცო მონტელასა და მარკო დელვეკიოს ტრავმები აქვთ. ასე რომ, ესპანელთა წინააღმდეგ თავდასხმაში ტოტის ანტონიო კასანო შეუწყვილდება.

## ვიერის კოლეგიალობა

კვირას მილანის "ინტერმა" 3:1 მოუგო "პიაჩენცას" და რაკი "მიალნ"-"ტორინოს" ტიფოზების ხულიგნობის გამო შეწყვეტილი მატჩის ბედი ჯერ კიდევ გაურკვევლია, "იუვენტუსთან" ერთად სერია A-ს ლიდერი გახდა. მილანელთა საუკეთესო ბომბარდირმა, ქროსტიან ვიერიმ, "სან-სირო" არც ამჯერად დატოვა უგოლოდ და მატჩის შემდეგ ძალიან კმაყოფილი იყო მოპოვებული სამი ქულით, მაგრამ სრული ბედნიერებისთვის "ბობოს", თურმე, ტიფოზების მხარდაჭერა აკლია...

"ძალიან მიხარია, რომ "პიაჩენცას" მოვუგეთ და "იუვეს" დავეწიეთ, მაგრამ უკმაყოფილო ვარ ტიფოზების საქციელით. ვერ გამიგია, რისთვის უსტვენდნენ დალმას და მორფეოს. არა მგონია, "ინტერი" სტვენას და გაკიცხვას იმსახურებდეს. სერია A-ში ისევ დავიბრუნეთ პირველობა, არც ჩემპიონთა ლიგაში გამოვდივართ ურიგოდ. მეტი რაღა უნდა გააკეთონ ფეხბურთელებმა, რომ ტიფოზთა კეთილგანწყობა დაიმსახურონ?" - გაბრაზებით იკითხა ვიერიმ.

## "ინტერი" რაიან გიგზს არ ეშვება

ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ჩნდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ მილანის "ინტერი" "მანჩესტერ იუნაიტედის" უელსელი ნახევარმცველით დაინტერესდა. როგორც ჩანს, მილანელებს, მართლაც, ძალიან უნდათ, 29 წლის უელსელი შეიძინონ. ახლა ამ ინფორმაციას იტალიური კლუბის პრეზიდენტი მასიმო მორატიც ადასტურებს. "ყოველ წელიწადს საუბრობენ იმის შესახებ, რომ ჩვენ გიგზის ყიდვას ვაპირებთ. ეს მართალია, მაგრამ "მანჩესტერსაც" ძალიან უნდა, რომ ის შეინარჩუნოს. სწორედ ამიტომ ვერ მოვახერხეთ გიგზის შეძენა. მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე "მანჩესტერს" ახალ პირობებს შევთავაზებთ და, ალბათ, უარს ველარ გვეტყვიან", - განაცხადა მორატიმ ინგლისური გაზეთის, Sunday Mirror-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

"მანჩესტერ იუნაიტედს" რაიან გიგზი 30 მილიონ ევროდ ჰყავს შეფასებული. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მილანის "ინტერის" დანაკარგი შარშანდელ სეზონში 95 მილიონი ევრო იყო, 30-მილიონიანი გიგზის შეძენა საკმაოდ რისკიანი ნაბიჯია.

## ინგლისში თამაშზე კლუივერტიც ოცნებობს

როგორც ჩანს, ინგლისურ "პრემიერ-ლიგაში" თამაში ყოველი ფეხბურთელის სანუკვარი იცნებაა. ნისლიან ალბიონზე გადაბარგების სურვილი სულ უფრო მეტ ფეხბურთელს იპყრობს. გამონაკლისი არც "ბარსელონას" ჰოლანდიელი თავდამსხმელი პატრიკ კლუივერტია. გასულ შაბათს კლუივერტმა ინგლისურ რადიოსადგურ BBC-ს მისცა ინტერვიუ, რომელშიც "პრემიერ-ლიგაში" თამაშის სურვილი გამოთქვა. "ბარსელონაში კარგად ვგრძნობ თავს, თუმცა, შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს სხვა კლუბში გადავიდე. თუ ასე მოხდება, ინგლისში ვისურვებდი თამაშს. პირველ ყოვლისა, ინგლისელი გულშემატკივრების გამო. არაერთხელ მითამაშია ინგლისში ადგილობრივი გუნდების წინააღმდეგ. ინგლისელი გულშემატკივრები, მართლაც, განუმეორებლები არიან. ესპანეთში სხვაგვარად არის. აქ არაფერს გპატიობენ. ესპანეთში ფეხბურთელები აუტანელი წნეხის ქვეშ ვართ, ინგლისში კი სულ სხვა სიტუაციაა", - ამბობს კლუივერტი. ჰოლანდიელმა "ბარსელონაში" მიმდინარე მოვლენებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მისთვის ძალიან ძნელი იყო გუნდიდან ვან გაალის წასვლა, რადგან მასთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს.

## მოკლედ

**UEFA-ს** პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი უკვე ღიად გამოდის FIFA-ს ინიციატივის წინააღმდეგ, ააღორძინოს საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატი. „ჩვენ ამის წინააღმდეგ ვიბრძოლებთ. იმედი გვაქვს, რომ FIFA-სთან მოლაპარაკებას შევძლებთ, რადგან კლუბები და ფეხბურთელები მატჩებს შორის დიდ შუალედებს საჭიროებენ. ამასთან, აუცილებელია, ფეხბურთელმა ნაკრებისთვისაც გამონახოს დრო", - განაცხადა იუჰანსონმა.

■ ■ ■

**საფრანგეთის** „ლანსისა" და მალის ნაკრების მცველი, ადამ კულიბალი, სეზონის ბოლომდე დაემშვიდობა ფეხბურთს. კულიბალიმ სერიოზული ტრავმა მიიღო „მონპელიესთან" მატჩის დროს, როცა სებასტიან მიხაილოვსკისგან გათავისუფლებას ცდილობდა. „მან დაზარალებულს მარცხენა ხელი ამოუტრიალა, რამდენიმე ძვალი მოსტეხა და კუნთი დაუჭიმა", - განაცხადა გუნდის ექიმმა. მისი ვარაუდით, ფეხბურთელს, სრული აღდგენისთვის, 8 თვე მაინც დასჭირდება.

■ ■ ■

**მიხაელ** ბალაკი „ბაიერნის" ხელმძღვანელობამ გუნდის მთავარი მწვრთნელის ოტმარ ჰიტცფელდის კრიტიკის გამო დააჯარიმა. ბალაკმა ჟურნალ „კიკერს" განუცხადა: ცუდია, რომ ის დაცვაში გაამწესეს. ეს კი ჰიტცფელდმა გააკეთა. საპასუხოდ ჰიტცფელდმა აღნიშნა, რომ ვერ მოითმენს ფეხბურთელთა მოსაზრებებს იმის თაობაზე, თუ სად სჯობს მათი თამაში. „ბაიერნის" მწვრთნელს არ დაუკონკრეტებია, რა რაოდენობის თანხას გადაიხდის ბალაკი კლუბის ბიუჯეტში.

■ ■ ■

**იტალიის** „ინტერის" ტექნიკურმა დირექტორმა, გაბრიელე ორიალიმ, თურქეთის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში მილანურ კლუბთან კონტრაქტს გააფორმებს სტამბულის „გალათასარაის" ფეხბურთელი ჰასან შაში. „ინტერისთვის" ყველაზე რთული იყო ფეხბურთელთან პირადი კონტრაქტის დეტალები, მაგრამ ამ საკითხზე მხარეები უკვე შეთანხმდნენ. შეგახსენებთ, რომ ადრე შაშზე პრეტენზიას აცხადებდნენ ინგლისური კლუბები „ლივერპული" და „ტოტენჰემი".

■ ■ ■

**კატალონიური** „ბარსელონას" ჰოლანდიელი ლეგიონერების, ფილიპ კოკუსა და ფრანკ დე ბურის აგენტმა ადგილობრივი რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ მის კლიენტებს „ბარსელონას" შტაბის დატოვება სურთ. „კლუბის გარშემო სიტუაცია ყოველდღე იცვლება. აბსოლუტურად გაუგებარია, რა სურს კლუბის ხელმძღვანელობას. ამჟამად კოკუ და დე ბური ძალიან ახლოს არიან იმასთან, რომ დატოვონ კატალონიური კლუბი. მოარული ხმების თანახმად, ამ დუეტით ჰოლანდიური და ინგლისური კლუბები დაინტერესდნენ.

■ ■ ■

**უახლოეს** პერიოდში ინგლისურ „მიდლსბროს" სოლიდური შევსება შეემატება. სეზონისწინა ტურნირზე მძიმე ტრავმის შემდეგ მწყობრში ჩადგება კლუბის ბრაზილიელი ლეგიონერი ჟუნინიო. ამ სეზონში მას არც ერთი მატჩი არ ჩაუტარებია. დღეს იგი „მიდლსბროს" დუბლშემადგენლობაში ითამაშებს. ამავე შეხვედრაში დაბრუნდება უგო ეხიოგუ, რომელიც ასევე ტრავმის შემდეგ მომჯობინდა.

# სენსაცია გადაიდო - "რეალი" გადარჩა



პორტილიოს ამ გოლმა "რეალი" გადაარჩინა

„ბორუსია" - „რეალის" მატჩისწინა პრესკონფერენციაზე ლუიშ ფიგუმ განაცხადა: - „სამეფო კლუბმა" რომც წააგოს, ტრაგედია არ იქნება". რას გულისხმობდა მადრიდელთა პორტუგალიელი ნახევარმცველი, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ზინედინ ზიდანის შესანიშნავი გადაცემის შემდეგ პორტილიოს ანგარიში რომ არ გაეთანაბრებინა, დელ ბოსკეს გუნდი მეოთხედფინალის საგზურს, ფაქტობრივად, დაკარგავდა, ვინაიდან მათიას ზამერის მეტად ამბიციურ გუნდზე იქნებოდა დამოკიდებული.

ამ შემთხვევაში კი „სამეფო კლუბი" პლეი-ოფში გასვლის შანსს ინარჩუნებს და დარჩენილი ორი შეხვედრის მოგება მოუწევს, რომელთაგან ერთ-ერთი, „სანტიაგო ბერნაბეუზე" „მილანის" წინააღმდეგაა. იმ „მილანის", ვინც ჩემპიონთა ლიგის პირველ ჯგუფურ ეტაპზე მიუნხენის „ბაიერნი" გაწირა, მოუგო რა ორივე მატჩი - შინ და სტუმრად.

სწორედ მადრიდში გაირკვევა მეოთხედფინალის მეორე საგზურის ბედი. გულუბრყვილობა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ იტალიელები მადრიდს შესუსტებული შემადგენლობით ეწვევიან და „რეალს" სამ ქულას ხონჩით მიართმევენ. არაერთხელ თქმულა და მიუნხენის „ბაიერნის" მაგალითიც ადასტურებს, რომ კარლო ანჩელოტის გუნდი ყოველმხრივ შეეცდება მადრიდული სუპერკლუბის ჯგუფში ჩატოვებას და ამით ფინალისკენ მიმავალ გზაზე სერიოზული მეტოქის ჩამოცილებას. ამიტომ „ბერნაბეუზე" სამი ქულის ასაღებად „რეალს" გვარიანი ოფლისღვრა მოუწევს. ამის შესახებ დორტმუნდში მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ვისენტე დელ ბოსკემაც ისაუბრა. „მილანის" წინააღმდეგ შეხვედრაში ჩემს გუნდს ორმაგი მოტივაცია ექნება. ერთი რევანშისტული, მეორე კი წმინდა სპორტული თვალსაზრისით. ჩვენ ხომ მხოლოდ 3 ქულა დაგვაკმაყოფილებს", - განაცხადა დელ ბოსკემ.

„მილანს" რაც შეეხება, მოსკოვში „ლოკომოტივის" ძლევით კლუბმა, ფაქტობრივად, გაინაღდა მეოთხედფინალის საგზური. აღსანიშნავია, რომ „როსონიერიმ" ოთხივე შეხვედრა მინიმალური ანგარიშით - 1:0 მოიგო და საკუთარ კარში ჯერჯერობით გოლი არ მიუღია.

მილანელთა მსგავსად 12 ქულა მოაგროვა „მანჩესტერ იუნაიტედმაც" და ჯგუფური ტურნირის დასრულებამდე ორი ტურით ადრე გაინაღდა პირველი ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ „იუვენტუსს" სურდოს შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელი დაუბრუნდა, „მანკუნიანელებმა" ყველასთვის მოულოდნელად „დელე ალპიზეც" დაამარცხეს მარჩელო ლიპის გუნდი - 3:0 და „ბებერი ქალბატონი" უაღრესად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდეს. საქმე ის არის, რომ ლა კორუნიის „დეპორტივომ", როგორც მოსალოდნელი იყო, დაამარცხა შვეიცარიული „ბაზელი - 1:0 და ტურინელთა მსგავსად 4 ქულა მოაგროვა. „ბაზელს" 3 ქულა აქვს. საერთო აღიარებით ამ ჯგუფში ყველაფერი „იუვენტუსი" „დეპორტივოს" შეხვედრაში გადაწყდება, რომელიც ტურინში გაიმართება.

ჯგუფი C

| | | |
|---|---|---|
| ბორუსია | 1 - 1 | რეალი |
| ლოკომოტივი | 0 - 1 | მილანი |

| | ცხრილი | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მილანი | 4 | 4 | 0 | 0 | 4:0 | 12 |
| 2 | რეალი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| 3 | ბორუსია | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| 4 | ლოკომოტივი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |

ჯგუფი D

| | | |
|---|---|---|
| იუვენტუსი | 0 - 3 | მანჩესტერი |
| დეპორტივო | 1 - 0 | ბაზელი |

| | ცხრილი | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:2 | 12 |
| 2 | იუვენტუსი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 4 |
| 3 | დეპორტივო | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| 4 | ბაზელი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:8 | 3 |

# სტუმრების რევანშისტული განწყობა

*ჩემპიონთა ლიგის დღევანდელი ოთხი მატჩი უაღრესად მნიშვნელოვანია. დღეს, გვიან ღამით, გაირკვევა, შეინარჩუნებს თუ არა ფაბიო კაპელოს "რომა" მეოთხედფინალში გასვლის მცირე შანსს მაინც. იტალიელებმა საკუთარ მოედანზე წააგეს და დღეს, გასვლითი მატჩი, ორი მიზეზის გამო უნდა მოიგონ. პირველ რიგში იმიტომ, რომ სატურნირო მდგომარეობა "რომას" სხვა გზას არ უტოვებს. მეორე მიზეზი კი სერია A-ს შელახული პრესტიჟის აღდგენაა. ანალოგიურ სიტუაციაში ლევერკუზენის "ბაიერი" ჰორსტერის გუნდმა ბაი-არენაზე "ნიუკასლს" დაუთმო.*

დიმიტრი ობოლაძე

A ჯგუფი
**ინტერი - ბარსელონა**
**ნიუკასლი - ბაიერი**

| | ჯგუფი A | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| 2 | ინტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:6 | 6 |
| 3 | ნიუკასლი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 | 3 |
| 4 | ლევერკუზენი | 3 | 0 | 0 | 3 | 4:8 | 0 |

"ბარსელონასთვის" ყველაფერი დღესავით ნათელია - ანტიჩის გუნდი, ერთი ქულის მოპოვების შემთხვევაშიც კი, ინაღდებს მეოთხედფინალის საგზურს და მომდევნო მატჩებში ექსპერიმენტების ჩატარებისა და პრიმერადივიზიონში ვან გაალის მიერ გაფუჭებული საქმეების გამოსწორების საშუალებას მიიღებს. საპირისპირო სიტუაციაშია "ინტერი". მართალია, კუპერის გუნდის მდგომარეობას საგანგაშოს ვერ დავარქმევთ ("ნიუკასლი" სამი ქულით ჩამორჩება მეტოქეს), მაგრამ იტალიელებს დღევანდელი მატჩის მოგება ბევრ პრობლემას მოუხსნის. იტალიელებს ამ ამოცანის გადაჭრას ბარსელონელთა ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის, ჰოლანდიელი მარკ ოვერმარსის ტრავმაც უადვილებს. ნახევარმცველს ესპანეთის პრიმერადივიზიონში, "ბეტისის" წინააღმდეგ მოგებულ მატჩში კუნთი გაუწყდა და, დღეს კი არა, ალბათ, კვირას, "ოსასუნას" წინააღმდეგაც ვერ ითამაშებს. ასე რომ, მარცხენა ფლანგზე ტიაგო მოტა გადავა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაიზკა მენდიეტა თავის მარჯვენა ფლანგზე გადაიწევს. ანტიჩის განცხადებით, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, შეიძლება მოედანზე გამოჩნდეს ლეიუს ენრიკე, რომელიც, მისივე სიტყვებით, ჯერ ბოლომდე მზად არ არის. ექტორ რაულ კუპერს კი შეუძლია მშვიდად იყოს. თავისი პირველი გოლი გაიტანა მისმა თანამემამულემ, გაბრიელ ბატისტუტამ, რომელიც, ვიერისთან ერთად, მრისხანე დუეტს ქმნის. "ჩვენ საკუთარ მოედანზე ვთამაშობთ, - განაცხადა კუპერმა, - წინა მატჩში მტკივნეული მარცხი ვიწვნიეთ, რამაც შელახა ჩვენი პრესტიჟი. დღეს, უბრალოდ, ვალდებული ვართ, გავიმარჯვოთ. მერწმუნეთ, "ინტერი" პირველიდან ბოლო წუთამდე შეუტევს და ეცდება, რაც შეიძლება, მეტი გოლი გაიტანოს. "ბობი რობსონის "ნიუკასლ-იუნაიტედი" კიდევ ერთი გმირობისთვის ემზადება. ინგლისელებს იმედი აქვთ, რომ "ბარსელონა", რომელთანაც რობსონს ბევრი რამ აკავშირებს, ბოლომდე იბრძოლებს და იტალიაშიც გაიმარჯვებს. ამ შემთხვევაში "ნიუკასლს" მეოთხედფინალისთვის ბრძოლის რეალური შანსი უჩნდება. თუმცა, პირველ რიგში, მოყვარული მწვრთნელის, ჰორსტერისა და "ბაიერის" კიდევ ერთხელ დამარცხებაა საჭირო. ინგლისელთა ვეტერანი მწვრთნელი არჩევნის წინაშე დგება - შირერისა და ბელამის გარეშე მისმა გუნდმა შესანიშნავად ითამაშა. საინტერესოა, რა შემადგენლობით დაუპირისპირდება რობსონი ლევერკუზენელებს...

B ჯგუფი
**აიაქსი - არსენალი**
**ვალენსია - რომა**

| | ჯგუფი B | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აიაქსი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| 2 | არსენალი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| 3 | ვალენსია | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| 4 | რომა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |

ამსტერდამელებს, "ვალენსიასა" და "არსენალს", 5-5 ქულა აქვთ, იტალიის "რომას" კი - 0. აქედან გამომდინარე, ცხადია, ორივე მატჩი მნიშვნელოვანია. კაპელოს გუნდი, იმის გათვალისწინებით, რომ დღეს არასტუმართმოყვარე "მესტალის" სტადიონზე თამაშობს, ფაქტობრივად, განწირულია. დღეს გამარჯვების შემთხვევაშიც კი, იტალიელებს მხოლოდ სამი ქულა ექნებათ და ცხრილში ბოლო ადგილზე დარჩებიან. მომდევნო ტურში კი კაპელოსა და მის ფეხბურთელებს, საკუთარ მოედანზე, ლონდონელები მასპინძლობენ. მწყობრში ჩადგა გუნდის კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი, რომელიც უეჭველად ძირითად შემადგენლობაში იქნება. დაშავდა ვინჩენცო მონტელა, რომელიც დღეს ვერ ითამაშებს (ის იტალიის ჩემპიონატის 22-ე ტურის მატჩში, "უდინეზეს" წინააღმდეგ დაშავდა). სხვათა შორის, რომის ფეხბურთელებმა ის მატჩი წააგეს (1:2), რის შემდეგაც კაპელოს, კიდევ ერთხელ (და სამართლიანადაც), თავს დაატყდა კრიტიკის ქარცეცხლი. "რომამ" ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპი საკუთარ მოედანზე "არსენალთან" წაგებით (1:3) დაიწყო. შემდეგ იტალიელები ამსტერდამშიც დამარცხდნენ, ხოლო უკანასკნელ წვეთად იქცა ბოლო ტურის მარცხი საკუთარ მოედანზე, "ვალენსიასთან". "ჩვენი გუნდი ძლიერია, - განაცხადა ტოტიმ, - და ეს დღეს უნდა დადასტურდეს. არ შეიძლება, ეს საშინელი სერია კიდევ გაგრძელდეს. მიმაჩნია, რომ "რომას" ჯერ კიდევ შეუძლია მეოთხედფინალში გასვლა". რა თქმა უნდა, ზედმეტად ოპტიმისტური სიტყვებია. თუმცა, ტოტი გუნდის კაპიტანია და თანაგუნდელთა გამხნევება მისი პირდაპირი მოვალეობაა. ერთი რამ ცხადია: ორივე მატჩი უშეღავათო ბრძოლაში ჩაივლის. ასევე ცხადია, რომ "აიაქსისა" და "არსენალის" დუელი უფრო სასიამოვნო საყურებელი იქნება. კუმანი და, განსაკუთრებით, ვენგერი, შეტევით ფეხბურთს ანიჭებენ უპირატესობას. ინგლისელთა ფრანგმა მწვრთნელმა პირდაპირ განაცხადა, რომ მის გუნდს მხოლოდ მოგება აძლევს ხელს. "წინა მატჩი ვერ მოვიგეთ, - განაცხადა ვენგერმა, - მეტიც: ბოლო წუთებზე გადავრჩით კიდეც. დღეს სხვა სიტუაციაა. ამსტერდამელები საკუთარ მოედანზე თამაშობენ და დიდი ძალებით შეგვიტევენ, რაც ჩვენთვის იდეალური სიტუაციაა". ვენგერი "არსენალის" ფრანგი თავდამსხმელებისა და ნახევარმცველების სისწრაფის იმედადაა. თუმცა, არც კუმანია ყურებჩამოყრილი. "ტაქტიკის შესახებ ვერაფერს გეტყვით, - განუცხადა ჰოლანდიელმა ჟურნალისტებს, - მოგახსენებთ, რომ ამ მატჩისათვის ძალიან კარგად მოვემზადეთ და, ჩემი აზრით, ოპტიმალური ტაქტიკა ვიპოვეთ". ასე რომ, შეიძლება ვენგერი გაკვირვებული დარჩეს. შემადგენლობების მხრივ, ყველაფერი წესრიგშია, ფსიქოლოგიურად კი ლონდონელები უკეთეს მდგომარეობაში არიან. "აიაქსმა" შიდა პირველობის უკანასკნელი მატჩი წააგო და ფეხბურთელებს მცირე ფსიქოლოგიურ-პროფილაქტიკური სამუშაოს ჩატარება სჭირდებათ. დღეს, 26 თებერვალს, 23 საათსა და 45 წუთზე, რუსთავი-2-ის პირდაპირ ეთერში: "აიაქსი" - "არსენალი".

# დაისჯება „ბაიერნი„?

ნინო პირველი

ისევ გრძელდება აჟიოტაჟი "ბაიერნისა" და ექს-მედიამაგნატ ლეო კირხის გაუგებარ კონტრაქტთან დაკავშირებით, რომლის წყალობითაც მიუნხენურმა კლუბმა სატელევიზიო ხელშეკრულებისთვის აქამდე არნახული თანხა - 42 მილიონი მარკა მიიღო. ბავარიელთა მენეჯერს, ული ჰიონესს, იმედი ჰქონდა, რომ თავის სიმართლეს დაამტკიცებდა და სკანდალს უცებ ჩაახშობდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, ეს აფერა ასე უცებ დასავიწყებელი სულაც არ არის...

ბუნდესლიგის ზოგიერთი კლუბი "ბაიერნის" მკაცრად დასჯას მოითხოვს. გერმანიის შარშანდელმა ჩემპიონმა, დორტმუნდის "ბორუსიამ", თამაშით რომ ვერაფერი გააწყო და "ბაიერნს" ვერ დაეწია, გადაწყვიტა, ამ სკანდალით მოეთბო ხელი. "ბორუსიას" ფეხბურთელები, რაც ძალი და ღონე აქვთ, გაჰყვირიან, "ბაიერნი" კანონის დარღვევისთვის ქულების ჩამორთმევით უნდა დაისაჯოსო. სხვა კლუბების წარმომადგენლებს კი აინტერესებთ, - აბა, ვნახოთ, სახელგანთქმულ "ბაიერნსაც" თუ ისევე მკაცრად მოექცევიან, როგორც პატარა გუნდებსო. სხვათა შორის, საზოგადოების დიდი ნაწილიც ნეგატიურადაა განწყობილი "ბაიერნის" ბოსების მიერ განხორციელებული მაქინაციებისადმი. სკანდალურად ცნობილი გერმანული გაზეთის "Bild am Sonntag"-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, გერმანელთა 39 პროცენტს მიაჩნია, რომ "ბაიერნს" კანონის დარღვევა არ უნდა ეპატიოს და ქულების ჩამორთმევით დაისაჯოს.

საქმე ის არის, რომ სპორტის კანონის მეშვიდე პარაგრაფის მეორე პუნქტის მიხედვით, კლუბს ლიცენზიის ჩამორთმევა ან ქულების დაკლება ემუქრება, თუ რომელიმე კომპანიასთან საიდუმლოდ გააფორმებს 500000 ევროზე მეტი ღირებულების კონტრაქტს. "ბაიერნმა" კი ამ თანხას ნამდვილად გადააჭარბა. გასულ სეზონში მეორე ლიგის ერთ-ერთ გუნდს მსგავსი დანაშაულის ჩადენისთვის ექვსი ქულა ჩამოაკლეს. მიხაელ პფადი, ერთ-ერთი იურისტი, რომელიც "ბაიერნის" საქმეს იძიებს, ყველას არწმუნებს, გამონაკლისს არ დავუშვებთ და "ბაიერნს" ისე დავსჯით, როგორც ამას კანონი მოითხოვსო, ოლივერ კანი კი დარწმუნებულია, რომ მისი კლუბი მკაცრ სანქციებს გადაურჩება. "ქულების ჩამოკლება? ეს ყველაზე აბსურდული რამ არის, რაც კი ოდესმე გამიგონია. საბედნიეროდ, ამქვეყნად არსებობს ჭკვიანი ხალხიც, ვინც ასეთ სისულელეს არ ჩაიდენს", - იმედიანადაა კანი.

თუ "ბაიერნის" დასჯას გადაწყვეტენ, მიუნხენურ კლუბს ორი ალტერნატივა მიეცემა - ქულების დაკლება ამ სეზონში, ან იგივე სასჯელი 2003-04 წლების სეზონში. ახლა "ბაიერნი" კარგ ფორმაშია და ბუნდესლიგის აბსოლუტური ლიდერია. გასულ შაბათს



ული ჰიონესი

"ბაიერნმა" კვლავ ჩვეული შემართებით ითამაშა და, იმის მიუხედავად, რომ ყველა გერმანული გაზეთი თუ ჟურნალი კლუბის დასჯაზე ლაპარაკობდა, ბავარიულ დერბიში იოლად მოუგო მეორე ათეულის მკვიდრს, "ნიურნბერგს". მიუნხენელთა უახლოესმა მდევარმა და მოსისხლე მტერმა, დორტმუნდის "ბორუსიამ" კი, იმის მიუხედავად, რომ გელზენკირხენული "შალკე" 37-ე წუთიდან (აგალის გაძევების შემდეგ) ათი კაცით თამაშობდა, მასპინძლები ვერ დაამარცხა. ამ დრამატული მატჩის მიწურულს დორტმუნდელებიც ათნი დარჩნენ (გოლკიპერ იენს ლემანის გაძევების მერე) და, მოგებას ვინ ჩივის, გელზენკირხენიდან ერთი ქულა ძლივს წაიღეს. ოცდამეორე ტურის შემდეგ "ბაიერნმა" კიდევ უფრო შორს ჩამოიტოვა გერმანიის ახლანდელი ჩემპიონი. მეორე ადგილზე მყოფ დორტმუნდის "ბორუსიას" მიუნხენელები მთელი ათი ქულით უსწრებენ და, ბავარიული კლუბი კიდეც რომ დასაჯონ ქულების ჩამოკლებით, "ბორუსია" პირველ ადგილზე მაინც ვერ გადაინაცვლებს. "ბაიერნისთვის" ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია, მარტო ქულების ჩამოკლებით გადარჩეს და განრისხებულმა კანონის დამცველებმა სხვა, უფრო მკაცრი განაჩენი არ გამოუტანონ გერმანიის საუკეთესო კლუბს...

ფორმულა 1

# ჯანყი ფორმულა 1-ში

*2002 წლის სეზონის დასრულების შემდეგ, "სამეფო რბოლის" მამამთავრებმა, დრო უქმად რომ არ დაეკარგათ, ნოვატორულ იდეებს ფართო გასაქანი მისცეს. ერთნი ახალ იდეებს ესალმებოდნენ, მეორენი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. ასეა თუ ისე, ფაქტია: აქამდე არსებული შედარებითი სიმშვიდე დაირღვა. ბევრ სიკეთესთან ერთად, ფორმულა 1-ს აღმართში ანტითამბაქოს პროპაგანდაც წამოეწია. ახლაა და, "სამეფო რბოლების" 72 წლის მხცოვან იმპრესარიოს, ბერნი ეკლსტოუნს, ფორმულა 1-დან კომერციული უფლებების გამოსყიდვაც სურს.*

გიგა გურასაშვილი

გამორიცხული არ არის, ახლო მომავალში ფორმულა 1-ში ორხელისუფლებიანობის მოწმე გავხდეთ. ყოველ შემთხვევაში, ბოლოს განვითარებული მოვლენები ამის წინაპირობას იძლევა. რამდენად წაადგება ეს ყოველივე "სამეფო რბოლებს", ამას მომავალი გვიჩვენებს, თუმცა, ფაქტია, ორხელისუფლებიანობას ხეირი არავისთვის დაუყრია.

ორი დღის წინათ Sunday Times-მა გამოაქვეყნა მასალა, რომელიც საყოველთაო განსჯის საგანი გახდა. საქმე ის არის, რომ ბერნი ეკლსტოუნს სურს, გამოისყიდოს ყველა ის კომერციული უფლება, რომელიც Kirch Group-ის გაკოტრების შედეგად ბანკებს დარჩათ. გარდა იმისა, რომ ეკლსტოუნსა და მის ოჯახს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უფლება აქვს და, ყველაფერთან ერთად, აქციათა 25 პროცენტიც ეკუთვნის, ირკვევა, რომ "სამეფო რბოლების" მთლიანად დაუფლებაც განუზრახავს. ეკლსტოუნს, რომელმაც კარგად იცის შიდა კომერციული დინებების ავან-ჩავანი, ამავე გაზეთის ცნობით, აქციათა 75 პროცენტის დაუფლებისკენ მიისწრაფვის. ამასთან, საკუთარი მიზნის განსახორციელებლად გარანტიებსაც ითხოვს. კერძოდ, მულტიმილიონიან აქციათა 75 პროცენტის გამოსყიდვას, რომელიც Kirch Group-ის გაკოტრების შემდეგ სამი ბანკის კუთვნილებაში გადავიდა, იმ შემთხვევაში აპირებს, თუ ფორმულა 1-ში მოასპარეზე საჯინიბოები 2015 წლამდე ჩემპიონატებში მონაწილეობის პირობას დადებენ. ბუნებრივია, ეკლსტოუნის ინტერესებს მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ. ეკლსტოუნისა და FIA-ს პოზიცია, ამ მხრივ, თვალში არ მოსდის GPWC-ს (კონკორდატის შეთანხმება, რომელიც საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციასა (FIA) და ფორმულა 1-ის კონსტრუქტორთა ასოციაციას (FOCA) შორის ურთიერთობებს არეგულირებს).

ზემოხსენებულ შეთანხმებას 2007 წლის სეზონის დასრულების შემდეგ გასდის ვადა. 2007 წლის შემდეგ კი, გამორიცხული არ არის, ალტერნატიულ ჩემპიონატსაც ჩაეყაროს საფუძველი (თუ, რა თქმა უნდა, შეთანხმების ვადა არ გაგრძელდა, რაც ასე სურს ეკლსტოუნს, თუმცა, ეს ნაკლებად სავარაუდოა), მით უმეტეს, რომ ხუთი მწარმოებელი კომპანია, Ferrari-ის თავკაცობით, რომელიც DaimlerChrysler-ს, Renault-ს, Ford-სა და BMW აერთიანებს, დამოუკიდებელ მოქმედებას იწყებს.

"ბერნიმ მშვენივრად იმუშავა ფორმულა 1-ის გარდასაქმნელად. მაგრამ ახლა სხვა დროა. ფაქტია, მან ძალზე ბევრი მოინდომა. როგორც მენეჯერმა, ყველა გუნდზე მეტი მიიღო, თუმცა, ამას იმსახურებდა კიდეც, რადგან დაკისრებულ მოვალეობას კარგად ართმევდა თავს. ახლა კი ავტომწარმოებლებს აღარ სურთ საბანკო ანგარიშების შევსება. ურჩევნიათ, ფული თვითონ ჩაიჯიბონ. ჩვენს გარეშე ბანკებს, 2008 წელს, თავის განკარგულებაში, არაფრის 100 პროცენტი ექნებათ. ახლა კი, ბანკებისა და ბერნის გარეშე, ახალ ჩემპიონატს ვამზადებთ, ამასთან, გაცილებით მსუყე ტორტის ნაჭრით", - კონკორდატის სახელით აცხადებს ბუნტისთავი, Ferrari-ს პრეზიდენტი ლუკა დი მონტეძემოლო.


ლუკა დი მონტეძემოლო რევოლუციით იმუქრება

კრივი

# ემანუელ სტუარდი: „ლუისი შემპირდა, რომ ჯერ ტაისონს სცემს, შემდეგ კი - კლიჩკოებს"

*კრივის სამყარო მოუთმენლად ელოდა ლენოქს ლუისისა და ვიტალი კლიჩკოს ორთაბრძოლას. ეს შეხვედრა ბევრჯერ გადაიდო და თითქოს მომავალ ზაფხულს უნდა გამართულიყო, მაგრამ...*
*მაიკ ტაისონის გამარჯვებამ კლიფორდ ეტიენზე, როგორც ჩანს, ლუისის ყურადღება მიიპყრო. ინგლისელს კლიჩკოსთან ბრძოლა აღარ აინტერესებს და სურს, ივნისში ტაისონთან განმეორებითი მატჩი გამართოს.*
*გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც გერმანელმა ჟურნალისტმა, ჰარმ-კრისტიან პოპემ, ლენოქს ლუისის მწვრთნელისგან, ემანუელ სტუარდისგან აიღო.*

**- როდის შეიტყვეთ იმის შესახებ, რომ ლუისს ისევ ტაისონთან შეხვედრის სურვილი გაუჩნდა და კლიჩკოსთან ბრძოლა გადაიფიქრა?**

- ამის შესახებ მეც პრესიდან შევიტყვე.

**- ლუისმა თავისი გადაწყვეტილება არ შეგითანხმათ?**

- არა. ამ ამბავმა მეც ისევე გამაკვირვა, როგორც თქვენ. შვებულებაში ვიყავი, გადავშალე გაზეთი და წავიკითხე ლენოქსის გადაწყვეტილების შესახებ.

**- მაგრამ შემდეგ, ალბათ, გქონდათ მასთან საუბარი.**

- ცხადია, თავისთავად.

**- რატომ შეიცვალა აზრი?**

- მე შემიძლია გითხრათ მხოლოდ ის, რაც ლენოქსმა მითხრა: მას კონტრაქტი აქვს HBO-სთან და მაიკ ტაისონთან და ამ შეთანხმების შესრულება უნდა.

**- მაგრამ კლიჩკოს პრომოუტერები ამტკიცებენ, რომ ლუისს მათთანაც აქვს კონტრაქტი...**

- ამის შესახებ არაფერი ვიცი და, მართალი გითხრათ, ეს არც მეხება. მე მწვრთნელი ვარ და არა პრომოუტერი.

**- კლიჩკოს პრომოუტერი, კლაუს-პეტერ კოლი, სასამართლოში ჩივილს აპირებს.**

- ბატონი კოლი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო პრომოუტერია. თუ მას კონტრაქტი აქვს, მაშინ ისიც ეცოდინება, თუ როგორ მოიქცეს. მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ამასთან დაკავშირებით არაფრის თქმა არ შემიძლია. მე მხოლოდ ის ვიცი, რაც ლენოქსმა მითხრა.

**- ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ლუისს საერთოდ აღარა აქვს კლიჩკოებთან ბრძოლის სურვილი?**

- არა, არა. მას ნამდვილად სურს კლიჩკოსთან შეხვედრა, თანაც, ორივესთან.

**- მაგრამ მხოლოდ ტაისონთან განმეორებითი ბრძოლის შემდეგ?**

- ზუსტად ასეა. ლენოქსი დამპირდა, რომ ჯერ ტაისონს სცემს, შემდეგ - ვიტალის, ბოლოს კი - ვლადიმირს.

**- მას სურს, კრივიდან ჩემპიონის რანგში წავიდეს?**

- დიახ, ასეთია გეგმა. ლენოქსი ამ სამ ბრძოლას ჩაატარებს და კრივიდან წავა.

**- გერმანული პრესა და კლიჩკოს მწვრთნელი, ფრიც ზდუნეკი, ფიქრობენ, რომ ლუისს ვიტალი კლიჩკოსი ეშინია.**

- ლენოქსი მსოფლიოს უდიდესი ჩემპიონია მუჰამედ ალის შემდეგ. ის შეხვდა ყველა დიდ ჩემპიონს - ჰოლიფილდს, ტაისონს, გრანტს და კიდევ ბევრს სხვას და ყველა სცემა. კლიჩკოს შიში ლუისს ნამდვილად არა აქვს.


ემანუელ სტუარდი

**- ყველაფრის მიუხედავად, ლუისისა და ტაისონის მატჩს, სპორტული თვალსაზრისით, არცთუ ისე დიდი ინტრიგა აქვს. შარშან თქვენმა შეგირდმა ტაისონი უპრობლემოდ გაანადგურა.**

- ლენოქსი აქ არაფერ შუაშია. ტაისონთან მას კონტრაქტი აკავშირებს და ხალხს ამ ბრძოლის ნახვა სურს. ეს ამბავი ტომას ჰიორნსისა და მარვინ ჰაგლერის უწინდელ დუელებს მომაგონებს. მაშინაც კი, როდესაც ერთი აშკარად უგებს მეორეს, ყველას უნდა მათი შეხვედრის ხილვა.

**- ვიტალისთან შეხვედრა არ არის დიდი გამოწვევა ლენოქსისთვის?**

- ცხადია. მძიმეწონოსანთა კრივის მომავალი კლიჩკოებისაა. მე მათი დიდი გულშემატკივარი ვარ. ამის გამო ხშირად ლენოქსთან უსიამოვნებაც კი მაქვს.

**- ეს როგორ?**

- ხშირად ვაქებ ლენოქსთან. რასაკვირველია, ეს მას არ სიამოვნებს. ჩემთვის კლიჩკოები ახლავე არიან მსოფლიო კრივის მეორე და მესამე ნომრები (ლუისის შემდეგ). დიდი ხნის წინათ ვიცოდი, რომ მათ დიდი მომავალი ჰქონდათ.

**- რატომ ხართ ასე დარწმუნებული, რომ ლუისი ორივე კლიჩკოს სცემს?**

- იმიტომ, რომ ლენოქსი კლიჩკოებზე ძლიერია. ის ჯერ კიდევ მსოფლიოს ნომერ პირველი მოკრივეა.

# გახდება და მოტა ახალი აირტონ სენა?

*გერმანელი მიხაელ შუმახერის თავბრუდამხვევი წარმატებების მიუხედავად, სპეციალისტების უმრავლესობა მაინც მიიჩნევს, რომ ფორმულა 1-ის უკანასკნელი მოჰიკანი აირტონ სენა იყო. თავად ბერნი ეკელსტონიც აცხადებს, რომ "შუმახერი, 10-გზის მსოფლიო ჩემპიონობის შემთხვევაშიც კი, ვერ გაუტოლდება სენას".*
*გერმანელ პილოტს იმაშიც კი ადანაშაულებენ, რომ ხალხს ფორმულა 1-ის მიმართ ინტერესი დაეკარგა. ასეთ ვითარებაში ყოველი ახალი პილოტის გამოჩენა უდიდეს ინტერესს იწვევს.*
*2003 წლიდან ფორმულა 1-ში ახალი პილოტი იზეიმებს თავის დებიუტს – ბრაზილიელი კრისტიანო და მოტა. და მოტა Toyota-ს წევრია და გუნდი მასზე დიდ იმედებს ამყარებს. ოპტიმისტურად არის განწყობილი თავად პილოტიც. მას სჯერა, რომ შუმახერის ჰეგემონიას დაამხობს. ზოგიერთმა გულშემატკივარმა კრისტიანო და მოტა "ახალ სენადაც" კი მონათლა. მათ, მართლაც, აქვთ საერთო: და მოტაც ბრაზილიელია; სენას მსგავსად, ფორმულა 1-ში ისიც CART-დან მოვიდა; და, რაც ყველაზე მთავარია, ისეთივე ამბიციურია, როგორიც აირტონ სენა იყო.*
*გთავაზობთ ინტერვიუს კრისტიანო და მოტასთან, რომელშიც ის თავის გეგმებზე, მიხაელ შუმახერსა და თავის კერპზე, აირტონ სენაზე საუბრობს.*




**- რა არის თქვენი მიზანი მომავალ სეზონში?**

- ვფიქრობ, ჩემთვის ჯერ ადრეა რაიმე მიზნებზე საუბარი. გუნდის მიზანი ის არის, რომ ორივე მანქანა, რაც შეიძლება, ხშირად მოხვდეს ზედა ათეულში, ოღონდ არა იღბლის, არამედ პილოტების კარგი შედეგების ხარჯზე. ახლა სეზონის დაწყებას ველოდებით, რათა ვნახოთ, არის თუ არა რეალური ეს მიზნები.

**- ფიქრობთ თუ არა, რომ რბოლაში ამავე სეზონში გაიმარჯვებთ?**

- არა. 2003 წელს გრან-პრის მოსაგებად არავითარი შანსი არ გვექნება. ამაში მხოლოდ დიდი იღბალი თუ დაგვეხმარება. ძალიან გამიკვირდება, თუ გავიმარჯვებთ. ამ ეტაპზე ეს არარეალურად მეჩვენება.

**- თქვენი თანაგუნდელი, ოლივერ პანისი, ფორმულა 1-ის ვეტერანია. გაგიჭირდებათ, მას კონკურენცია გაუწიოთ?**

- ყოველი პილოტი ცდილობს, კოლეგაზე სწრაფი იყოს. მაგრამ ჩვენი გუნდის მიზანი ორივე პილოტის ნაყოფიერი თანამშრომლობაა. მაგალითად, როდესაც ოლივერი მესამე პოზიციაზე იქნება, ხოლო მე - მეოთხეზე, მისი გასწრება ბევრს არაფერს მომცემს. ჯობს, ის მესამე ადგილზე დარჩეს.

**- CART-ის კლასის ავტომობილებში თქვენ მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი ხართ. ალბათ, გინდათ, ფორმულა 1-შიც იგივე გაიმეოროთ. მიგაჩნიათ თუ არა, რომ მიხაელ შუმახერის კონკურენციის პირობებში ეს საერთოდ შესაძლებელია?**

- დიახ, შესაძლებელია. მომავალი სეზონი პირველი იქნება ჩემთვის, ხოლო Toyota-სთვის - მხოლოდ მეორე. მეც და გუნდსაც დრო გვჭირდება. ფორმულა 1-ში ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლო. მაგრამ ჩემპიონობა ნამდვილად შესაძლებელია.

**- ავტოსპორტის მოყვარულები ფორმულა 1-სა და CART-ს ხშირად ადარებენ ერთმანეთს. იქნებ თქვენ აგვიხსნათ, რა განსხვავებაა ამ ორ კლასს შორის?**

- სისწრაფეში თითქმის არავითარი განსხვავება არ არის. მაგრამ სრულიად განსხვავებულია მართვის მანერა. ეს იმის გამო, რომ წონა სხვადასხვაა. განსხვავებულია ტაქტიკაც.

**- რომელია მათ შორის უფრო დიდი გამოწვევა?**

- ეს, ალბათ, იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი კუთხით განიხილავ საკითხს. მე CART-ს ვარ მიჩვეული, იქ ბევრს მივაღწიე. ცხადია, ჩემთვის ფორმულა 1 არის დიდი გამოწვევა. მაგრამ პილოტისთვის, რომელიც მთელი ცხოვრება ფორმულა 1-ში გამოდის, ალბათ, CART-ი იქნება დიდი გამოწვევა.

**- CART-ი უფრო სახიფათოა?**

- CART-ი ბევრად უფრო სახიფათოა, ვიდრე ფორმულა 1. ფორმულაში გაცილებით მეტად ხარ დაცული.

**- CART-ის ზოგიერთ ვარსკვლავს ფორმულა 1-ში ხელი მოეცარა. მაგალითად, მაიკლ ანდრეტი, ალექს ზანარდი... ზოგი, პირიქით, მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მაგალითად, ჟაკ ვილნევი. არ გეშინიათ, რომ ფორმულაში ფიასკო განიცადოთ?**

- არა!

**- ესე იგი, ფიქრობთ, რომ ჩემპიონი გახდებით?**

- დიახ. ეს რომ არ მჯეროდეს, მაშინ ფორმულა 1-ში არაფერი მესაქმება.

ისტორიული ფოტო

# ეს იყო 34 წლის წინათ...


1969 წლის 14 ივნისი. ფრანკფურტი.
გერდ მიულერი გერმანიის თასით ხელში.



ტალონი 24 საათი
26.02.03 N-55

ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"
Visage
პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"
MATTIOLI ENGINEERING
მიკროკრისტალურ დერმობრაზიას "Aesthipeel"
- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ჭავჭავაძის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური 899-56-18-52

## აფიშა

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**თეატრალური სარდაფი**
პრემიერა
"კარლო", რეჟ. ანდრო ენუქიძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
"ვენეციელი ვაჭარი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 10 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
მაკა ასათიანისა და გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**შარდენი**
ტიხრული მინანქარი, ხათუნა ჩხეიძის ნამუშევრების გამოფენა

**ორიენტი**
"კოლექციიდან კოლექციამდე 3", წარმოდგენილია ლადო გუდიაშვილის, ირაკლი ფარჯიანის, ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის, ვალენტინ შერპილოვის, პეტერ ბლიტკინის და სხვათა ნამუშევრები კერძო კოლექციებიდან

**ქარვასლა**
დავით იაკობაშვილის ფოტონამუშევრების გამოფენა
გახსნა 16:00 სთ
ვიდეოარტი "არტერია"

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"აბა დამიჭირე"
დას: 13:00; 16:00; 19:00; 22:00; ფასი 5-8 ლარი

**„რუსთაველი„**
"შპიონი ბავშვები 2"
დას: 15:00; 17:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოატყუო ყველა"
დას: 21:30 სთ; ფასი 7 ლარი

**„ელისო„**
"შპიონი ბავშვები 2"
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოატყუო ყველა"
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ექსტრემელები"
დას: 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 - 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: 94-12-12, იკითხეთ ლია.

**იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50**

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით-სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ., N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

სასწრაფოდ იყიდება 400 კვ.მ. ბინა სუპერრემონტით ვაკეში, ახალაშენებულ სახლში 200 000-ად. 98 83 75, 8(99) 54 02 53

იყიდება აგარაკი ძეგვთან. კაპიტალური შენობა მანსარდით, ტუალეტ-აბაზანით, შიდა კიბით. 39 71 11

სასწრაფოდ იყიდება კერძო სახლი 1200 კვ.მ. ეზოთი საბურთალოზე. 32 07 42, 8(77) 74 90 89

### მიწის ნაკვეთი

იყიდება 900 კვ.მ. ნაკვეთი პატარა კოტეჯით ურეკში, ზღვასთან ახლოს. 95 86 76, 38 14 03, 8(77) 45 89 24

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

### კომერც. ფართი

იყიდება 72 კვ.მ. ფართი I სართულზე 156 კვ.მ. განათებული სარდაფით, ვაკეში, სტუდქალაქის უკან. 8(77) 78 58 42

ვიქირავებ რესტორანს დიღმის გზაზე. 95 21 46 (10-სთ-დან 17 სთ-მდე). იკითხეთ ირაკლი ან ნუგზარი

## ბინები

### ქირა, გირაო

გირავდება იზოლირებული 2-ოთახიანი ბინა ბოგდან ხმელნიცკზე, ისნის მეტროსთან. 79 15 10, 8(93) 39 17 52

ვიგირავებ ბინას 1000 $-ის ფარგლებში. 60 66 28, 8(93) 24 19 24 ვახო, 8(77) 74 58 70 ელისო

**ქირავდება!**

სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

**ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

## მანქანები

იყიდება ავტომანქანა „შკოდა-ოქტავიას" ნებისმიერი სათადარიგო ნაწილები. 8(99) 50 33 53

## სწავლება

ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი). tel: 64-63-40, 893 282-559

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

იყიდება ახალი ნორკის ქურქი ნაჭრებით, მუქი ყავისფერი, გრძელი. ზომა 48-50. ფასი 550. 32 22 52

იყიდება სასადილო „მონალიზა", სამეული „710" და ყავისფერი როიალი „როინიში". 95 88 71

პირველად თბილისში! ახალი ტიპის საკვირაო სკოლა „არტკლასი" უზრუნველყოფს ბავშვთა აქტიურ დასვენებას. ნიკო ნიკოლაძის №6 (ვერის პარკთან). 98 72 54, 8(77) 43 21 02, 8(99) 56 35 31

საორსულო ტანსაცმელი და ბანდაჟები, მოხრილობის, წელისა და ბავშვის ფეხის ასადგმელი ქამრები, ბრტყელტერფიანობა, ორთოპედიული ბალიშები. 53 46 41

იყიდება ახალი და მეორადი სამედიცინო ტექნიკა: ექოსკოპი, ელექტროდანა, ახალშობილთა რეანიმაციის მოწყობილობა და გერმანული ლაბორატორია. 93 49 62, 8(99) 53 63 95

იყიდება ნატურალური ღვინო "ოჯალეში, რომელიც განთქმულია სამკურნალო თვისებებით. ფასი 5 ლარი.
ტელ: 52-30-30, 899 181945

**გევსაჭიროება!**

**მდივანი**: ახალგაზრდა მანდილოსანი ინგლისური და რუსული ენების, აგრეთვე, კომპიუტერის კარგი ცოდნით (სწრაფი ბეჭდვა ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებზე), სასურველია, ჰქონდეს მუშაობის გამოცდილება.

**ბუღალტერი:** ახალგაზრდა მანდილოსანი უმაღლესი საბუღალტრო განათლებით, ბუღალტერიის საერთაშორისო სტანდარტების მცოდნე (სასურველია იყოს ფაბის მიერ სერთიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი), კომპიუტერისა და საგადასახადო კანონმდებლობის საფუძვლიანი ცოდნით, მუშაობის სამწლიანი გამოცდილებით.

ანაზღაურება შეთანხმებით. მიღება მოხდება გასაუბრების და მოთხოვნათა შემოწმების საფუძველზე ადმინისტრაციის შეხედულებისამებრ. მსურველებმა სავალდებულოა წარმოადგინონ:

განათლების დამადასტურებელი საბუთი და სხვა საბუთები, რომლებიც ადასტურებენ მოთხოვნებთან შესაბამისობას: ავტობიოგრაფია; ორი ფოტოსურათი. განცხადების მიღების ბოლო ვადა 3.03.03

საკონტაქტო ტელეფონები: **98-65-45, 98-65-68, 92-09-04**.

**სავენახე რკინა-ბეტონის ახალი ბოძები და ლუზები. მოთუთიებული და სპეციალურად ქიმიურად მდგრადი პოლიმერით დაფარული მავთულები.**
**ტ/ფაქსი 94 27 15, 94 26 47**

**გეპატიჟებათ კაფე-რესტორანი „იმედი"**
გემრიელი სამზარეულო, მყუდრო გარემო დიდი ქეიფის დროსაც, მაღალი კლასის მომსახურება და ღიმილი ყველაზე ახირებული სტუმრისთვისაც კი. შეგიძლიათ წინასწარ დაიბევოთ ადგილები და მენიუ.
**სანდრო ეულის ქ. 1.**
**8(93) 21 76 12**

**სადილი ყველას!**

3 მარტს, დედის დღეს, 12-დან 17 საათამდე, "კათარზისი" კვლავ უმასპინძლებს ყველას, ვისაც სურვილი აქვს ადგილზე გემრიელად დაპურდეს.

**დარეკეთ 11-დან 17 საათამდე. 95-16-46**
**დავით აღმაშენებლის 121.**

## TV პროგრამა 26 თებერვალი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ვის უნდა ოცი ათასი?
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 ჩემპიონთა ლიგა
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 01.40 კურიერი
18.15 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
18.40 სერიალი „მედისონის სკოლა"
19.05 სერიალი „კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"
20.05 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ხალხის პირისპირ
22.50 ღამის კურიერი
23.40 ჩემპიონთა ლიგა.
02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა
02.40 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ბელფეგორი"
10.10 მხ. ფილმი „კაპიტანი ფრაკასი"
11.30 შემეცნებითი ფილმი „მოგზაურობა დედამიწის გარშემო"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 „ნაშუადღევს"
14.05 ქართული ენის გაკვეთილი
14.30 დოკ. სერიალი „ევროპის ბუნების დიდებულება"
15.15 მხ. ფილმი „ცოტა მზე ცივ წყალში"
17.00 პალიტრა
17.20 50-50
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ავიაშოუ"
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „ისტორიანი"
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.55 „ხელოვნების ქურუმი" გ. გეგეჭკორი
23.00 „დღის ბოლოს"
00.00 მხ. ფილმი „საგანგებო მდგომარეობა 2"

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმეორებით რუსული მუსათეული
11.45 მუსიკა
13.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „დოქტორ მამფორდი" მთ. როლ-ში ლორენ დინი, ჰოუპ დევისი
19.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 ქართულ-უცხოური მუსათეული
22.00 ინფორმატორი
22.30 მუსიკა
23.00 ჩაძირობანა
00.00 ფილმი ბრავო „ბლანში" მთ. როლ-ში ლუ დუაიონი, ჟან როშფორი.
01.40 ფილმი ლაშურა „შემრევი" მთ. როლ-ში დმიტრი მარიანოვი, ვსევოლოდ შილოვსკი
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები"
20.30 და არს მუსიკა
21.00 დოკ. ფილმი
21.30 წარსულის ტერიტორია
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „თემო"

### იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი
08.05 დიალოგი
10.35 მხ. ფილმი „დაკარგული ქალაქი"
12.05, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 23.30 მუსიკა
12.20 ლიტერატურული - სილუეტი (განმ.)
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10 მხ.ფ. „დიდი მანევრები"
14.30 დოკ. ფილმი
15.20, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
16.20 მულტფილმი
17.30 მულტფილმი
18.45 ბუნების ფერები
19.45 გადაცემა - მურადა
20.00 მხ.ფ. „ანგელოზთა მრისხანება" 1-ლი ს.
22.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „ანგელოზთა მრისხანება" მე-2 ს.
01.30 ღამის ფილმი

### ევრიკა

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
11.00 რუსული ენის გაკვეთილი
11.30 ინგლისური ენის გაკვეთილი
12.00 მუსიკალური კოლაჟი
12.30 სალონი
14.00 ექიმი გვირჩევს
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 სცენის ოსტატები
20.30 მულტფილმი
21.00 მსოფლიო სპორტი
22.00 თინეიჯერი
23.00 მხ. ფილმი „გამოუსწორებელი"

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „საქმის გარჩევები პატარა ტოკიოში"
15.10 მხ. ფილმი „ლამაზმანი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს"
17.15 მხ. ფილმი „მოასწრო გახსენება"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „კაზინო"

### მეცხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.50, 11.50, 14.20, 17.50, 19.50, 21.55, 23.45 მუსიკა
10.00 მულტსერიალი „ალექსი"
10.30 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა"
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
12.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი."
12.50 მხ. ფილმი „დარტყმის ზონა"
14.45 „ევროპის სტადიონებზე"
15.15 დოკ. სერიალი „სუპერშეგრძნება"
15.45 მხ. ფილმი „ეშმაკთა სამოთხე"
18.00 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა"
18.40 მულტსერიალი „ალექსი"
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
20.00 „ევროპის სტადიონებზე"
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი."
22.00 „ტელემეტრი"
22.15 მხ.ფილმი „კარიერა"
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი"
00.45 მხ. ფილმი „ინტრაპიდი"

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.30 მუსიკა
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.20 სათავგადასავლო ფილმი „ჯუმანჯი"
11.00 დოკუმენტური ფილმი
12.10 კომედია „სამი მამაკაცი და პატარა ლედი-3"
13.55 მხატვრული ფილმი „კერკეტი კაკალი-3"
16.10, 19.40, 23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
16.15 მულტფილმი „ჭიანჭველა ანტცი"
17.40 კომედია „მასწავლებელი და ურჩხული"
19.00, 22.20, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი"
19.30 „პრესდაიჯესტი"
19.50 მხატვრული ფილმი „ოთხი ქორწილი და ერთი დაკრძალვა"
22.50 „პრესდაიჯესტი"
23.05, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.10, 01.05 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.15 „ალტერნატივა"
01.10 მხატვრული ფილმი „სასოწარკვეთილი"
03.30 მხატვრული ფილმი „და, მთელი სამყაროც არაფერია"

### VII არხი

09.15 მელოდია
09.25 „აჩიკუდა"
09.50 აუდიო-ვიდეო-ტელე
10.30 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა -განმეორებით
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
11.45 კომპიუტერული ტექნიკა
12.20 „ბიორითმი" - სპაის გიოლზი .
12.40 მობილურები
13.25 დისნეი და მისი მეგობრები
13.45 კომპიუტერული თამაშები
14.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა"
19.40 მობილურები
20.20 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
21.00 კომპიუტერული თამაშები
21.05 „ლა-ლა-ლა"
22.00 „სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
22.30 მელოდია
22.50 „კინოკლუბი „ - „პოლიციელთა ოჯახი". ა.შ.შ. 1989 წელი. მძაფრსიუჟეტიანი. როლებში: ჩარლზ ბრონსონი,
00.40 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
01.20 „ბიორითმი" - სპაის გიოლზი

### ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Сериал „Земля любви, земля надежды"
11.10 Комедия „Брелок с секретом"
12.35 Дисней-клуб: „Плойд в космосе"
13.15 Худ.фильм „КРУГ"
15.00 „Путешествие натуралиста".
15.30 „Новый день". „Гении и злодеи". Савва Морозов
16.15 Док.сериал „Дикие штучки"
16.55 Худ.фильм „ЖЕНИХ С ТОГО СВЕТА"
18.00 „Большая стирка"
19.25 Смехопанорама
20.00 Сериал „Земля любви, земля надежды"
21.00 „Русская рулетка"
22.00, 00.30 Время
22.40 Сериал „Следующий"
23.45 „Тайны века"
01.00 „Новый день". „Теория невероятности"
01.30 Чемпионат мира по лыжному спорту
02.00 „Апология"
03.00 Боевик „Неудержимый".

### РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45 Сериал „Леди Мэр"
10.40 Сериал „Кобра. Черная кровь"
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 „Пуаро Агаты Кристи". „СОН"
13.20 Сериал „ТИТАНЫ"
14.15, 17.45 Экспертиза
14.30 Москва-Минск
14.45 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Трое против всех"
17.15 Сериал „Простые истины"
18.20, 20.50 Вести. Дежурная часть
18.50, 02.55 Дорожный патруль
19.05, 00.20 Вести-Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс"
21.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал „Леди Мэр"
22.50 Сериал „Кобра. Черная кровь"
23.50 „Вести+"
00.30 Детектив „АЛМАЗЫ ШАХА"

### НТВ

07.00 Утро на НТВ
10.00 Сериал „Скорая помощь 7"
11.00 Сегодня утром
11.25 Очная ставка
12.00, 13.00, 15.00, 16. 00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 Сегодня
12.05 „Кулинарный поединок"
13.05 Комедия „БОЛШИЕ ДЕНЬГИ"
15.05 Путешествия натуралиста
15.35 Детектив „Она написала убийство"
16.35 Ток-шоу „Принцип „Домино"
18.05 „ГАНГСТЕРСКИЕ ВОЙНЫ"
19.15 Чистосердечное признание
20.35 Сериал „Тайны следствия"
21.45 „БАНДИТСКИЙ ПЕТЕРБУРГ"
23.00 „Страна и мир". Главные события дня
23.35 Футбол. Лига чемпионов. „ИНТЕР" - „БАРСЕЛОНА"
01.40 Гордон
02.30 Дневник Лиги чемпионов



# ჯინსის მამა

დაბადების დღეს გილოცავთ, ბატონო ლევი. დიდი მადლობა, რომ ოქროს მაძიებელთა წუწუნი ყურად იღეთ და მათთვის გამძლე შარვლები შეკერეთ. დიდი მადლობა, რომ მსოფლიოს ჯინსი ჩააცვით: ამ ფრაზას დღეს არა მხოლოდ ლევისის ჯინსის იმპერიის თანამშრომლები უნდა ამბობდნენ, იმიტომ, რომ ისინი ყველაზე პოპულარულ კომპანიაში მუშაობენ. დღეს, დიდი სტრაუსის 174 წლის იუბილეს უნდა აღნიშნავდნენ მთელ ამერიკაშიც. მისი ჯინსი ხომ ამერიკული კულტურის სიმბოლოს წარმოადგენს ისევე, როგორც მიკი მაუსი, “მაკდონალდსი” თუ კარაქიანი პოპკორნი.

17 წლის ბავარიელი სტრაუსი, რომელიც დღეს იუბილარი გახლავთ, ნიუ იორკში გემით 1847 წელს ჩავიდა და ნახევარძმების საგალანტერეო ბიზნესში ჩაება. 20 წლის ასაკში მას საპასუხისმგებლო მისია მიანდეს: ოჯახური ბიზნესის გასაფართოებლად სან ფრანცისკოში გაგზავნეს. პირველი მაღაზია კალიფორნია სტრიტზე გაიხსნა. ერთწლიანი მუშაობის შემდეგ სტრაუსმა თანხა ადგილობრივ ობოლ ბავშვთა სახლს შესწირა და ასე დაუდო საფუძველი კომპანიის კეთილშობილურ ტრადიციას – ყოველწლიური მოგება აუცილებლად საზოგადოებისთვის გაენაწილებინათ. სწორედ ამ ტრადიციის შედეგია ის, რომ დღესაც “ლევისის” კომპანია ან შიდსით დაავადებულებს ეხმარება, ან საგანმანათლებლო სტიპენდიებს აწესებს, ხან კი მუსიკოსებს სწყალობს და გასტროლებს უფინანსებს. პირველი ასეთი აქცია ჯინსის პოპულარულმა კომპანიამ “როლინგ სტოუნზთან” ერთად ჩაატარა და მისი ტურნე Voodoo Lounge დააფინანსა. 1999 წელს კი “ლევისმა” “ემ ტი ვის” ვიდეო-მუსიკალური დაჯილდოების ცერემონიალი დაასპონსორა.

დღეს უკვე საერთაშორისო ფენომენად ქცეული ჯინსი ლევისა და ნევადელი მკერავის ჯეკობ დევისის თაოსნობით შეიქმნა. 1872 წელს სტრაუსმა დევიდსისგან წერილი მიიღო. მას ძალზე მოსახერხებელი რამ გამოეგონებინა: მამაკაცის შარვლებს, რომლებიც გამუდმებით ცვდებოდა, ჯიბეებს განსაკუთრებული წესით, რკინის სარჭებით უმაგრებდა. დევიდსს შეეშინდა, რომ მის იდეას ვინმე მოიპარავდა და ამიტომ გამოგონების დაპატენტება გადაწყვიტა. თუმცა, მას ამისთვის საჭირო 68 დოლარი არ აღმოაჩნდა და ამგვარად საქმეში ლევი სტრაუსიც ჩართო. პატენტი 1873 წლის 20 მაისს მიიღეს და მაშინვე გამოუშვეს პირველი “ლურჯი ჯინსი”. ის კომბინიზონის ფორმის გახლდათ, დამზადებული იყო გამძლე, ლურჯი ქსოვილისგან (სწორედ იმ ბრეზენტის მაგვარი მატერიისგან, რომელსაც სტრაუსები ყიდდნენ, როგორც გადასახურავ მასალას). ეს უხეში შარვლები მისწრება იყო მამაკაცებისთვის, რომლებიც ფიზიკურ შრომას ეწეოდნენ ან “ოქროს ციებ-ცხელების” დროს ძვირფას ლითონს დაეძებდნენ...

ასე რომ, თუ 26 თებერვალი ლევი სტრაუსის იუბილე გახლავთ, 20 მაისი ლურჯი ჯინსის დაბადების დღეა. ამიტომაც წელს, კომპანია “ლევისს” დიდი ზეიმის მოწყობა თებერვლის გარდა მაისშიც მოუწევს – წელს, 20 მაისს ხომ ლურჯ ჯინსს მრგვალი თარიღი – 130 წელი უსრულდება. ზეიმის საფუძველს ჰქმნის დიდი ფინანსური მოგებაც. “ლევისი” თავისი მსოფლიო წარმომადგენლობებით ჟურნალი Fortune-ის მიერ გამუდმებით სახელდება ყველაზე პოპულარულ კომპანიად და ის “ეთიკური სრულყოფილების” ჯილდოსაც ფლობს.

...სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე, ლევი სტრაუსმა კიდევ ერთი კეთილი საქმე ჩაიდინა. ბერკლიში, კალიფორნიის უნივერსიტეტში 28 სახის სტიპენდია დააწესა. სხვათა შორის, ეს ფონდი სტუდენტებისთვის დღესაც ფუნქციონირებს.

“ლევისის” ლოგო ღია წაბლისფერ, ტყავის ნაჭერზე ამოტვიფრული ორი ცხენი 1886 წელს შეიქმნა. ხოლო წითელი ნიშანი, “ლევისის” წარწერით პროდუქციას 1936 წლიდან ამშვენებს. ეს ლოგო “ლევისი” ნაწარმს ერთი უბრალო მიზნით დაამაგრეს: შორიდან ყველას რომ შეენიშნა, ვისთან ჰქონდათ საქმე.

ლევი სტრაუსი 1902 წელს გარდაიცვალა. მაგრამ ჯინსის იმპერიის აღზევება არ შეჩერებულა. საქმე სტრაუსის ძმის შვილებმა გადაიბარეს, არც 1906 წლის ხანძარს შეუშინდნენ, რომელმაც “ლევისის” მთელი ქარხანა გაანადგურა და კომპანია კვლავ ფეხზე დააყენეს.

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში “ლევისის” წარმატებების ქრონოლოგიურად ჩამოთვლა ასე შეიძლება:

1935 წელს კომპანიამ “ლედი ლევისი” გამოუშვა – პირველი ლურჯი ჯინსი ქალებისთვის. ემანსიპირებულმა მანდილოსნებმა ერთ დროს მუშების სამოსად ცნობილი “ლევისი” დიდი სიამოვნებით აიტაცეს და იმავე წელს ჯინსი ჟურნალ “ვოგშიც” მოხვდა. 40-იან წლებში კი ამერიკელმა ჯარისკაცებმა თავიანთი საყვარელი სამოსი დანარჩენ მსოფლიოსაც გააცნეს: ომის წლებში მათ სწორედ “ლევისის” შარვლები და ქურთუკები ეცვათ – როგორც ჭუჭყისა და მტვრის ყველაზე უკეთ ამტანი. 1954 წელს “ლევისი” სპორტული სამოსის ბიზნესშიც ჩაერთო და წარმოება კიდევ უფრო გაამრავალფეროვნა. 1966 წელს გამოვიდა პირველი ტელე-რეკლამა. მალევე როკ ჯგუფებმა The Jefferson Airplane-მა და Raiders-მა კომპანიის პირველი რადიო-რეკლამაც ჩაწერეს. თანაც, ნუ დაგავიწყდებათ, რომ სწორედ 60-იანი წლებიდან ჯინსი ერთგვარი კულტურული მიმდინარეობის სიმბოლოც გახდა. დამკვიდრებული ღირებულებების წინააღმდეგ ამხედრებული “ბეიბიბუმერები” სპეციალურად იმოსებოდნენ ჯინსით და საზოგადოებრივი ფასეულობების წინააღმდეგ პროტესტს ასე გამოთქვამდნენ.

მართალია, პროტესტის ეს ეპოქა დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა, მაგრამ 60-იანელთა წყალობით ჯინსი კლასიკურ სამოსად იქცა. “ლევისს” კონკურენტებიც გაუჩნდა. ე.წ. “დიზაინერის ჯინსი” ძალზე პოპულარული გახდა და უკვე 70-იან წლებში კელვინ კლაინი ჯინსის ნაწარმის საშუალებით კვირაში 12.5 მილიონი დოლარის მოგებას ნახულობდა. შემდეგ და შემდეგ, თითქოს ჯინსმა ძველი აქტუალობა დაკარგა, კრიზისის ხანა დაუდგა “ლევისსაც”. თუმცა, დღეს მისი პროდუქცია მაინც წარმატებით იყიდება. გაზაფხულის ახალი სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით ევროპის ტელე-არხებზე ახალი სარეკლამო კამპანიაა გაჩაღებული. თუმცა, კომპანია რეკლამის გარეშეც გრანდიოზული წარმატებით ყიდის თავის ბოლო ნაწარმს, ძველისგან თითქმის არაფრით განსხვავებულ, მაგრამ მაინც ახალ პროდუქციას, რომელსაც Levi’s ® Type 1™ ჰქვია.

ახალ წელს კომპანია ასეთი ანგარიშით ხვდება: “ლევისი” გახლავთ ჯინსის ერთადერთი მწარმოებელი, რომელსაც მსოფლიო ბაზარი ყველაზე მასშტაბურად აქვს ათვისებული, ხოლო მისი სავაჭრო ნიშანი 160-მდე ქვეყანაშია რეგისტრირებული. 2003 წელი კი კომპანიისთვის მართლაც ოქროს იუბილეს პერიოდია: ლევი სტრაუსის დღეობა, ლურჯი ჯინსის გამოგონების 130 წლისთავი და კომპანიის დაარსების 150 წლის იუბილე.






ჯინსი და როკი: სპრინგსტინის Born In The U.S.A. და "როლინგ სტოუნზის" Sticky Fingers



გინესის რეკორდი: ყველაზე დიდი ჯინსი

REUTERS



ჯინსის საერთაშორისო ფესტივალზე ნიმში

REUTERS




"ლევისის" უნივერსალური მაღაზია სან ფრანცისკოში

REUTERS

კალეიდოსკოპი

## მკვდრეთით აღმდგარი ჟეგლოვი

ტელეფილმი “შეხვედრის ადგილი არ შეიცვლება” საბჭოთა კინოს ლეგენდადაა ქცეული. მისი ლიტერატურული პირველწყარო ძმები ვაინერების რომანი “მოწყალების ერაა”. და ახლა, მრავალი წლის შემდეგ, არკადი ვაინერთან შეთანხმებით ამერიკელმა პროდუსერებმა მისი გაგრძელება, ახალი ტელეჰიტი, “შეხვედრის ადგილი-2” უნდა გადაიღონ. ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეძლებენ ამერიკელი და თუნდაც რუსი მსახიობები ვლადიმირ ვისოცკის შეცვლას. გადაწყდა, რომ ახალი სერიალი იმ კადრებით დაიწყება, რომელიც პირველ ფილმში არ შესულა. ძველი სერიალის მთავარი გმირი, გლებ ჟეგლოვი – ვლადიმირ ვისოცკი – ერთ-ერთი თანამშრომლის ღალატის მსხვერპლი გახდება, და ფილმის დანარჩენი სერიები სწორედ ამ საქმის გამოძიების ამბავს მოგვითხრობს.

## გარდაიცვალა ალბერტო სორდი

გუშინ, რომში, ნუმა პომპილიოში, 82 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი იტალიელი მსახიობი, ალბერტო სორდი.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მსახიობმა განაცხადა, რომ კინემატოგრაფს თავს ანებებს: “ჩემს ასაკში მაინც ხომ უნდა მოისვენო კაცმა”. პირველი როლი მან 13 წლის ასაკში შეასრულა და მას შემდეგ 190 ფილმში მიიღო მონაწილეობა. ჭეშმარიტი აღიარება მას ორმა ფილმმა - “თეთრი შეიხი” და “დედიკოს ბიჭები” - მოუტანა.

2000 წელს იტალიამ ალბერტო სორდის იუბილე იზეიმა. მსახიობს პრესტიჟული იტალიური პრემია, “ბონინო-2000” გადასცეს, ხოლო რომის მერმა, ფრანჩესკო რუტელიმ, მას საპატიო ბაფთი მიართვა და 24 საათით დაუთმო თავის სამუშაო კაბინეტი კაპიტოლიუმის ბორცვზე.

## ყველაზე მაღალი სახლი

მსოფლიოში ყველაზე მაღალი შენობა გაერთიანებულ არაბულ ემირატებში აშენდება. სამშენებლო კორპორაცია “ემაარის” წევრებმა პროექტი დაამტკიცეს და შენობის ფოტოები ემირატების ყველა გაზეთში გამოაქვეყნეს. “დუბაის კოშკის” მშენებლობა აპრილში დაიწყება. ის შანჰაის ცათამბჯენზე, “მსოფლიო საფინანსო ცენტრზე” მაღალი იქნება, რომლის სიმაღლეც 492 მეტრი უნდა იყოს.






# ასე იცვამდა მარლენ დიტრიხი

თითქმის ყველა მშვენიერმა ქალბატონმა, რომელიც სცენასა თუ კინოეკრანზე გამოჩენილა, თავისი სტილი შექმნა, და რიგითი მოქალაქეების ჩაცმულობასა თუ ქცევაზეც მოახდინა გავლენა. თავის დროზე ხომ მერი პიკფორდის ღიმილი, ბრიჯიტ ბარდოს "ბაბეტას" ვარცხნილობა, ოდრი ჰეპბერნის კაბები ზედსართავ სახელებად იქცა...

როცა მოდის ისტორიაზე საუბრობენ, მარლენ დიტრიხის სახელს გვერდს ვერავინ უვლის. სხვა თუ არაფერი, დიტრიხი პირველი ქალი იყო, რომელმაც საჯაროდ გაბედა მამაკაცის შარვლის ჩაცმა, და 30-40-იან წლებში ყველა ქალი ცდილობდა, მშვენიერი მარლენივით მოხდენილად გაებოლებინა სიგარეტი.

პარიზი, მოდის დედაქალაქი, უკვე ზაფხულისთვის ემზადება. 14 ივნისს პარიზის მუზეუმ Galliera-ში გამოფენა უნდა გაიხსნას, რომელიც ლეგენდარული მარლენ დიტრიხის სტილს ეძღვნება. გერმანელ კინოვარსკვლავსა და მომღერალს, რომელსაც ამერიკის მოქალაქეობა ჰქონდა, ფრანგები გარკვეულწილად, თავისიანად თვლიან: 1992 წელს ის საფრანგეთში, გარდაიცვალა, და, გარდა ამისა, ყველა ლამაზი ქალი ხომ ფრანგია, სულ ცოტათი მაინც...

გამოფენაზე 250-ზე მეტი ექსპონატი იქნება წარმოდგენილი, მათ შორის მარლენის ტანსაცმელი და აქსესუარები პირადი, თეატრალური და სცენური გარდერობებიდან - ყველაფერი, რაც 30-70-იანი წლებიდან შემორჩა.

ეკრანზე მარლენს ჰოლივუდელი დიზაინერების, ირენისა და ჟან ლუის მიერ შექმნილ ტანსაცმელში ვხედავდით. რაც მის პირად გარდერობს შეეხება, აქ მარლენი ფრანგული მოდის ერთგული იყო: ივნისში პარიზელები შანელისა და დიორის პატარა შედევრებს იხილავენ.

გარდა ამისა, მუზეუმში გამოფენილი იქნება ედვარდ შტაიხენის, სესილ ბიტონის, ჰორსტ პ.ჰორსტისა და სხვათა მიერ შესრულებული მარლენ დიტრიხის ფოტოპორტრეტები, კედელზე კი კინოფილმების პროეცირებას გეგმავენ, და პარიზში კვლავ ამღერდება "ლურჯი ანგელოზი", ლოლა ლოლა.

ეს გამოფენა, რომელიც პარიზში 12 ოქტომბრამდე გასტანს, შემდგომ ბერლინსა და დორტმუნდში გადაინაცვლებს.


მარლენ დიტრიხი


პორტრეტი - გამოფენის ექსპონატი

# დიურერის საშინელი საიდუმლო

ალბრეხტ დიურერის გარდაცვალებიდან 475 წლისთავის აღნიშვნას მისი მშობლიური ქალაქი, ნიურენბერგი, 6 აპრილს აპირებს. და უცებ, დღესასწაულამდე სულ რამდენიმე კვირით ადრე, ქალაქის ხელოვნების კოლექციის ყოფილი ხელმძღვანელი, მათიას მენდე, რომელიც დიდოსტატის შემოქმედებასთან ერთად მის პირად ცხოვრებასაც იკვლევდა, 500 წლის წინანდელ სკანდალურ ამბავს აცხადებს: "დიურერი მამაკაცების სიყვარულზეც არ ამბობდა უარს". ამის დასტურად მას 65 წლის მხატვრის მეტისმეტად ქალური გარეგნობა, საკუთარი სხეულის ჩანახატები და ვერცხლის ფანქრით შესრულებული პორტრეტის იდუმალი წარწერა მოჰყავს.

ეს დიურერის ბავშვობის მეგობრის, არისტოკრატისა და სწავლულის, ვილიბალდ პირკჰაიმერის პორტრეტია. ამ ნახატზე ბერძნულადაა მიწერილი მამაკაცთა სქესობრივი აქტის აღწერილობა. მენდეს თქმით, "აქამდე ეს წარწერა არავის უთარგმნია, არადა, მამაკაცთა შორის აქტის ტექნიკური მხარის აღწერილობა სულ იოლად იკითხება. დიურერს ადამიანის სხეული ხიბლავდა, და მისთვის სულ ერთი იყო, მამაკაცისა იყო ეს სხეული, თუ ქალისა".


ალბრეხტ დიურერი "ჭაბუკის პორტრეტი"

# ალენ დელონის აღსარება

ფრანგული კინოს ვარსკვლავმა, 67 წლის ალენ დელონმა, პარიზის ტელევიზიის გადაცემაში მაყურებელს გული გადაუშალა. მან მწარედ დაიჩივლა, რომ პირადი ცხოვრება უბადრუკი ჰქონდა: "ბედნიერება არ მეწერა... საერთოდ, რა მეწერა, კაცმა არ იცის". France 3-ის მაყურებელი გაოგნებული დარჩა.

მრავალი ქალისთვის გულის დამწყვეტი, სასიყვარულო ამბებით განთქმული და ბევრი შვილის მამა უიღბლო კაცი ყოფილა. "ჩემი ცხოვრება ასეთია: ცალი ხელით მაძლევს, მეორე ხელით – მართმევს. საქმეში ყოველთვის წარმატება მქონდა, პირად ცხოვრებაში – არასოდეს".

გადაცემის დროს ალენ დელონმა ისიც ახსნა, თუ რა აკავშირებს ცნობილ მემარჯვენე რადიკალთან, ჟან-მარი ლე პენთან. უცხოელთა მიმართ მტრულად განწყობილი პარტიის, Front National-ის ლიდერი, უკვე 30 წელია ალენ დელონის ახლო მეგობარია, მაგრამ ეს მეგობრობა მხოლოდ ლა პენის პიროვნული თვისებებით ყოფილა განპირობებული - თავად კინომსახიობს მემარჯვენე რადიკალური იდეები არასოდეს ჰქონია. „ლე პენის ცალკეული იდეები მომწონდა, მაგრამ ზოგი რამ - არა. მიუხედავად ამისა, მეგობარი მეგობარია, ციხეშიც კი," განაგრძო დელონმა, „თუ საჭირო იქნა, სიკვდილამდე მასთან ვიქნები."

ალენ დელონი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ ულამაზეს მამაკაცად ითვლება, თურმე არასოდეს ზრუნავდა თავის გარეგნობაზე. „ჩემი გარეგნობა მხოლოდ სხვებს ადარდებდათ". როცა დაბერილ უპეებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, მსახიობმა განაცხადა, რომ პლასტიკური ქირურგია არ სჭირდება - საკუთარი სხეული და საკუთარი ასაკი ძალიან აწყობს. გარდა ამისა, ლამაზი სახე არაფრისმომცემია, თუკი კაცი უნიჭო იქნა.



ალენ დელონი

## სკანდინავიური კროსვორდი



თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ექვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში